პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დოდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ხუთშაბათი, 18 ივლისი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 162 (2508)

დ ღ ი უ რ ი

- — აეროპლანი „საბჭოთა ფრთები" ჩაფრინდა პარიზში.
- — მღელვარება საფრანგეთის სათადარიგო ჯარის კაცებს შორის.
- — დემონსტრაცია ივლისის ამბების მსხვერპლთა პატივსაცემად ვენაში.
- — გარდაიცვალა ცნობილი ავსტრიელი მწერალი შუბერტ მონსტალი.
- — ამხ. მილიუტინი არჩეულია რ. ს. ფ. ს. რ. მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ.
- — ბათუმის წყალსადენის გასაფართოებლად ცენტრ. კომუნ. ბანკმა გადასდო 50.000 მანეთი.

პარასკევს, ივლისის 19-ს სასახლეში

შესდგება

საქ. სსრ ეკონომიური საბჭოს მორიგი სხდომა

დასაწყისი დღის 12 საათზე.

ნ. 2987 საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობა

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გარშემო

ჩინეთის მთავრობის პასუხი საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ჯერ არ მოსულა. არის მხოლოდ ინსტრუქცია, რომელიც ნანკინმა გაუგზავნა ჩინეთის საქმეთა რწმუნებულს მოსკოვში. ეს ინსტრუქცია, როგორც იქ აღნიშნულია, შედგენილია ჩვენი ნოტის სრული ტექსტის მიღებამდე, მაგრამ მისი „მთავარი აზრი" უკვე ცნობილი ყოფილა ნანკინისათვის.

ხსენებულ ინსტრუქციაში ვკითხულობთ: „ჩვენი (ნანკინის) მთავრობა ჩვეულებრივ მხარს უჭერს საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობას. ამ ბოლო დროს ხარბინის ამბებმა გამოიწვიეს ზომების მიღების აუცილებლობა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის მიმართ, მაგრამ ამას არ შეუძლია გავლენა იქონიოს ორ სახელმწიფოს შორის ამ ჟამად არსებულ დიპლომატიურ დამოკიდებულებაზე. თუ საბჭოთა მთავრობას აქვს რაიმე მოსაზრება, შეიძლება დღესვე შეუდგეთ ორივე მხრით მის გულწრფელ განხილვას. ჩვენი აზრით, ყველა საქმე უნდა წყდებოდეს ორ სახელმწიფოთა შორის არსებულ დებულებათა საფუძველზე და ირჩეოდეს ფაქტიურად ორივე სახელმწიფოს მონაწილეობით"... შემდეგ ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ ნანკინის მთავრობა დაუყოვნებლივ გასცემს პასუხს საბჭოთა ნოტაზე, როცა კი მის მთელ შინაარსს მიიღებს.

ყოველივე ეს თითქო ერთგვარ უკან დახევას ნიშნავს ჩინელ მილიტარისტების მხრით, მაგრამ ჯერ-ჯერობით, პასუხის მიღებამდე, ცხადია, დანამდვილებით რაიმეს თქმა არ შეიძლება. მხოლოდ აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ნანკინის მთავრობის ზევით მოყვანილ განცხადების თვალთმაქცური ხასიათი. იგი თითქო „მხარს უჭერს საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობას", მაგრამ ამას გადაჭრით ეწინააღმდეგება მთელი სინამდვილე, ჩინელ მილიტარისტების უხეში და პროვოკაციული ანტი-საბჭოთა გამოსვლები. ყოველივე იმის შემდეგ, რაც მათ ჩაიდინეს, ამაოდ ცდილობენ ისინი მშვიდობიანობის მოყვარულთა როლი გაითამაშონ. მათი შავი ზრახვები ყველასათვის ნათელია.

„...ხარბინის ამბებმა გამოიწვიეს ზომების მიღების აუცილებლობა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მიმართ, მაგრამ ამან არ შეიძლება გავლენა იქონიოს ორ სახელმწიფოს შორის ამ ჟამად არსებულ დამოკიდებულებაზე"-ო. რა არის ეს „ხარბინის ამბები"? ესაა ჩინელ მილიტარისტების მიერ გავრცელებული ჭორი, თითქო ხარბინის საბჭოთა საკონსულო ბუდეს წარმოადგენდა „დამნგრეველ მუშაობისათვის" ჩინეთში. ამის დამამტკიცებლად თითქო იქ ნაპოვნ, ნამდვილად კი შეთითხნილ „დოკუმენტების" სიყალბე ხომ თვით ბურჟუაზიულ პრესის მიერაც იქნა აღიარებული. შემდეგ: როგორ შეიძლება იმ აღმაშფოთებელმა ძალადობამ, რომელსაც ჩინეთის მმართველებმა მიმართეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გავლენა არ მოახდინოს მხარეთა ურთიერთობაზე? ეს მხოლოდ ნანკინის საიდუმლოებას შეადგენს. ეს ძალადობა ხომ ძირს უთხრის ჩინეთ - საბჭოთა დამოკიდებულებას და მშვიდობიანობის საქმეს ემუქრება.

ინსტრუქციის სიტყვებს თუ დაუჯერეთ, ნანკინი ვითომ მოწადინებულია შეთანხმებით გადასჭრას ყველა სადაო საკითხი. ესაა სწორედ ჩვენი თვალსაზრისი, ხოლო რაც შეეხება ჩინელ მილიტარისტებს, მათი „შეთანხმების სურვილი" გაუგონარ ძალმომრეობაში და საბჭოთა კავშირის უფლებების ფეხქვეშ გათელვაში გამოიხატა. და ეს ძალადობა დღესაც გრძელდება. როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, ჩინეთის ხელისუფალნი შეუდგნენ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის კუთვნილ მიწების დაპყრობას.

ასეთ თავგასულობას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. ნანკინის მთავრობამ უნდა მოგვცეს სრული დაკმაყოფილება იმ აღმაშფოთებელ უმსგავსოებათა გამო, რომლებიც აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე მოხდა. ცარიელი სიტყვები, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ არის საკმარისი. ნანკინმა საქმით უნდა დაამტკიცოს, რომ ის თავს ანებებს ცეცხლთან თამაშს, ძალადობის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბოლოს და ბოლოს ის, წინააღმდეგ თავისი სურვილისა, იძულებული შეიქნება ასე მოიქცეს. ამის თავდებია პირველ ყოვლისა საბჭოთა კავშირის მშრომელთა მტკიცე ნებისყოფა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თვით ჩინეთის ფართო მასების მისწრაფებას, რომ ჩვენთან მეგობრული დამოკიდებულება დაამყარონ. მართალია, ჩან-კაი-შები მათ ანგარიშს არ უწევენ და ყოველნაირად დევნიან, მაგრამ მასები ძალებს იკრებენ მჩაგვრელთა ასალაგმავად. ბოლოს აღსანიშნავია, რომ სხვა სახელმწიფოები ვერ ბედავენ ოფიციალურად და აშკარად მხარი დაუჭირონ ჩინელ ყაჩაღების ანტი-საბჭოთა გამოსვლებს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ იმპერიალისტები საბჭოთა კავშირის დამხობაზე მუდამ ოცნებობენ. საქმე ის არის, რომ აქ თავს იჩენს იმპერიალისტურ ქვეყნების ინტერესთა წინააღმდეგობა. იაპონიას ეშინია, რომ თუ ნანკინი აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზას ხელთ იგდებს, ამით მისი პოზიციები ჩინეთში, კერძოდ სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის მდგომარეობა შეირყევა. ან თვითეული იმპერიალისტური სახელმწიფო ფიქრობს, რომ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზა, თუ მას ნანკინი დაეუფლება, საბოლოო ანგარიშით შეიძლება მეორე იმპერიალისტურ ქვეყნის ხელში გადავიდეს. ამიტომ იჩენენ ისინი ერთგვარ თავდაჭერილობას.

როგორც არ უნდა იყოს, საბჭოთა კავშირი მზად არის თავისი კანონიერი ინტერესები მტკიცედ დაიცვას ყოველგვარ ბანდიტურ თავდასხმისაგან; ამისათვის მას საკმაო საშუალებები გააჩნია. ჩინელი მილიტარისტები იძულებული გახდებიან ამას ანგარიში გაუწიონ.

სოციალისტური შეჯიბრების დეფექტები

სოციალისტური შეჯიბრების პირველმა თვეებმა სავსებით თვალსაჩინოდ და უდაოდ გამოააშკარავეს მასების დიდი ინტერესი ამ უმნიშვნელოვანეს საქმისადმი. იმ რევოლიუციონურმა ენტუზიაზმმა, რომელმაც მოიცვა მასები და შრომითი აღფრთოვანებამ სინამდვილეში გვიჩვენა, რომ სოციალისტური შეჯიბრების ლოზუნგს უდიდესი მნიშვნელობა მიეცა იმ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებს მუშათა კლასი პარტიის ხელმძღვანელობით თვითღირებულების შემცირებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის და სამეურნეო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

მუშათა კლასი სძლევს ამ ამოცანების განხორციელების გზაზე მდგომ ყველა სიძნელეებს და ჩვენი ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონად და სოციალიზმის მშენებლად იჩენს თავს.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ თვალსაჩინო გარდატეხა და გაცხოველება შეიტანა წამოწყებათა საწარმოო ცხოვრებაში. იგი გადაიქცა იმ აუცილებელ მამოძრავებელ ძალად, რომლის საფუძველზედაც ვითარდება ჯანსაღი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღფრთოვანება და მასების შემოქმედებითი ენტუზიაზმი.

ყველგან, სადაც კი პარტიული და განსაკუთრებით პროფესიონალური ორგანიზაციები სათანადო ყურადღებით მოეპყრნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, სადაც მათ ფართოდ განუმარტეს მასებს შეჯიბრების პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა, შესძლეს თავის დროზე შეეწყოთ ხელი მასების აქტივობისათვის და უზრუნველეყვეს პასუხისმგებელი ხელმძღვანელობა, იქ შეჯიბრება უკვე გადაიქცა საუცხოვო ბერკეტად ბრძოლაში შრომის ნაყოფიერების აწევისათვის, ბრძოლაში საწარმოო მუშაობის ახალ, უფრო მაღალ დონის მიღწევისათვის.

მაგრამ ამ უდიდეს მიღწევებთან ერთად უნდა აღინიშნოს მთელი რიგი ავადმყოფური მოვლენებიც, რომლებსაც უფრო ხშირად იწვევს არასწორი ხელმძღვანელობა.

საკავშირო პროფსაბჭოს მეორე პლენუმის გადამჭრელი დირექტივის მიუხედავად, მრავალ საწარმოო კომისიებმა და თათბირებმა დღემდე ჯერ კიდევ ვერ იკისრეს ხელმძღვანელობა სოციალისტურ შეჯიბრებაში, და მთლიანად დაუტოვეს შეჯიბრების საქმე იმ შტაბებს, რომლებიც სტიქიურად შეიქმნენ შეჯიბრების დასაწყისშივე. მეორეს მხრივ, საწარმოო კომისიები ხშირად მეტად აჩქარიან ამ შტაბების ლიკვიდაციას და თუმცა თითონ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ აუღიათ ხელმძღვანელობა, მაინც შლიან შტაბებს, მაშინ, როდესაც მათ შეეძლოთ წარმატებით გამოეყენებიათ ისინი მასებთან დაკავშირების საქმეში და სხვა პრაქტიკულ მუშაობაში.

ცალკე, სამწუხაროდ ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვან დარგებში, პროფკავშირთა ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს გასძღოლოდნენ მასების აქტივობას, უზრუნველეყოთ საკმაო მონაწილეობა შეჯიბრებაში, ფართოდ ვერ გაშალეს იგი, რის გამოც შედეგები აქ ჯერ კიდევ იმდენად სუსტია, რომ ეს შედეგები არავითარ შემთხვევაში არ შეეფერებიან მიმდინარე სამეურნეო ამოცანებს. არის ისეთი დარგები, სადაც შეჯიბრება „თავისთავად" მიმდინარეობს, თვით მასების ზეგავლენით და თითქმის ყოველგვარი ხელმძღვანელობისა და დახმარების გარეშე პროფკავშირებისა და სამეურნეო ორგანოების მხრივ. ასეთი მოვლენები აღნიშნულია იარცევსკის მანუფაქტურაში, ძერჟინსკის სახელობის ფაბრიკაში და სხვა საწარმოებში.

მრავალ შემთხვევაში ადმინისტრატიულ-ტეხნიკური საფეხურების სათანადოდ მოუწყობლობა წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრების განვითარების მთავარ შემაფერხებელ მიზეზს. ნიჟნი-ტაგილსკის ქარხანაში და დონბასის ცალკე მაღაროებში დამკვრელი ბრიგადები და ენტუზიასტი მუშები ხშირად ხვდებიან სერიოზულ დაბრკოლებებს რაც აფერხებს მათ მუშაობას.

არის ისეთი ფაქტები, როდესაც ხელმძღვანელი ორგანიზაციების ფორმალური დამოკიდებულების გამო, ცალკე ენტუზიასტი მუშები, რომლებიც ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას და გამომუშავების ნორმებს, დიდხანს განიცდიან დაცინვას, ხოლო ზოგჯერ ნამდვილ აბუჩად აგდებასაც ჩამორჩენილი მუშების მხრივ, რომლებიც მოექცნენ წვრილბურჟუაზიული სტიქიისა და შეტევაზე გადმოსული კლასობრივი მტრის გავლენის ქვეშ, რადგან უფრო შეგნებული მუშები საკმაოდ სასტიკ წინააღმდეგობას ვერ უწევენ მათ. ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ტულაში და ტვერში.

ეს დაუშვებელი მოვლენები არათუ აფერხებენ შეჯიბრებაში ჩაბმულ მუშათა დამკვრელი ბრიგადების მუშაობას, არამედ აბრკოლებენ ამ ბრიგადების ბუნებრივ ზრდასაც. ამის გამო, ზოგიერთი ბრიგადები, რომლებიც მოკლებულნი არიან სწორ ხელმძღვანელობასა და დახმარებას, იშლებიან, მუშების ენერგია სუსტდება და შეჯიბრების ტემპი შენელებას იწყებს. ასეთი შეჯიბრება, რა თქმა უნდა, არ იძლევა და ვერც მოგვცემს იმ დადებით შედეგებს, რომლებსაც უნდა მოველოდეთ მისგან და მოვითხოვდეთ ქვედა საფეხურის ხელმძღვანელ ორგანიზაციებისაგან. პარტია არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ამას და გადაჭრით დასცხებს იმ უპასუხისმგებლო ხელმძღვანელობას, რომელიც შლის უდიდესი მნიშვნელობის საქმეს.

მრავალ საწარმოში სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ შრომის ნაყოფიერების გადიდების სახით, ზოგჯერ მუშების კუნთის ძალის გადამეტებული დატვირთვის გზით. მეგემავ სამეურნეო ორგანიზაციებს და შეჯიბრების ხელმძღვანელ შტაბებს ხშირად სრულებით ავიწყდებათ მეორე უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც ხელს უწყობს თვითღირებულების შემცირებას —სოციალისტური რაციონალიზაციის გაშლაგანვითარება. ძალიან იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც ეს ამოცანა შეაქვთ სოციალისტური შეჯიბრების გეგმაში. ტეხნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება, გეგმიანი მომარაგების გამარტივება, პროდუქციის სტანდარტიზაციის შემოღება, ენერგეტიული მეურნეობის რაციონალურად გამოყენება, სათბობისა და ორთქლის ენერგიის ეკონომია, ტეხნიკური კონტროლის გაუმჯობესება და უსასტიკესი ეკონომიის დაცვა საფაბრიკო-საქარხნო მეურნეობის ყველა დარგში—აი ის მორიგი ამოცანები, რომლებიც, სწორი შეფარდებით შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან მოგვცემენ რეალურ შედეგებს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში.

საწარმოო კომისიები და თათბირები, რაციონალიზაციის ბიუროები და გამომგონებელთა წრეები—ყველანი ჩაბმულ უნდა იქნან რაციონალიზაციის საქმეში.

იმ საწარმოო აღფრთოვანებისა და ენტუზიაზმის პირობებში, რასაც ამჟამად ადგილი აქვს შეჯიბრებაში ჩაბმულ მასებს შორის, საწარმოო კომისიებისა და თათბირების, მეგემავე, სამეურნეო და პროფკავშირთა ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა—გადააქციონ ეს მუშაობა შეჯიბრების ძირითად ნაწილად, ჩააბან მასში მუშებისა და სპეციალისტების ფართო მასები და გადააქციონ დამკვრელი ბრიგადები რაციონალიზაციის კერად. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებული რაციონალიზატორული ჯგუფების შექმნის გამოცდილებას.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენმა მრეწველობამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო თვითღირებულების 7 პროცენტით შემცირება და რომ შრომის ნაყოფიერება გაიზარდა არა 17 პროცენტით, როგორც ეს გეგმით იყო ნაგულისხმევი, არამედ მხოლოდ 18,8 პროცენტით. სამეურნეო წლის მომავალი მე-4 კვარტალი თვითღირებულების წლიური შემცირებისათვის ბრძოლის საქმეში გადამწყვეტ კვარტალს წარმოადგენს. ამიტომ აღნიშნულ ნორმებში თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ყოველგვარი დაგვიანება საფრთხეს უმზადებს სამრეწველო ფინანსიურ გეგმას და გენერალური ამოცანების შესრულებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში.

შეჯიბრებაში მოიპოვება სხვა სუსტი მხარეებიც, რომლებიც საჭიროა ახლო დროში აღმოიფხვრან. არ არის ჯერ-ჯერობით საკმაოდ გაშლილი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაც. შემჩნეულია მრავალი შემთხვევა, როდესაც შეჯიბრების პროცესში გამომუშავების ზრდის ხარჯზე საგრძნობლად ფუჭდება პროდუქციის ხარისხი და მატულობს უვარგისად დამზადების შემთხვევები. ასეთ შემთხვევებში თვითღირებულება შემცირების ნაცვლად იზრდება, რის მოთმენაც არავითარ პირობებში არ შეიძლება. მოწინავე მუშების მითითებას, რომ ასეთი მოვლენები დაუშვებელია და ძირითადად ეწინააღმდეგება თვითღირებულების შემცირების ამოცანებს, ხშირად ადმინისტრატიულ-ტეხნიკური და პროფესიონალური ორგანოები დაუშვებელი გულგრილობით ხვდებიან.

ფართო მასებში ჯერ კიდევ საკმაოდ პოპულიარული არ არის უვარგის პროდუქციის გამოშვებასთან და ნარჩენებთან ბრძოლა. ესენი კი საგრძნობლად აბრკოლებენ თვითღირებულების შემცირების წარმატებით მსვლელობას. ასე, მაგალითად, ქარხანა „კრასნი ვიბორჟეც"-ში ნარჩენების მოსპობას შეუძლია წელიწადში 700 ათასი მანეთის ეკონომიის მოცემა. საფეიქრო მრეწველობაში დამწვარი პროდუქცია ყოველწლიურად ათეული მილიონი მანეთის ზარალს იძლევა. საწარმოო კომისიები და თათბირები ცოტა ყურადღებას აქცევენ ამ ნაკლოვანებებთან ბრძოლას და მცირე გამონაკლისის გარდა ეს არ შეაქვთ სოციალისტური შეჯიბრების გეგმაში. კულტკომისიებსა და ქვედა საფეხურის ბეჭდვითი სიტყვასაც არ გაუშლიათ ამ დარგში სათანადო ბრძოლა.

ყველა ზემოჩამოთვლილი ნაკლოვანება, რომლებიც აფერხებენ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას და მით მიმდინარე სამეურნეო ამოცანების შესრულებას, გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას. პროფკავშირებმა და განსაკუთრებით მათმა ქვედა საფეხურებმა გულდასმით უნდა მოისმინონ მასების ხმა და მათთან ერთად გადალახონ ყველა დაბრკოლებები, რომლებიც აფერხებენ შეჯიბრების გაშლას და მასში ფართო მასების ჩაბმას.

ამ მხრით უნდა აღინიშნოს ლენინგრადის მელითონეთა და ფეიქართა კავშირების მაგალითი, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ მათ ამას წინად მოახდინეს სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის შემოწმება ადგილებზე, რამაც გამოამჟღავნა მრავალი ნაკლოვანება და მუშათა მასების დახმარებით ბევრი ამ ნაკლოვანებათაგანი მოსპობილ იქნა. შეჯიბრების ცოცხალი ხელმძღვანელობა პროფკავშირების მაღლა მდგომი ორგანოების მხრით მათს მუშაობაში სისტემად უნდა გადაიქცეს. მხოლოდ სწორი, რეგულიარული და ცოცხალი ხელმძღვანელობით პროფკავშირები შესძლებენ დასძლიონ ის უდიდესი სამეურნეო ამოცანები, რომლებიც პარტიამ დააყენა მუშათა კლასის წინაშე, რადაც არ უნდა დაჯდეს მუშათა კლასის წინაშე. რადაც არ უნდა დაჯდეს მუშათა კლასმა უნდა შეასრულოს ეს ამოცანები პარტიის ხელმძღვანელობით.

„პრავდა", 17 ივლისი.

მუშების საპროტესტო დემონსტრაცია ბერლინში.—ჩინეთის საელჩოს შენობას ქვები დაუშინეს

საპროტესტო მოძრაობა საბჭოთა კავშირში ფართოვდება

საბჭოთა კავშირის მშრომელები მოითხოვენ გადამჭრელ ზომებს თავაშვებულ მილიტარისტების ასალაგმავათ

ალმ.-ჩინეთის რკ. გზ. თავდასხმის შემდეგ

ამხ. სერებრიაკოვი აღარ გაემგზავრება ჩინეთში

მოსკოვი, 17 ივლისი. 16 ივლისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა შემდეგი ნოტა გაუგზავნა ჩინეთის საელჩოს მოსკოვში:

„ჩინეთის საელჩოს 16 ივლისის იმ ცნობის საპასუხოდ, რომ საელჩომ მიიღო ინსტრუქცია გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის სერებრიაკოვისათვის ვიზის მიცემის შესახებ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს პატივი აქვს გაცნობოთ შემდეგი:

12 ივლისს შემდეგ, როდესაც გადმოგეცათ განცხადება სერებრიაკოვისათვის ვიზის მიცემის შესახებ, დღემდე მოხდა ისეთი ახალი მოვლენები, როგორიც არის: აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ძალმომრეობით ხელში ჩაგდება, აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის გამგის ემშანოვისა და მისი თანაშემწის ეისმონტის თანამდებობიდან გადაყენება და გადასახლება, საბჭოთა დაწესებულებების დახურვა მანჯურიაში, საბჭოთა მოქალაქეების — აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის მუშებისა და მოსამსახურეების თანამდებობიდან მასიურად გადაყენება, დაპატიმრება და გადასახლება და, ყველა ამასთან დაკავშირებით, საბჭოთა მთავრობის ამა წლის 13 ივლისის ნოტა.

ამის გამო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა განკარგულება გასცა — ხარბინში სერებრიაკოვის გამგზავრება შეჩერებულ იქნას იმ დრომდე, სანამ საბჭოთა მთავრობის ა.-წ. 13 ივლისის ნოტაზე მიღებული არ იქნება ჩინეთის მთავრობის პასუხი". (ადს).

ჩინელი ბანდები განაგრძობენ ძალმომრეობას

ტოკიო, 17 ივლისი. იაპონიის დეპეშათა სააგენტოს „დემპო ცუსინის" ხარბინიდან ატყობინებენ, რომ ჩინეთის ხელისუფლების ორგანოები უკვე შეუდგნენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის კუთვნილი მიწების ძალმომრეობით ხელში ჩაგდებას. სააგენტოს აზრით, ამ ძალმომრეობით დარღვეულია აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა ინტერესებიც, განსაკუთრებით იაპონიისა, რადგანაც ჩინეთის ხელისუფლების ეს მოქმედება მჭიდროდ დაკავშირებულია მანჯურიის მიწების იჯარით გაცემის საკითხთან. (ადს).

როდის არის მოსალოდნელი პასუხი საბჭოთა ნოტაზე

პეკინი, 16 ივლისი. ნანკინიდან გადმოცემული ცნობის თანახმად, მოსალოდნელია, რომ საბჭოთა ნოტაზე პასუხს ხვალ გასცემენ, როდესაც ვან-ჯენ-ტინი ნანკინში დაბრუნდება.

პეკინში საერთო აზრია, რომ ნანკინის მთავრობა შეეცდება არ გაამწვავოს კონფლიქტი და მოლაპარაკებას შეუდგება.

ნიპონ დემპოს სააგენტო იუწყება, რომ ნანკინის მოხელეთა უმრავლესობის აზრით, აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის საბჭოთა დათხოვნილი თანამშრომლები არ შეიძლება ისევ უკან იქნან მიღებულნი, მაგრამ „მოლაპარაკებისა და არა ულტიმატუმის გზით" შესაძლებელია საბჭოთა სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

იაპონური წყაროებიდან გადმოცემული ცნობების მიხედვით, განუწყვეტლივ გადმოჰყავთ ჩინეთის ჯარები და მათ თავს უყრიან მანჯურიის სადგურების — პოგრანიჩნაია და ხეიხოს მახლობლად. (ადს).

„ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ საქმე ომამდე მივიდეს"

ტოკიო, 17 ივლისი. „ნიცი-ნიცი"-ს მუკდენიდან ატყობინებენ, რომ ჩინეთის მთავრობა სერიოზულ ყურადღებას არ აქცევს საბჭოთა მთავრობის ულტიმატუმს და ფიქრობს შეუდგეს მოლაპარაკებას სერებრიაკოვთან და საბოლოოდ თავისი პოზიცია მხოლოდ მოლაპარაკების შემდეგ გამოარკვიოს.

გომინდანის მემარჯვენე ფრთის ლიდერმა ხუ ხან-მინმა სინბუნ რენგოს სააგენტოს ნანკინის კორესპონდენტს განუცხადა, — ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ საქმე ომამდე მივიდესო. კარახანის ნოტა ჯერ არ განუხილავთ. ნაციონალური მთავრობა მას განიხილავს ნანკინში ვან ჯენ-ტინის დაბრუნების შემდეგ. (ადს).

თავდასხმის გამოძახილი უცხოეთში

შეკითხვები ჰენდერსონს ჩინეთ - საბჭოთა კავშირის კონფლიქტის შესახებ

ლონდონი 16 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ თემთა პალატაში ლიბერალური დეპუტატი ჰარის შეეკითხა საგარეო საქმეთა მინისტრს ჰენდერსონს — ხომ არ შეგიძლიათ მოხსენება გააკეთოთ ჩინეთის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. ჰენდერსონმა უპასუხა, რომ ის ამ საკითხის შესახებ სრულ ინფორმაციას წარუდგენს პალატას. ამასთან მან აღნიშნა, რომ მის განკარგულებაში არ მოიპოვება არავითარი ცნობა საბჭოთა ულტიმატუმის შესახებ. გარდა იმ ცნობებისა, რომლებიც გაზეთებში დაიბეჭდა.

კონსერვატოოების დეპუტატი სენდიმენი შეეკითხა: „რაკი ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებობს ურთიერთობა, ხომ არ ფიქრობს მთავრობა მიმართოს საბჭოთა მთავრობას წინადადებით კონფლიქტის ერთა ლიგაში გადაცემის შესახებ"-ო.

ჰენდერსონმა უპასუხა, რომ ის განიხილავს ამ საკითხს ოფიციალური ინფორმაციის მიღების შემდეგ (ადს).

იაპონიის პრესის კომენტარიები

ტოკიო, 17 ივლისი. იაპონიის პრესის კომენტარიების დამახასიათებელია ის, რომ პრესა სასტიკად ჰკიცხავს ჩინეთის ხელისუფლების უკანონო მოქმედებას. გაზეთები ურჩევენ ჩინეთს — მიიღოს საბჭოთა კავშირის წინადადებანი. გაზეთებში დაბეჭდილია ჩინეთიდან გადმოცემული ცნობები, რომ ნანკინის მთავრობა მეტად ოპტიმისტურად უყურებს საბჭოთა მთავრობის ულტიმატუმს და მას აზრადაც არ მოსდის ნოტაზე პასუხი გასცეს 3 დღის განმავლობაში. ერთი ვერსიის მიხედვით, ნანკინში შესდგა საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირთა კონფერენცია, რომელზედაც გადაწყდა, წინადადება მიეცეს ჩან კაი-შის განაგრძოს ახლანდელი პოლიტიკა, რადგანაც საბჭოთა მთავრობას ულტიმატუმი ცარიელ მუქარას წარმოადგენსო.

მეორე ვერსიით, საგარეო საქმეთა სამინისტროს განზრახული აქვს შეიმუშაოს ულტიმატუმის პასუხი და აღნიშნოს, რომ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზა ხელთ იქნა ჩაგდებული იმ მიზნით, რომ ჩინეთი დაცული იქნას წითელი პროპაგანდისაგან. ამ პასუხთან ერთად ნაციონალური მთავრობა გამოსთქვამს სურვილს, რომ იგი თანახმაა მოლაპარაკება დაიწყოს.

გაზეთების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ პირველი ვერსია უფრო ახლოსაა სიმართლესთან. პრესა დარწმუნებულია, რომ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზა მხოლოდ იმ შემთხვევაში არ გახდება საერთო პოლიტიკის ობიექტად, თუ საბჭოთა მთავრობის მხრით უკიდურესი ენერგიული ზომები იქნება მიღებული.

„ტოკიო ასახი" და „ხოცი" ბეჭდავენ ხარბინიდან გადმოცემულ ცნობას, რომელშიაც ნათქვამია:

„საბჭოთა მთავრობის ულტიმატუმის მიზანს შეადგენს ის, რომ იაპონია იძულებული გახდეს ჩაერიოს კონფლიქტში, როგორც შუამავალი" (ადს).

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ინტერვიუ

ტოკიო, 17 ივლისი. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან ინტერვიუში კატეგორიულად უარჰყო ხმები, თითქოს იაპონიის მთავრობას განზრახვა ჰქონდეს აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით მიმართოს ერთა ლიგას. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს საქმე ამჟამად მხოლოდ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს ეხება, და არც ერთ მესამე მხარეს საბუთი არა აქვს კონფლიქტში ჩაერიოს. (ადს)

იაპონიაში შეწყვეტილია აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის სამგზავრო ბილეთების გაყიდვა

ტოკიო, 16 ივლისი. „ტოკიო ასახი"-ს ცნობით, იაპონიის რკინის გზათა სამინისტრომ აცნობა კორეისა და სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზებს და აგრეთვე ყველა საზღვაო მიმოსვლის კომპანიებს, რომ შესწყვიტონ რკინისგზის ბილეთების გაყიდვა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზით ევროპაში სამოგზაუროდ. ადს)

ბერლინის მუშების პროტესტი

ბერლინი, 16 ივლისი. „როტე ფანე" იუწყება, რომ ბერლინში ჩინეთის საკონსულოს შენობის წინ 15 ივლისს საღამოს გაიმართა ბერლინის მუშების საპროტესტო დემონსტრაცია აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა თავდასხმის წინააღმდეგ. დემონსტრანტებში გაისმოდა ჩინეთის მთავრობის მოქმედებით აღშფოთების ხმები. **ამის შემდეგ ქვები დაუშინეს საკონსულოს შენობის ფანჯრებს და ჩაამტვრიეს ყველა შუშა.**

დემონსტრაცია საკონსულოს შენობის დასაცავად გამოგზავნილი პოლიციის რაზმის მოსვლამდე დასრულდა. (ადს)

„მანჩესტერ გარდიენ"-ი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე თავდასხმის შესახებ

ლონდონი, 16 ივლისი. ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენ"-ი კომენტარიებს უკეთებს საბჭოთა ნოტას, რომელიც ნანკინის მთავრობას გაეგზავნა, და სხვათა შორის სწერს: „მაკდონალდს რომ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულება აღედგინა, შესაძლებელია, ჩინელები წინდაწინ კარგად დაფიქრდებოდნენ, სანამ გადასდგამდნენ ისეთს ნაბიჯს, რომელსაც შეუძლია საერთაშორისო მშვიდობიანობას საფრთხე შეუქმნას. **საბჭოთა კავშირს არა ერთხელ დაუმტკიცებია, რომ ის გულწრფელად ისწრაფვის მშვიდობიანობისაკენ, და რომ ეს მისწრაფება არაა მოჩვენებითი. საბჭოთა ულტიმატუმი ახლაც ღიად სტოვებს კარებს შერიგებისათვის, თუმცა ნოტა ძლიერი ენითაა დაწერილი.** არ გვგონია, რომ საბჭოთა კავშირს ასე მტკიცედ დაეწყო ლაპარაკი, ის რომ დარწმუნებული არ იყვეს იაპონიის პასიურ თანაგრძნობაში. საჭიროა დაუყოვნებლივ გამოყენებული იქნას იმავე მიმართულებით ინგლისის გავლენაც. **სამწუხაროა, რომ მოსკოვში არ არის ინგლისის ელჩი.** (ადს)

პროტესტების ტალღა საბჭოთა კავშირში

მეორე საპროტესტო დემონსტრაცია მოსკოვში

მოსკოვი, 17 ივლისი. 16 ივლისს მოსკოვში კვლავ გაიმართა გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაცია. როდესაც დემონსტრაცია კრაპოტკინის შესახვევით მიდიოდა, ორკესტრმა დამაყრუებელი კაკოფონია ასტეხა. ბაღში, რომელიც შესახვევსა და საელჩოს შენობას შუა მდებარეობს, კიტრებსა და ვაშლის ნაფცქვენებს ისროდნენ. საელჩოს შენობის ფანჯრებზე ფრთხილად სწევდნენ მძიმე შტორებს მაგრამ ყოველთვის, როდესაც დემონსტრანტები მოზღვავებულ გულისწყრომას გამოხატავდნენ, შტორები ისევ იხურებოდა. უაღრესად აღშფოთებულმა დემონსტრანტებმა რამდენჯერმე სცადეს საელჩოს შენობაში შევარდნა. ცხენოსანი მილიციონერები ვერც კი ასწრობდნენ თუჯის ჭიშკრის დახურვას, რომ დემონსტრანტები არღვევდნენ მილიციის პირველ ხაზს და წინ მიიმართებოდნენ.

დემონსტრანტებს შესახვევში მიემატა მოსკოვის მშრომელ ჩინელთა კოლონა, რომელსაც მრავალი ათასი დემონსტრანტი ტაშის ცემით მიეგება. დემონსტრანტები ხან ერთს ჩინელს აიყვანდნენ ხელზე და ხან მეორეს და ისინიც მხურვალე სიტყვებით მიმართავდნენ დემონსტრანტებს. ერთი ჩინელი ავიდა ბაღის გალავანზე და დემონსტრანტებს წაუკითხა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„დაე იცოდნენ გომინდანის მესვეურებმა, რომ კომინტერნისა და ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით მშრომელი ჩინელები თავიანთი მკერდით დაიცავენ საბჭოთა კავშირს და იბრძოლებენ ჩინეთის სისხლიანი ბურჟუაზიის დასამხობად".

მოსკოვი, 17 ივლისი. მშრომელ ჩინელთა კომუნისტური უნივერსიტეტის საპროტესტო მიტინგს დაესწრნენ ამხ. ნეიმანი (გერმანიის კომპარტიის ც. კ.-ის წევრი), პოლიტი, (ინგლისის კომპარტიის ც. კ.-ის წევრი) და ჯან ბაო (ჩინეთის კომპარტიის წევრი).

მიტინგმა იშვიათის აღფრთოვანებით ჩაიარა მთელი ქვეყნის მშრომელთა დაურღვეველი კლასობრივი სოლიდარობის ნიშნის ქვეშ.

მოსკოვი, 17 ივლისი. აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტები და თანამშრომელნი, რომელნიც შეიკრიბნენ საპროტესტო მიტინგზე, გულის წყრომით გმობენ ჩან-კაი-შის ყაჩაღებს, რომელთაც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მორიგი თავდასხმა მოაწყვეს. კრება აფრთხილებს ბაში-ბუზუკებს, რომ ყოველი თავდასხმა საბჭოთა რესპუბლიკებზე გადამჭრელ პასუხს გამოიწვევს საბჭოთა კავშირისა და მთელი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელი მასების მხრით.

„ჩვენ ვაცხადებთ,—ნათქვამია მიღებულ რეზოლიუციაში,—რომ აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის მთელი სტუდენტობა საბჭოთა მთავრობის პირველ დაძახებისთანავე გამოვა თავისი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად".

ლენინგრადი, 17 ივლისი. ლენინგრადის ყველა რაიონში გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ჩინეთის მილიტარისტების თავდასხმის წინააღმდეგ. მუშებისა და მუშა ქალთა გამოსვლას ახასიათებს ღრმა აღშფოთება იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომელნიც სცდილობენ ომში ჩაითრიონ საბჭოთა კავშირი (ადს).

კიევი, 17 ივლისი. ოლქის პროფკავშირთა საბჭოს პლენუმმა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ყაჩაღური თავდასხმის გამო მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც კიევის ოლქის პროფსაბჭოთა 160.000 წევრის სახელით მოითხოვს საბჭოთა მთავრობისაგან, რომ ძან ერთხელ და სამუდამოდ ალაგმოს მტაცებლები (ადს).

კიევი, 17 ივლისი. ქარხნის „ლენინსკაია კუზნიცა რევოლიუციი"-ს მუშები გადაჭრილ პროტესტს აცხადებენ ჩინეთის მთავრობის თავხედური ნაბიჯების გამო და მოითხოვენ საბჭოთა კავშირის დაპატიმრებულ მოქალაქეთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას და საბჭოთა საზღვრიდან ჩინეთის ჯარის წაყვანას. (ადს).

კიევი, 17 ივლისი. „კრასნომენსკ"-ის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა ამხ. კალინინსა და კარახანს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიაც თხოულობენ—მიღებულ იქნას ყოველი ზომა იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ჩინეთის მილიტარისტების თავხედობას.

„გარწმუნებთ,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—რომ მუშათა ფოლადისებური ბატალიონები ყოველ მომენტში მზად არიან თავიანთი მკერდით დაიცვან საბჭოთა რესპუბლიკების მთლიანობა" (ადს).

კიევი, 17 ივლისი. აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა თავდასხმამ კიევის გარნიზონის წითელ არმიელებსა და მეთაურთა შემადგენლობაში ძლიერი გულისწყრომა გამოიწვია. ყველა ნაწილში საპროტესტო მიტინგი გაიმართა.

მიღებულ რეზოლიუციებში წითელ არმიელნი და მეთაურთა შემადგენლობა აღნიშნავენ, რომ ჩინეთის კონტრ-რევოლიუციონერები, როგორც ეტყობა, საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას მთელ სისუსტის მაჩვენებლად სთვლიანო.

„თუ ასეა,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—მაშინ წითელ არმიელები მზად არიან თავიანთი მთავრობის პირველ დაძახებისთანავე წესრიგისაკენ მოუწოდონ ჩინეთის ხალხის გათავხედებულ ჯალათებს და უჩვენონ მათ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ძალა და ძლიერება".

№-ის პოლკის წითელ არმიელებმა თავხედური თავდასხმის საპასუხოდ ტანკის ასაგებად 220 მანეთი შეაგროვეს.

არტემოვსკი, 17 ივლისი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ჩინეთის თეთრგვარდიელების თავდასხმასთან დაკავშირებით გაიმართა ჩასოვიარის, სლავიანსკის, კერამიკულის, არტემოვსკის, ლურსმნის, კრამატორის, კონსტანტინოვკის და რიკოვის ქარხნებისა და სხვა საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების მეტად მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგები.

მუშები პროტესტს აცხადებენ ჩინეთის ბანდიტების თავხედური ნაბიჯების გამო და გადაჭრით მოითხოვენ საბჭოთა მთავრობისაგან, —მიღებულ იქნას ენერგიული ზომები კაპიტალის მოსყიდული ლაქიების ასალაგმავად. მუშები მოითხოვენ აგრეთვე მთავრობისაგან, რომ მან დააჩქაროს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვება. მუშები აღუთქვამენ მთავრობას, რომ ყოველი ღონისძიებით შეუწყობენ ხელს სესხის წარმატებით გავრცელებას.

ტაშკენტი, 17 ივლისი. ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში მოეწყო მფრინავი მიტინგები. მუშათა დემონსტრაციები გაემართნენ ჩინეთის საკონსულოსა, პარტიული კომიტეტისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას შუა აზიის ბიუროსაკენ (ადს).

მიღებულ რეზოლიუციებში მუშები იწონებენ საბჭოთა მთავრობის ნოტას და მოითხოვენ, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ სავსებით დააკმაყოფილოს საბჭოთა მოთხოვნები. ტაშკენტის მუშები მოუწოდებენ მთელი ქვეყნის მუშებს—მკაცრი პროტესტი განაცხადონ ომის გამომწვევთა თავხედური გამოსვლების წინააღმდეგ (ადს).

საქართველოში

თბილისის პროლეტარიატის დემონსტრაცია

გუშინ დილიდანვე მუშა-მოსამსახურეებს წარმოება-დაწესებულებებში ნერვიულობა დაეტყოთ. აქა იქ ერთად თავმოყრილი მუშები უზიარებენ ერთმანეთს თავის შეხედულებას მუკდენის მთავრობის უკანასკნელ პროვოკაციულ გამოსვლების შესახებ. დამთავრდა სამუშაო დღე და სახლში წასვლის მაგივრად მუშა-მოსამსახურეებმა თავი მოიყარეს წარმოებებისა და დაწესებულებების საკრებულო დარბაზებში. გაიმართა ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შემდეგაც კრებებს ერთხმად გამოაქვთ მრისხანე პროტესტის რეზოლიუციები. გათავდა კრებებიც, მაგრამ მუშა-მოსამსახურეები არ იშლებიან. მოითხოვენ ერთად წასვლას—დემონსტრაციას, რომ მთავრობას მოსთხოვონ გადამჭრელი ზომების მიღება სისხლიანი იმპერიალისტების და თეთრგვარდიელების პროვოკაციულ მოქმედებას ასალაგმავად.

სამი საათიდან ქუჩებში გამოეფინენ ცალცალკე წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურენი წითელი დროშებით და საპროტესტო ლოზუნგებით. დემონსტრანტები გაემართნენ ვერის აღმართისა და ლენინის ქუჩის კუთხისაკენ. აქ თავი მოიყარა რამდენიმე ათასმა მუშა-მოსამსახურემ, რომლებიც რუსთაველის პროსპექტით გაემართნენ მთავრობის სასახლისაკენ.

დემონსტრაციის პირველმა წყებამ უკვე მიაღწია სასახლეს. სასახლის აივანზე გამოვიდნენ მთავრობის წევრები. აგერ აივანზე გამოჩნდა ამხ. ფილიპე მახარაძე, რომლის გამოჩენასაც დემონსტრანტები მქუხარე ტაშის ცემით შეეგებნენ.

დემონსტრაციის წინა რიგებში მაღალ ადგილზე შესდგა თამბაქოს ქარხნის ერთი მუშა, რომელმაც შემდეგი სიტყვებით მიმართა მთავრობას.

— საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობა, როგორც ერთი კაცი, იწონებს მთლიანად მუშურ-გლეხური ხელისუფლების მშვიდობიან პოლიტიკას. ჩვენ არა გვსურს ომი და გვინდა მთელი ჩვენი ძალღონე მოვახმაროთ მშვიდობიან სოციალისტურ აღმშენებლობას. საბჭოთა ხელისუფლებამ არა ერთხელ დაუმტკიცა ქვეყანას მშვიდობიანობის მოყვარულობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაფერს მოვითმენთ და ნებას მივცემთ ვისმე ბინძური ხელებით ძიძგნონ მსოფლიოში ერთად ერთი სოციალისტური ქვეყნის სხეული. მუკდენის იმპერიალისტების და მათი დამქაშების თეთრგვარდიელების უკანასკნელი პროვოკაციული გამოსვლა საზღვარს უდებს ჩვენს მოთმინებას. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ მთავრობისაგან მიიღოს გადამჭრელი ზომები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკ. გზაზე საბჭოთა კავშირის უფლებების აღსადგენად და ვაცხადებთ, რომ ყოველი ჩვენგანი მზად არის იარაღით ხელში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას იმპერიალისტებისა და მათი დამქაშებისაგან ჩვენი პროლეტარული სამშობლო და ოქტომბრის მონაპოვარი.

თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი" გამოდის დემონსტრაციაზე

—:—

მუშის სიტყვა დაფარა დემონსტრანტების მქუხარე ტაშმა.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარე ამხ. **ფ. მახარაძე.**

რამოდენიმე კვირის წინეთ—სთქვა ამხ. ფილიპემ, თბილისის მუშათა კლასი თავის აღშფოთებას გამოსთქვამდა პოლონეთში მომხდარ ანტისაბჭოთა გამოსვლების გამო. ყურს ჯერ კიდევ არ მოშორებია მაშინდელი აღშფოთების ხმა და დღეს ჩვენ წინააღმდეგ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე აწყობენ ისეთ აღმაშფოთებელ გამოსვლას, რომლის რითიმე გამართლება ყოვლად შეუძლებელია.

ჩვენ ვიცით, რომ უცხო ქვეყნების იმპერიალისტებთან ერთად ჩვენს წინააღმდეგ მოქმედობენ ისტორიის მიერ განწირულნი, ჩვენი ქვეყნიდან გაქცეული თეთრი ემიგრანტები; ეს ხროვა ცდილობს ხელი შეუშალოს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას და ჩაგვაბას ომში. ყველამ იცის ჩვენი მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ. იმპერიალისტები ჩვენს მშვიდობიანობას ხსნიან ჩვენი სისუსტით და გათამამებული იმით, რომ ჩვენ არ წამოვეგებით მათ პროვოკაციულ ანკესზე, აწყობენ ჩვენს წინააღმდეგ ახალ ახალ გამოსვლებს მაგრამ უკანასკნელმა ამბებმა გადააჭარბა ყოველგვარ მოთმინებას, და საბჭოთა ხელისუფლებამაც საბოლოოდ გადასწყვიტა სამუდამოთ ალაგმოს ჩვენი მტრების ბოროტი ზრახვები. ჩვენ ჩინეთის იმპერიალისტურ მთავრობას წარუდგინეთ გადამწყვეტი მოთხოვნილებები ჩვენი უფლებების აღდგენისა და დაცვის შესახებ. აწ უკან აღარ დავიხევთ და თუ ისინი გაკადნიერდებიან და ჩვენ მოთხოვნილებას არ შეასრულებენ,—ეს საქმე მშვიდობიანი გზით არ დამთავრდება. მსოფლიო მუშათა კლასის სიმპატია მთლიანად ჩვენს მხარეზეა და ეს გარემოება თავდებია, იმისა, რომ ჩვენ საბოლოოდ ავლაგმავთ ჩვენს მტრებს და ვფიქრობთ, რომ ეს გარემოება გახდება, მსოფლიო რევოლიუციის ძლევამოსილი ტალღის აგორების საბაბი.

მედგრად ოქტომბრის რევოლიუციის სადარაჯოზე! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, ჩინეთის და მთელი ქვეყნის მუშათა კლასს! გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

ამხ. ფილიპეს სიტყვა დაფარა ერთსულოვანმა ტაშმა და „ვაშამ", რომელიც ოვაციად გადაიქცა.

შემდეგ ილაპარაკეს თამბაქოს პირველი ფაბრიკის მუშა-ქალმა **ბუზნიაკმა** და მუშამ **კლიაჩკინმა,** კორეელმა ახალგაზრდამ **კინ ვალენტინმა, ცაგარელმა** (მოსამსახურე) **პალიანმა, ჯულაშვილმა** (აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშა), **ბერუაშვილმა** (მთავარი სახელოსნო), **ბელკინმა** (დეპო), **ტურაშვილმა** და სხვ.

ა. კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **შ. ელიავამ** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მსოფლიო იმპერიალისტები შეუწყვეტლივ ესხმიან თავს საბჭოთა კავშირს და ცდილობენ შეაფერხონ სოციალიზმის მშენებლობა, ვინაიდან გრძნობენ, რომ საბჭოთა კავშირის გაძლიერებასთან ერთად ახლოვდება მათი აღსასრულის დღე. ჩვენი მტრები ცდილობენ არა მარტო ჩვენს ჩაბმას ომში, არამედ ჩვენთან კეთილად განწყობილ სახელმწიფოების დამარცხებას და ჩვენს გადაკიდებას ჩვენ მეზობლებთან. ამ გზით მათ ვერ მოახერხეს ჩვენი ჩაბმა ომში, ვინაიდან ჩვენ მტკიცედ ვდგევართ მშვიდობიანობის პოლიტიკას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნებას მივცემთ ვისმე დაუსჯელად შეახოს ხელი ჩვენს პროლეტარულ სახელმწიფოს.

ჩვენ საბოლოოდ ავლაგმავთ მსუნაგი იმპერიალისტების და მათი ლაქია თეთრგვარდიელების ბოროტ ზრახვებს. ასეთია მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის ნება. გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

შემდეგ ილაპარაკეს ტყავის ქარხნის, „საქართველოს აბრეშუმის", სტალინის სახელობის ქარხნის მუშებმა და სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ბ. ყურულაშვილმა.**

დასასრულ, გამოვიდა სტალინის სახელობის ქარხნის მუშა ამხ. **შამშავაძე,** რომელმაც განუმეორა მთავრობას თბილისის პროლეტარიატის მოთხოვნილება—მიიღოს გადამჭრელი ზომები ჩვენი მტრების პროვოკაციული გამოსვლების წინააღმდეგ და მიმართა მუშებს წინადადებით გააძლიერონ თავდაცვის უნარიანობა და ფხიზლად ადევნონ თვალყური ამ ამბების შემდგომ განვითარებას. მისი წინადადებით მიტინგი დაიხურა და დემონსტრანტები დაიშალნენ საღამოს 8 საათზე.

დემონსტრაცია სასახლესთან

საპროტესტო მიტინგები თბილისში

თბილისის დეპოს მუშების ხმა

17 ივლისს თბილისის დეპოს და სავაგონო პარკის მუშა-მოსამსახურეებმა მოისმინეს ცნობა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ ამბების შესახებ. რეზოლიუციაში, რომელიც გამოტანილ იქნა ამ ცნობის ირგვლივ, ნათქვამია: „თუმც ჩვენ არა გვსურს ომი და ვცდილობთ შევინარჩუნოთ მშვიდობიანობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვისმეს მივსცემთ ნებას გადმოლახონ ჩვენი საზღვრები. ვსთხოვთ საბჭოთა მთავრობას ერთხელ და სამუდამოდ ალაგმოს ისინი, ვისაც სურთ თავისი ავაზაკური მოქმედებით დაარღვიონ ჩვენი მშვიდობიანი სოციალისტური აღმშენებლობა".

—:—

გუშინ, ნაშუადღევის 8 საათზე, შესდგა სადგ. თბილისის მოძრაობის დარგისა და რკინისგზელ კონდუქტორთა საპროტესტო მიტინგი — ჩინეთის ხელისუფლების პროვოკაციულ მოქმედების გამო აღმოსავლეთის ჩინეთის რკინის გზაზე.

ამხ. გ. სანაკოევმა მიტინგს გააცნო ჩინელ მილიტარისტების თავხედობა საბჭოთა მოქალაქეების მიმართ და აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა მშვიდობიანობის საქმეში.

მქუხარე ტაშის ქვეშ მიღებულ საპროტესტო რეზოლიუციაში, ნათქვამია:

„ჩვენ დიდი კავშირის მუშებთან ერთად ერთხელ კიდევ ყველას გასაგონათ ვაცხადებთ, რომ ჩვენ არ გვსურს ომი, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. თუ ვინმე მას ძალით თავს მოგვახვევს, მზად ვართ იარაღით ხელში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ დიდ ოქტომბრის მონაპოვარი.

ჩინეთის მილიტარისტთა და პროვოკაციულ მოქმედებას ჩვენ ვუპასუხებთ საბჭოთა ქვეყნის უნარიანობის განმტკიცებით ეკონომიურად გაძლიერებით და **ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვების მოთხოვნით.**

კატეგორიულად მოვითხოვთ ჩინეთის ხელისუფლებისაგან დაუყოვნებლივ გააუქმოს ყველა თვითნებური მოქმედებანი, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მიმართ და გაანთავისუფლოს საბჭოთა მოქალაქენი.

—:—

ტყავის ქარხანა № 1-ში სადილის შემდეგ შეგროვდნენ ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეები რომელთაც ამხ. გარინმა გადასცა ყველა ის ამბები, რასაც უკანასკნელ დღეებში ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე.

—„მთელი მუშათა კლასი,—ნათქვამია მიღებულ რეზოლიუციაში,—აღშფოთებით გაიგებს ამბავს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე ჩინელი ავანტიურისტების მიერ მოწყობილი თავდასხმის შესახებ. ჩვენ ღირსეულად შევაფასებთ ჩინელი ავანტიურისტებისა და რუსი თეთრგვარდიელების ასეთ ავანტიურას და შევეცდებით ღირსეულად ვუპასუხოთ ყველა მტერს, რომელიც თავის მზაკვრული ხელით შეეცდება მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოს სუვერენობის შელახვას. ჩვენ არ გვინდოდა ომი, მაგრამ თუ იგი აუცილებელი გახდა, მზადა ვართ როგორც ერთი კაცი, დავდგეთ თოფებით ხელში და დავიცვათ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი.

ა დ გ ი ლ ე ბ ზ ე

ბათუმის მშრომელთა პროტესტი

ბათუმი, 17 ივლისი. შესდგა ბათუმის მშრომელთა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია-მიტინგი ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა პროვოკაციული გამოსვლის საპასუხოდ. მიტინგმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ბათუმის მშრომელთა მრავალრიცხოვანმა მიტინგმა, რომელიც შეიკრიბა ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა და ჩინეთში გარდახვეწილ თეთრგვარდიელთა პროვოკაციული გამოსვლების საპროტესტოთ, მოისმინა ამხ. მამულიას მოხსენება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი თავდასხმისა, საბჭოთა დაწესებულებების დარბევისა და საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა დაპატიმრების შესახებ. ბათუმის მშრომელები აღშფოთებას გამოსთქვამენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი ამბების გამო და მოითხოვენ რათა საბჭოთა კავშირის მთავრობამ მიიღოს გადამწყვეტი ზომები.

საბჭოთა აჭარისტანის მშრომელები ისე, როგორც მთელი დიადი საბჭოთა კავშირის მშრომელები, მზად არიან მუშათა და გლეხთა მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე, იარაღით ხელში დაუდგენ თავისი სოციალისტური სამშობლოს სადარაჯოზე. დაე, იცოდენ ჩინეთის თეთრგვარდიელებმა და საერთაშორისო იმპერიალისტურმა მტაცებლებმა, რომ ჩინეთის მშრომელმა ხალხმა და მთელი ქვეყნის საერთაშორისო პროლეტარიატმა უკვე იცის, რომ საბჭოთა კავშირი არის ჩინეთის ხალხის და საერთოდ ყველა დაჩაგრულ ხალხების ერთად-ერთი მეგობარი. საერთაშორისო მუშათა კლასი სათანადო პასუხს გასცემს ყველა მათ, ვინც გაბედავს და გაკადნიერდება გაილაშქროს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ბათუმის მშრომელებს და აჭარისტანის მთელი ფუხარა ხალხს აუცილებლად და საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ჩინეთის მილიტარისტების ამგვარი გამოსვლის საპასუხოდ, გაძლიერებულ იქნეს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ტემპი, უფრო განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის უნარიანობა. ამ მიზნით მიტინგი ერთხმად ადგენს იშუამდგომლოს მთავრობასთან, რათა სასწრაფოდ იქნეს გამოშვებული **ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი.**

ძირს ჩინეთის მილიტარისტები და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ყველა მტრები! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მშრომელთა მთლიანობას! ძირს ჩინეთის ყაჩაღური მთავრობა, გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციას"!

მოვითხოვთ გადამჭრელ ზომებს

ქუთაისი, 17 ივლისი. 16 ივლისს შესდგა ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის, სატრანსპორტო, პოლიგრაფიული, მკერავთა და მშენებელთა პროფკავშირების წევრთა გაერთიანებული საპროტესტო მიტინგი. დაესწრო 1.500 კავშირის წევრი. მიტინგზე მოსმენილ იქნა ცნობა ჩინეთის ხელისუფლების მორიგ, უხეშ პროვოკაციულ გამოსვლის შესახებ. მიტინგი პროტესტს აცხადებს ჩინეთის მთავრობის ასეთ თავხედურ მოქმედების გამო და აღიარებს, რომ მზად იქნება დაიცვას და შეინარჩუნოს ოქტომბრის მონაპოვარი. მიტინგი აღშფოთებას გამოსთქვამს ჩინეთის მთავრობის და რუს თეთრგვარდიელთა თარეშის გამო. მიტინგი მოითხოვს საბჭოთა მთავრობისაგან ამ პროვოკაციულ გამოსვლის საწინააღმდეგოდ მიღებულ იქნას კატეგორიული და გადამჭრელი ზომები, აღდგენილ იქნას ნორმალური მდგომარეობა ჩინეთის რკინის გზებზე თეთრგვარდიელთა განდევნით და განთავისუფლებულ იქნან ყველა დაპატიმრებულნი.

დავიცავთ სოციალისტურ რევოლიუციას

ოზურგეთი, 17 ივლისი. ოზურგეთის აბრეშუმის ქარხნის მუშათა გაერთიანებული კრება გამოსთქვამს უდიდეს აღშფოთებას ჩინეთის ხელისუფლების და რუს თეთრგვარდიელთა მიერ ჩადენილ ყაჩაღურ თავდასხმის გამო.

— ვთხოვთ საბჭოთა მთავრობას—ნათქვამია რეზოლიუციაში—მიიღოს ყოველგვარი ზომები კაპიტალისტების მორიგ ავანტიურის და თავხედობის წინააღმდეგ. ვიძლევით მტკიცე მუშურ სიტყვას, რომ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ, პირველსავე გამოძახილზე დავიცავთ სოციალისტური რევოლიუცია.

ზიზღი ჯალათებს

სამტრედია, 17 ივლისი. სამტრედიის ძაფ-ხალების ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ, რომელსაც დაესწრო 490 კაცი, მოისმინა ცნობა ჩინეთის მთავრობის მორიგ უხეშ გამოსვლის შესახებ. საერთო კრება აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელებს არა სურთ ომი, მაგრამ თუ ბურჟუაზია გაბედავს საბჭოთა კავშირის საზღვრების გადმოლახვას, ჩვენ მზად ვიქნებით იარაღით ხელში გავსცეთ მტერს ღირსეული პასუხი.

ზიზღი ჩინეთის გათავხედებულ მთავრობას. ზიზღი მსოფლიო ბურჟუაზიას და მის ლაქიას მეორე ინტერნაციონალს.

უკანასკნელი ცნობები

მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომა

ლონდონი, 17 ივლისი. გუშინ გაიმართა მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომა, მოელოდნენ, რომ ამ სხდომაზე „იფეთქებდა" პარტიის რიგის წევრების „ბუნტი" ბელადების წინააღმდეგ. მაგრამ არავითარი „ბუნტი" არ მომხდარა. სხდომას თავმჯდომარეობდა მაკდონალდი, რომელმაც ნოტაციებით მიმართა „ბუნტოვშჩიკებს" და აღნიშნა, რომ მუშათა პარტიის წევრების ყოველგვარი გამოსვლა მთავრობის წინააღმდეგ თემთა პალატაში ძალიან აძნელებს მთავრობის მდგომარეობას. სხდომას არავითარი რეზოლიუცია არ მიუღია, მაგრამ ფრაქციის რიგის წევრებს არ გაულაშქრიათ მაკდონალდის ნოტაციების წინააღმდეგ. იმავე სხდომაზე მაკდონალდმა განმარტა თავისი განცხადება თემთა პალატაში ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლების საკითხზე. ის ცდილობდა დაემტკიცებია, რომ ლიბერალები არ დაუჭერდნენ მხარს ურთიერთობის დაუყოვნებლივ და ყოველგვარი პირობის გარეშე აღდგენას; ურთიერთობის ასეთ აღდგენას, მაკდონალდის სიტყვით, შეეძლო საფრთხე შეექმნა მთავრობის შემდგომი არსებობისათვის. მაგრამ ეს განმარტება დამაკმაყოფილებელი არ გამოდგა დეპუტატების ფრაქციის სხდომაზე დამსწრეთა საგრძნობი რიცხვისათვის. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ თემთა პალატაში მაკდონალდის განცხადების შემდეგ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის აღდგენა საბოლოოდ შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ შემოდგომაზე, როცა გაიხსნება პარლამენტის ახალი სესია. პოლიტიკური წრეების მთავარი ყურადღება მიქცეულია იმ საკითხზე, თუ როგორ მოეპყრობა საბჭოთა მთავრობა ჰენდერსონის წინადადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობამ ლონდონში გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი მოსალაპარაკებლად. (ადს).

ანტისაბჭოთა ყალბი დოკუმენტების დამამზადებელთა ახალი მხილება

ბერლინი, 16 ივლისი. მემარცხენე გაზეთი „ბერლინ ამ მორგენ"-ი მბეჭდავს ახალ მხილებებს და იუწყება, რომ ანტისაბჭოთა ყალბი დოკუმენტების ერთ-ერთი დამამზადებელი გუმანსკი 1925 წელს დააპატიმრეს ბერლინში და იგი უნდა გადაესახლებიათ, მაგრამ ეს დადგენილება შემდეგ გააუქმეს, რადგან ამაზე ზრუნავდა სოციალ-დემოკრატი ედუარდ ბერნშტეინი, რომელმაც გრჟეზინსკის მიმართა (ბერლინის მაშინდელი პოლიციი-პრეზიდენტი, ეხლა კი პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი). შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ პავლონოვსკი ხშირად მიდიოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ ორგანოს „ფორვერტს"-ის რედაქციაში, კერძოდ „ინფორმაციის" გადასაცემად მენშევიკური საინფორმაციო ბიუროსათვის, რომელიც ამ გაზეთის შენობაში იმყოფება (ადს).

ბრალდებულთა აპელაცია უარყვეს

ლონდონი, 17 ივლისი. ალახაბადიდან (ინდოეთი) მიღებული ცნობებით, უზენაესმა სასამართლომ უარყო მირუტის პროცესზე ბრალდებულთა აპელაცია. ისინი მოითხოვდნენ, რომ საქმე გარჩეულიყო ალახაბადში, აპელაცია შეტანილ იქნა იმ მიზნით, რომ მიეღწიათ საქმე გარჩეულიყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. „დეილი ჰერალდ"-ის ცნობებით, ინგლისის პროფკავშირთა გენერალური საბჭო პროფკავშირთა ინდოეთის კონგრესთან და ინგლისის მთავრობასთან გამართავს მოლაპარაკებას მირუტის საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე (ადს).

პოლიტპატიმართა სიმშილობა გრძელდება

რიგა, 16 ივლისი. პოლიტიკური პატიმრების სიმშილობა რიგის ცენტრალურ ციხეში კვლავ გრძელდება. ციხის მმართველობამ სეიმის მუშურ-გლეხური ფრაქციის დეპუტატებს არ დართო ნება მისულიყვნენ ციხეში პატიმართა მღელვარების და სიმშილობის მიზეზების გამოსარკვევად. არსებული ცნობებით, მღელვარების ჩაქრობის დროს მძიმედ დასჭრეს 2 პოლიტიკური პატიმარი (ადს).

წითელ ფრონტელთა შეკრება

ბერლინი, 16 ივლისი. წითელ ფრონტელთა კავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციამ საარბრიუკენში გამართა წითელ ფრონტელთა შეკრება, რომელშიაც კავშირის წევრებს გარდა მონაწილეობა მიიღო 5.000 მუშაზე მეტმა (საარბრიუკენი—ქალაქია საარის ოლქში, რომელსაც მართავს განსაკუთრებული საერთაშორისო კომისია და რომელზედაც არა ვრცელდება წითელ ფრონტელთა კავშირის აკრძალვა). ფაშისტები ცდილობდნენ დასხმოდნენ თავს შეკრების მონაწილეთ, მაგრამ ისინი უკუგდებულ იქნენ (ადს).

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტის გადასახლება სამხრეთ-სლავიიდან

ბერლინი, 16 ივლისი. გერმანიის ელჩმა ბელგრადში სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცა ნოტა სამხრეთ-სლავიიდან „ბერლინერ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტის გადასახლების შესახებ (ადს).

ბერლინის პროლეტარიატის სოლიდარობის დემონსტრაცია

ბერლინი, 16 ივლისი. შესდგა ბერლინის პროლეტარიატის სოლიდარობის მესამე დემონსტრაცია, რომელიც მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტმა მოაწყო. სოლიდარობის დემონსტრაციაში და საზეიმო სხდომაში მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 20.000 კაცმა. დემონსტრაციამ და მასიურმა მიტინგმა ჩაიარა ლოზუნგებით: „ძირს იმპერიალისტურ ომს", „ძირს წითელფრონტელთა კავშირის დამშლელნი", „დავიცავთ საბჭოთა კავშირს" (ადს).

საფრანგეთის პალატამ უარყო წინადადება რატიფიკაციის გადადების შესახებ

პარიზი, 16 ივლისი. დეპუტატთა პალატამ ნდობა გამოუცხადა მთავრობას და 304 ხმის უმრავლესობით 289 ხმის წინააღმდეგ უარყო წინადადება—გადადებულიყო ვალების შესახებ არსებულ შეთანხმებათა რატიფიკაცია (ადს).

დეპუტატების დაჭრა

ვარშავა, 16 ივლისი. დასტურდება ცნობა იმის შესახებ, რომ სეიმის ბელორუსთა მუშურ-გლეხური ფრაქციის დეპუტატები გავრილიუკი და კრიმჩუკი რევოლვერით დაჭრეს მიტინგზე, რომელიც გამართა ბელორუსიის დაბა კორევიჩში.

პრესა აღასტურებს იმ ეჭვსაც, რომ დეპუტატებს ესროლეს სამოქალაქო ტანისამოსში გადაცმულმა პოლიციელებმა (ადს).

მუშების გამარჯვება

ულან-ბატორი, 16 ივლისი. გაფიცვა ჩინელთა ტყავის საწარმოებზე ულან-ბატორში მუშების გამარჯვებით დამთავრდა. მუშების ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილეს (ადს).

ძლიერი მიწისძვრა

თეირანი, 16 ივლისი. ხორასნის პროვინციაში კვლავ მოხდა ძლიერი მიწისძვრა. დაინგრა ქალაქი ფარუჯუ. არის ადამიანთა მსხვერპლი (ადს).

—:—

ამხ. ამდილიანი დატოვებულ იქნა სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ის შემადგენლობაში

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. ს. კ. შემმოწმებელმა კომისიამ 16 ივლისს განიხილა დამატებითი ცნობები სომხეთის კომპარტიის (ბ) ც. კ-ის წევრის ამხ. ამდილიანის საქმის გამო, ხელახლა წარდგენილი ცნობები საფუძვლიანად და, მიიღო რა მხედველობაში სომხეთის კომპარტიის (ბ) ც. კ-ის დადებითი აზრი მის შესახებ დაადგინა: გააუქმოს 6 ივლისის დადგენილება ამხ. ამდილიანის შესახებ და დასტოვოს იგი სომხეთის კომპარტიის (ბ) ც. კ-ის შემადგენლობაში (ადს).

დამთავრდა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის პასუხისმგებელი ამხანაგების შემოწმება

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. ს. კ. შემმოწმებელმა კომისიამ, დაამთავრა რა ამიერ-კავკასიის პასუხისმგებელ მუშაკთა შემოწმება, განაცხადა, რომ შემდგომი აპელაციები კომისიის გადაწყვეტილებებზე დადგენილი წესით უნდა გაიგზავნოს საკ. კ. პ. (ბ) ც. ს. კომისიაში (მოსკოვში).

„გაუბედავი პოლიტიკის" კრიტიკა

ლონდონი, 16 ივლისი. პარლამენტის სხდომაზე მუშათა პარტიის წევრმა—დეპუტატებმა ახალი მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს მაკდონალდის მთავრობის პოლიტიკა.

კრიტიკის ერთ-ერთ საბაბად გახდა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის გრინვუდის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია საბინაო მშენებლობისთვის სუბსიდიის მიცემის შესახებ.

რეზოლიუციის კრიტიკით გამოვიდა უიტლი (ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი მაკდონალდის პირველ კაბინეტში), რომელმაც აღნიშნა, რომ მაკდონალდის მთავრობა საბინაო საკითხში განაგრძობს კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკას. უიტლიმ, სხვათა შორის სთქვა:

„თუ მთავრობა განაგრძობს გაუბედავი პოლიტიკით თავისი მეგობრების იმედების გაცრუებას, იგი დაჰკარგავს ქვეყნის ნდობას".

გრინვუდის რეზოლიუცია კენჭის უყრელად იქნა მიღებული.

ბროუნმა სასტიკად გააკრიტიკა ტომასის პროექტი „კოლონიების განსავითარებელი სამუშაოების" შესახებ, ბიუკენენმა, კოლხედმა და შელონმა მკაცრად გაილაშქრეს იმ კანონპროექტის წინააღმდეგ, რომელიც უმუშევრობის დაზღვევას შეეხება. მათ განაცხადეს, რომ მთავრობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი „აღმაშფოთებელი უსამართლობაა" (ადს.)

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ახირებული საქციელი

ლონდონი, 16 ივლისი. ლიბერალური „სტარ"-ი კომენტარიებს უკეთებს ჰენდერსონისა და მაკდონალდის განცხადებას ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლების საკითხზე და აღნიშნავს „საგულისხმო გვერდის ახვევას". წინედ მთავრობა აცხადებდა, რომ იგი ელის დომინიონების აზრის მიღებას, რათა გადადგმულ იქნას რაიმე ნაბიჯები. ეხლა, როცა ამ ნაბიჯებს სდგამენ, მთავრობა არ აქვეყნებს დომინიონების პასუხის შინაარსს. გაზეთი ფიქრობს, რომ დომინიონების მთავრობები თანახმანი არიან ურთიერთობის განახლებაზე, მაგრამ მაკდონალდი ამის შესახებ არაფერს ამბობს.

დასასრულ გაზეთი იწონებს მაკდონალდის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ მოლაპარაკების შედეგები დასამტკიცებლად წარუდგინოს პარლამენტს და აცხადებს, რომ ყოველთვის „უპირატესობა უნდა მიეცეს პოლიტიკის თანმიმდევრობას, თუკი შეიძლება ამის მიღწევა" (ადს).

„სეტარე" ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ირანი, 16 ივლისი. გაზეთ „სეტარე"-ში „ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლება"-ს სათაურით მოთავსებულია მოწინავე წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის ურთიერთობის განახლების საკითხი ახლო მომავალში უკვე ხორცშესხმული ფაქტი იქნება.

ამ საკითხს გაზეთი მეტად საყურადღებო საკითხად სთვლის, „რადგან, ეჭვი არ არის, ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობის განახლებას აღმოსავლეთის პოლიტიკაში აცილებელი ცვლილებები უნდა მოჰყვეს (ადს).

აეროპლანი „საბჭოთა ფრთები" პარიზში

პარიზი, 16 ივლისი. აეროპლანი „საბჭოთა ფრთები" 18 საათსა და 45 წუთზე ბურჟეს აეროდრომზე დაეშვა და ამრიგად 5 საათისა და 15 წუთის განმავლობაში 960 კილომეტრი გაიარა.

აეროპლანს შეხვდნენ მხოლოდ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის, სავაჭრო წარმომადგენლობის და ლიუფტგანზის წარმომადგენლები.

აეროდრომი შემორტყმული იყო პოლიციელების ძლიერი რაზმებით. აეროპლანით ჩამოსულების ბარგი გულდასმით იქნა გაჩხრეკილი (ადს).

ორლოვისა და პავლონოვსკის პროცესის შემდეგ

პრესის კომენტარიები

ბერლინი, 16 ივლისი. „ფრანკფუტერ ცეიტუნგ"-ი აღნიშნავს, რომ ორლოვისა და პავლონოვსკის პროცესზე „ფარდა მხოლოდ ოდნავ აიწია". გაზეთი სწერს: „თუ ეს ადამიანები სიძულვილის გამო, ბოროტად იყენებენ თავშესაფარის უფლებას,ყალბი საბუთების საშუალებით უნდობლობას და მტრობას სთესენ ცალკე სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, მათ უფლება არა აქვთ სჩიოდნენ, როდესაც თავშესაფარს აღარ აძლევენ".

„როტე ფანე" აცხადებს, რომ მომავალშიაც განაგრძობს გამომჟღავნებას, „მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიულმა სასამართლომ მიაფუჩეჩა ორლოვსკისა და პავლონოვსკის საქმე". გაზეთი ეყრდნობა იმ მასალას, რომელიც მის განკარგულებაშია და ამტკიცებს, რომ ორლოვი რამდენიმე წლის განმავლობაში იყო „გერმანიის ოფიციალურ დაწესებულებათა თანამშრომელი" და ღებულობდა განსაზღვრულ ჯამაგირს. იმ საკითხებში, რომელნიც ეხებოდნენ საბჭოთა კავშირის და შინაურ კომუნისტების წინააღმდეგ, იგი ხელმძღვანელ როლსაც კი თამაშობდა.

გაზეთის სიტყვით, ყოველთვის, როდესაც საბჭოთა მოქალაქე შეიტანდა თხოვნას გერმანიაში შესასვლელი ვიზის მიცემის შესახებ, ორლოვს მიმართავდნენ იმისათვის, რომ მიეწოდება ცნობები „მთხოვნელის" შესახებ. ორლოვს ეძლეოდა აგრეთვე ბევრად უფრო სერიოზული და უაღრესად საპასუხისმგებო დავალებები. ორლოვი ძალიან დიდ გასამრჯელოს იღებდა.

ბარტელსის იმ ჩვენებას, რომ ორლოვი „უსასყიდლოდ მუშაობდა", გაზეთი სიცრუეს უწოდებს. (ადს)

ბერლინი, 16 ივლისი. ორლოვი გაანთავისუფლეს. მას ნება დართეს დარჩეს გერმანიაში და იცხოვროს სანდაუს კოშკში. საცხოვრებელი ადგილის გამოსაცვლელად ორლოვმა უნდა მიიღოს ბერლინის პოლიციის უფროსის ნებართვა. არ არის აგრეთვე გადაწყვეტილი საკითხი პავლონოვსკის გადასახლების შესახებ (ადს).

დემონსტრაცია მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად

ვენა, 16 ივლისი. ვენაში გაიმართა დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო ავსტრიის კომპარტიამ 1927 წლის ივლისის ამბების მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად, დემონსტრაციამ ჩაიარა საერთაშორისო წითელი დღის— პირველ აგვისტოსთვის მზადების ლოზუნგით. დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკებები. დააპატიმრეს დემონსტრაციის რამდენიმე მონაწილე (ადს).

მღელვარება სათადარიგო ჯარისკაცებს შორის

პარიზი, 16 ივლისი. „ლუმანიტე"-ს ცნობით, რიუშარის ბანაკში, სადაც დაბანაკებულია მე-32 ქვეითა პოლკი, მოხდა სერიოზული მღელვარება სათადარიგო ჯარისკაცებს შორის. ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს გასულიყვნენ მეცადინეობაზე და მოითხოვეს იმ თავიანთი ამხანაგის განთავისუფლება, რომელიც აკრიტიკებდა ბანაკში არსებულ რეჟიმს. მღელვარება შესწყდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა დაპატიმრებული განთავისუფლეს. (ადს)

პარიზის მუშების დემონსტრაცია

ბასტილიის აღების 140 წლისთავის აღსანიშნავად

პარიზი, 16 ივლისი. ბასტილიის აღების 140 წლისთავის შესრულების აღსანიშნავათ პარიზში და მის მახლობელ უბნებში გაიმართა მუშათა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები, 140 წლისთავის დღესასწაულის შოვინისტური მიზნებით გამოყენების საწინააღმდეგოთ დემონსტრანტებს მოუხდათ პოლიციელებთან შეტაკება. სენ-დენის, კლიშის და ვიტრის უბნებში, მუშებმა პატრიოტული გამოსვლებისა და „მარსელიოზის" სიმღერის საპასუხოთ, იმღერეს „ინტერნაციონალი", რომელსაც ამთავრებდენ ძახილით — „ძირს იმპერიალისტური ომი, გაუმარჯოს ამნისტიას". მონტერში, 1000-ზე მეტი მუშა გაემართა ქალაქის თვითმმართველობის ეზოსკენ „ინტერნაციონალის" მღერით.

პოლიციამ ვერ შესძლო მანიფესტანტების გაფანტვა და ამიტომ გამოიწვიეს ჟანდარმერია. პარიზის ზოგიერთ უბნებში პოლიცია სდევნიდა და აპატიმრებდა კომკავშირის გაზეთის — „ავანგარდ"-ის გამყიდველებს. პოლიციასთან დიდ შეტაკებებს ადგილი ქონდა ბასტილიის მოედანზე, სადაც კომუნისტურ „ლიუმანიტეს" გადმოცემით, გაზეთის გამყიდველის დაპატიმრებისა და მასთან უხეშათ მოპყრობის შემდეგ, ხალხმა სცემა სამ პოლიციელს. აპატიმრებდნენ რემედასის ნიშნებისა და გამოცემების გამყიდველებსაც. მთელი დღის განმავლობაში პარიზში დაპატიმრებულია 30-ზე მეტი კაცი.

ამასთანავე ერთად მთავრობამ მიმართა სასტიკ რეპრესიულ ზომებს მუშათა ორგანიზაციებისა და მუშათა გაზეთების წინააღმდეგ. თავის ბინაზე დააპატიმრეს კომუნისტური ჟურნალის — „ინტერნაციონალ"-ის პასუხისმგებელი რედაქტორი კომუნისტი კალზანი, რომელსაც ბრალად სდებენ ჯარისკაცებისადმი მოწოდებას აჯანყების შესახებ. (ადს).

დასავლეთ უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 9 წლის თავი

ხარკოვი, 17 ივლისი. შესრულდა 9 წელიწადი მას შემდეგ, რაც დასავლეთ უკრაინაში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა ხელისუფლებამ იქ ორ თვეს იარსება და შემდეგ იგი პოლონეთის ფაშიზმმა დაახრჩო.

ეს სახელოვანი თარიღი ყველგან აღინიშნა უკრაინაში.

ხარკოვში შესდგა პოლიტემიგრანტებისა და რემედასის აქტივის მრავალრიცხოვანი საქალაქო კრება. კრებას მიესალმნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

ჟიტომირში შესდგა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი იმის წინააღმდეგ, რომ პოლონეთის ფაშიზმი აშკარად იგდებს ეროვნულ უმცირესობებს, კერძოდ, მშრომელ უკრაინელებს. მიღებულ რეზოლიუციაში ვოლინის მშრომელნი მოითხოვენ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებას საპყრობილეებიდან. მიტინგზე დამსწრენი მთელი შემადგენლობით ჩაეწერნენ რემედასში (ადს).

უცხოეთში მცხოვრებ პოლონელთა ყრილობა

ვარშავა, 15 ივლისი. 15 ივლისს სეიმის სხდომის დარბაზში გაიხსნა პოლონეთის გარეთ მცხოვრებ პოლონელთა ყრილობა. დარბაზი მორთულია იმ სახელმწიფოთა დროშებით, საიდანაც ჩამოვიდნენ დელეგაციები. დემონსტრატიულად დატოვებულია ცარიელა ადგილები, რომლებზედაც გამოკიდებულია პლაკატი, რომ ეს ადგილები დატოვებული იყო საბჭოთა კავშირის და ლიტვის დელეგატებისთვის. ყრილობის გახსნას დაესწრო პრეზიდენტი მოსციცკი. ყრილობის გახსნა ჩატარდა ყოველგვარ ენტუზიაზმის გარეშე, რაც გამოწვეულია დელეგაციების შიგნით არსებული განხეთქილებით. ამ განხეთქილებათა გამო მთელ რიგ ორგანიზაციებმა უარი სთქვეს მიიღონ ყრილობაზე მონაწილეობა. ასე, არ ჩამოვიდა ყრილობაზე ამერიკის დელეგაციის ნაციონალურ-დემოკრატიული ნაწილი. არ ჩამოვიდა აგრეთვე ბელგიის დელეგაციის ნაწილი.

ვარშავა, 16 ივლისი. სახალხო პარტიის გაზეთები უკვე აშკარად სწერენ, რომ ყრილობის პირველ სხდომაზე თავი იჩინა უთანხმოებამ.

მთავრობასთან დაახლოვებული გაზეთები მალავენ ყრილობის დამარცხებას.

„კურიერ პორანნი" ყრილობისადმი მიძღვნილ მოწინავეში აღნიშნავს, რომ ყრილობას არ შეუძლია თავისი თავი პოლონეთის გარეშე მცხოვრებ ყველა პოლონელების წარმომადგენლად ჩასთვალოს. ამასვე აღნიშნავს პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „რაბოტნიკ"-ი.

ყრილობამ ვერ აიცილა თავიდან პილსუდსკის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ბრძოლა, რამაც ყრილობის ორგანიზატორები იძულებულნი გახადა მიეფუჩეჩებინათ ყრილობის პროგრამა და მთელი მუშაობა გადაეტანათ კომისიებში. პირველი პლენარული სხდომის გარდა კიდევ შესდგება ერთი პლენარული სხდომა კომისიებში მიღებული რეზოლიუციებისათვის ხმის მისაცემად.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე შიმანსკი თავის მისასალმებელ სიტყვაში შეეხო ყრილობაზე არ გამოცხადებული დელეგატების საკითხს. „ჩვენ,—სთქვა შიმანსკიმ— უარვყავით დელეგატების მიღება საბჭოთა კავშირიდან. ჩვენ არ შეგვეძლო დაგვეშვა, რომ ყრილობის ტრიბუნა გამოყენებული ყოფილიყო ბოლშევიკური პროპაგანდისთვის, როგორც ამას იუწყებოდენ საბჭოთა გაზეთები, რომლებიც პოლონურ ენაზე გამოდიან. ჩვენ ამ დელეგაციის ჩამოსვლას ზედმეტად ვსთვლიდით მისი განცხადების გამო, რომ რომ მას თავის სამშობლოდ მიაჩნია საბჭოთა კავშირი".

მთავრობის სახელით გამოსულმა ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ პოლონეთის მთავრობა ესალმება ყრილობის ყველა დელეგატებს, მათი პოლიტიკური რწმენის მიუხედავად.

ყრილობა აირჩევს პოლონეთის გარეშე მცხოვრებ პოლონელებთან მუდმივი კავშირის დამჭერ ბიუროს. ბიუროს შემადგენლობის საკითხზე სწარმოებს მწვავე ბრძოლა.

ვარშავამ მეტად მცირე ინტერესი გამოიჩინა ყრილობისადმი (ადს).

ვარშავა, 16 ივლისი. პირველი საზეიმო სხდომის შემდეგ ყრილობა თითქოს ჩაკვდა. მუშაობენ მხოლოდ კომისიები, მათი გადაწყვეტილებების შესახებ პრესაში ერთი სიტყვაც არ თავსდება. სამანდატო კომისია ყრილობას არ აურჩევია. ისიც კი გამოურკვეველია, თუ რამდენი დელეგატი ჩამოვიდა, ზოგიერთი ცნობებით, ჩამოსულია 80 დელეგატი, სხვა ცნობებით—110. სრული სიჩუმეა აგრეთვე იმაზე, თუ როგორ ირჩევდნენ ამ დელეგატებს ადგილებზე (ადს).

სარეპარაციო კონფერენციის გარშემო

ლონდონი, 16 ივლისი. „დეილი ტელეგრაფ"-ი იუწყება, რომ ინგლისის მთავრობამ მეორე ნოტით მიმართა საფრანგეთის მთავრობას, რომელშიაც განმეორებით მოითხოვს, რომ პოლიტიკური სარეპარაციო კონფერენცია მოწვეული იქნას ლონდონში. ამ ნოტაზე პასუხი ჯერ კიდევ არ მიუღიათ.

„დეილი ტელეგრაფ"-ის მიმომხილველი აღნიშნავს, რომ პარიზიდან გადმოცემული კერძო ცნობების მიხედვით, პუანკარე დაჟინებით მოითხოვს, რომ კონფერენცია მოწვეული იქნას ნეიტრალურ სახელმწიფოში. არსებითად წვრილ საკითხს კონფერენციის მოწვევის ადგილის შესახებ, პარიზსა და ლონდონს შორის წარმოებული პოლემიკის გამო, განსაზღვრული მნიშვნელობა ეძლევა. ითვალისწინებს რა ინგლისის მთავრობის სურვილს, რომ კონფერენცია მოწვეული იქნას სულ მოკლე ხანში, პუანკარე ფიქრობს, რომ თუ იგი დაჟინებით მოითხოვს ნეიტრალურ სახელმწიფოში კონფერენციის მოწვევას, ის მიაღწევს კონფერენციის გადადებას. მეორეს მხრით, ინგლისის კაბინეტის წევრებს, რომელნიც წინედ ხშირად აკრიტიკებდნენ ჩემბერლენს იმისათვის, რომ იგი საფრანგეთს ეთანხმებოდა, ეშინიათ, რომ მათი პოპულიარობის საქმეს ვნებას მოუტანს ის, თუ ისინი საფრანგეთს დაუთმობენ თვით უმნიშვნელო საკითხშიაც კი (ადს).

გაფიცვების ტალღა

საყოველთაო გაფიცვა

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. წისქვილებისა და ელევატორების მუშათა გაფიცვა როზარიოს ნავთსადგურში საყოველთაო გაფიცვად გადაიქცა. მუშები მოითხოვენ სამუშაოზე მხოლოდ კავშირის წევრთა მიღებას. როზარიოს ნავთსადგურში და თვით ქალაქში საქმიანობა შეჩერებულია (ადს).

დემონსტრატიული გაფიცვა

პარიზი, 16 ივლისი. რუანის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებმა ჩაატარეს 48 საათიანი დემონსტრატიული გაფიცვა. მუშა-მოსამსახურეები მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას. ადმინისტრაცია სცდილობდა გამოეყენებინა შტრეიკბრეხერები და პარკიდან რამდენიმე ვაგონი გამოუშვა. გაფიცულთა ჯგუფები, უმთავრესად ქალები, ლიანდაგზე გაწვნენ და ხელი შეუშალეს ამ განზრახვის განხორციელებას (ადს).

გაფიცულთა გამარჯვება

პარიზი, 16 ივლისი. ტულონში დოკერების გაფიცვა სრული გამარჯვებით დამთავრდა. დამქირავებლები იძულებულნი გახდნენ ხელფასი 4 ფრანკით გაედიდებიათ და „ეცნოთ" დოკერების უნიტარული პროფკავშირი (ადს).

„როტე ფანე"-ს მოწოდება

ვენა, 16 ივლისი. სოციალ-დემოკრატები მუშებს მოუწოდებენ, გამართონ 14 ივლისს დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავი „საზეიმო კრება" იმ სასაფლაოზე, სადაც დამარხულნი არიან 1927 წლის ივლისის მსხვერპლნი.

ამის საპასუხოდ „როტე ფანე"-მ კომპარტიის და რევოლუციონური ორგანიზაციების სახელით გამოაქვეყნა მოწოდება, რომლითაც მოუხმობს მუშებს, მოაწყონ ამ დღეს სასაფლაოზე დემონსტრაცია სამხედრო საფრთხესთან, ფაშიზმთან და იმ მოღალატე სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლის ლოზუნგით, რომლის ბრალიც არის მუშათა ივლისის დამარცხება. (ადს).

პაველიჩისა და პერჩიჩის საქმე

ვენა, 16 ივლისი. ბელგრადში საგანგებო სასამართლოში დაიწყო ხორვატიის სეპარატისტთა უფლებრივი პარტიის ლიდერების პაველიჩისა და პერჩიჩის საქმის განხილვა. მათ ჰბრალდებათ სახელმწიფოს ღალატი. საქმე ბრალდებულთა დაუსწრებლად ირჩევა, რადგან, პრესის გადმოცემით, ისინი ვენაში იმყოფებიან.

ბრალდების მთავარი მუხლია—სოფიაში გამგზავრება სამხრეთ-სლავიის წინააღმდეგ მაკედონელ ორგანიზაციებთან ერთად გამოსვლის მიზნით. ბრალდებულთ სიკვდილით დასჯა მოელით.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს შენიშვნა: ხორვატიის უფლებრივი პარტია ხორვატიის წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის ინტერესებს იცავს. იგი უკიდურესი კონსერვატიული პარტიაა და მოითხოვს ხორვატიის გამოყოფას სამხრეთ-სლავიიდან. პარტია დაშლილია ჟივკოვიჩის მთავრობის ბრძანებით (ადს).

ბულგარეთის პრემიერის შეხვედრა სამხრეთ-სლავიის ელჩთან

ვენა, 16 ივლისი. სოფიიდან გადმოცემული ცნობით, იქ მოხდა ბულგარეთის პრემიერის ლიაპჩევის შეხვედრა სამხრეთ-სლავიის ელჩ ნეშიჩთან. შეხვედრის მიზანია ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის ურთიერთობის მოწესრიგება.. ეს ურთიერთობა გამწვავდა საზღვრებზე მომხდარი კონფლიქტების გამო. სამხრეთ-სლავიამ არაფერი დასთმო, ამიტომ შეხვედრას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. (ადს).

მეტეორიტის ჩამოვარდნა

თეირანი, 16 ივლისი. თავრიზიდან იუწყებიან, რომ 27 ივნისს, დაახლოვებით საღამოს 9 საათზე, თავრიზის ჰორიზონტზე დასავლეთის მიმართულებით გადაიფრინა უზარმაზარმა მეტეორმა, რომლის დიამეტრი ნახევარ მეტრს უდრიდა. მეტეორმა ქალაქს მოჰფინა თვალის მომჭრელი სინათლე. მეტეორის ჩამოვარდნას მოჰყვა გრიალი, რომელიც ზარბაზნის ხმას ჰგავდა (ადს).

სხვადასხვა

● **ჰიუგო ჰოფმანსტალის გარდაცვალება.** უეცრად გარდაიცვალა ცნობილი ავსტრიელი მწერალი ჰიუგო ჰოფმანსტალი. მას დამბლა დაეცა, როდესაც გაიგო, რომ მისმა უფროსმა შვილმა თავი მოიკლა (ადს.)

● **კომუნისტური გაზეთების აკრძალვა.** ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ორგანო „რუდე პრავო" და მისი საღამოს გამოცემა, „დელნიჩკა როვნოსტ"-ი რესპუბლიკის დაცვის კანონის ძალით ერთი თვით აკრძალეს (ადს).

● **საპირველმაისო ფურცლების გავრცელებისათვის** ბუქარესტში დამთავრდა ხუთი ახალგაზრდა მუშის პროცესი. მათ საპირველმაისო ფურცლების გავრცელება ჰბრალდებოდათ. მთავარ ბრალდებულს, საყმაწვილო ჟურნალის „ტანარიულ ლუპტატორ"-ის რედაქტორს პოპესკუს დაუსწრებლად 6 თვით პატიმრობა მიუსაჯეს. სხვა ბრალდებულებს ორიდან სამ წლამდე პატიმრობა მიესაჯა. (ადს).

● **ბოლდუინი ხელახლა აირჩიეს ლიდერად.** ბოლდუინი კვლავ აირჩიეს კონსერვატიული პარტიის ლიდერად თემთა პალატაში (ადს).

ამხ. მილიუტინი—რ. ს. ფ. ს. რ. მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

მოსკოვი, 17 ივლისი. რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭომ ამხ. მილიუტინი დანიშნა მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარეთ. იგი განთავისუფლებულ იქნა რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილეობისაგან (ადს).

ბათომის წყალსადენის გასაფართოვებლად

მოსკოვი, 17 ივლისი. ცენტრალური კომუნალური ბანკის გამგეობამ გადასწყვიტა— 50.000 მანეთი მისცეს ბათომის ქალაქის აღმასკომს ბათომის წყალსადენის გასაფართოებლად და ახლად მოსაწყობად. მშენებლობა დასრულებულ უნდა იქნას ა. წ. 1-ლ დეკემბრისათვის (ადს).

სოფლის მეურნეობის განვითარების გზები და სოფლად მუშაობის ამოცანები

ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) VI ყრილობაზე

მორწყვით და ჭაობების დაშრობით დავიპყროთ ათეული ათასი დესეტინა მიწა

ამხანაგებო, გადავდივარ მელიორაციაზე. ამ საქმეში ჩვენ გვაქვს ერთგვარი მიღწევები. დღემდე ჩვენ შევსძელით 25 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვა და ამოშრობა. გულახდილად რომ ვსთქვათ, მე ვფიქრობდი, რომ ბევრად უფრო მეტი გვექნებოდა. საქართველოში მოსარწყავია კიდევ 500.000 ჰექტ. მიწა და ამოსაშრობი 200.000 ჰექტარამდე. ეს 700.000 ჰექტარი საგრძნობლად გაადიდებს საქართველოს სათეს მოედანს. საჭიროა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გამოვიყენოთ ეს მიწა ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის.

უნდა ვსთქვა, რომ მელიორაციის დარგში წარმოებული მუშაობის ტემპი საკმაო არ არის. უნდა შევნიშნო, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობაში გვაქვს რიცხვობრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესება. მაგრამ ჩვენი მინდვრების მორწყვის ტემპი არ არის საკმაო და საჭიროა მისი აჩქარება, რადაც არ უნდა დაჯდეს. მაგრამ მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება ამ მუშაობის ხარისხზე. საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო ადგენს მორწყვის ან ამოშრობის ტეხნიკურ გეგმას და ეს გეგმა სრულდება,—კარგად თუ ცუდად, ეს სხვა საქმეა. ყველა დანარჩენი ორგანო კი მხოლოდ შესცქერის მათს მუშაობას. ამიტომ ჩემთვის მოულოდნელი იყო, როდესაც გავიგე, რომ საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო რწყავს დიღომის ველს, რომ მორწყვის პირველი რიგი უკვე შესრულებულია, რომ მალე შეუდგებიან მეორეს და მესამეს. მხოლოდ ახლა, როდესაც მორწყვის პირველი რიგი დამთავრდა, როდესაც ცენტრალურმა კომიტეტმა დაჰკრა ვისაც ეკუთვნოდა, იწყეს გამორკვევა, თუ რა კეთდება ამ მოედნებზე. გაგზავნეს სპეციალური კომისია ნიადაგის შესასწავლად და ამ კომისიამ განაცხადა, რომ ვგონებთ ნიადაგი მარილიანია და არ იყო საჭირო მისი მორწყვა.

საბედნიეროდ, კომისიის ეს პირველი შთაბეჭდილება არ გამართლდა, ვინაიდან იქ მხოლოდ რამდენიმე ცალკე ნაკვეთი აღმოჩნდა მარილიანი, მაგრამ მაინც თავისთავად ფაქტი აღმაშფოთებელია: ნიადაგის შესწავლას შეუდგენ მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე დახარჯეს 500 ათასი მანეთი და პირველი რიგის მუშაობა დასრულებულია. განა ეს მუშაობაა? მომავალში ჩვენ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევსძლოთ, რომ ჩვენი მინდვრების მორწყვა და ამოშრობა მიმდინარეობდეს კომპლექსიური მეთოდით, რომ მორწყვასთან ერთად მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი ამუშავებდეს საკითხს ნიადაგის პირობებისა და ხარისხის შესწავლის შესახებ. საჭიროა, რომ ყველა სადგილმამულო ორგანომ და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ მეტად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამა თუ იმ რაიონის მორწყვის და ამოშრობის ეკონომიური და ტეხნიკური პროექტების დამუშავებაში. ღონისძიებათა ამ კომპლექსის გარეშე მუდამ განმეორდება ის ისტორია, რომელსაც ადგილი ჰქონდა დიღომის ველის მორწყვის დროს.

ეს ეხება აგრეთვე ალაზნის ველსაც, რომლის მორწყვის გეგმა დღემდე არ მოგვეპოვება. ყოველ შემთხვევაში მე ვერ შევსძელი მიმეღო მიწათმოქმედების კომისარიატიდან და სხვა ორგანოებიდან ცნობები იმის შესახებ, თუ რისი მოწყობა და გაშენებაა განზრახული ალაზნის ველზე. მე ვერ შევსძელი მიმეღო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისაგან მისი გეგმები მოსარწყავ ალაზნის ველზე მეურნეობის შემდგომი მოწყობის შესახებ. მე კი ვფიქრობ, რომ ახლად მორწყულ და ამოშრობილ რაიონებში ჩვენ უნდა მივდიოდეთ სრული კოლექტივიზაციის გზით. სახელმწიფო მილიონებს ხარჯავს მორწყვის და ამოშრობის საქმეზე და მას უფლება აქვს მოსთხოვოს გლეხს (და თვით გლეხიც დასთანხმდება ამას), რომ იგი წავიდეს სრული კოლექტივიზაციის ხაზით. ამავე დროს კი მორწყულ მინდვრებზე გლეხობა ისეთსავე უძველეს მეურნეობას მისდევს, როგორიც ჩვენი წინაპრების დროს იყო. ასეთი მდგომარეობა აუტანელია.

ჩვენში არიან სამელიორაციო ამხანაგობები, მაგრამ მე ვიტყოდი, რომ ისინი მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. ჩვენ საქართველოში მოვახდინეთ ხუთი სამელიორაციო ამხანაგობის გამოკვლევა და აღმოჩნდა, რომ ყველა ისინი ყალბი ამხანაგობები არიან, რომელთაც არ ჰყავთ არც ერთი წევრი. რასაკვირველია, ჩვენში ბევრად მეტი სამელიორაციო ამხანაგობაა, ვიდრე ხუთი, მაგრამ ამ ხუთი ამხანაგობის მდგომარეობა სხვების მაჩვენებელი და დამახასიათებელია. აქ ბრალი მიუძღვის არა მარტო საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს. მთავარი ბრალი აქ სამაზრო და სათემო კომიტეტებს და სამაზრო აღმასკომებს მიუძღვით, რომლებიც არ აქცევენ ყურადღებას ჩვენი მეურნეობის ამ უაღრესად მნიშვნელოვან დარგს. შემდეგში ჩვენ უნდა შევსძლოთ სამელიორაციო ამხანაგობების გაჯანსაღება, წყლით სარგებლობისათვის უნდა დავაწესოთ ისეთივე დიფერენციალური გადასახადი, როგორც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დარგშია, ახლა კი ჩვენს ამხანაგობებში წყლით სარგებლობისათვის ერთნაირად იხდიან კულაკებიც, საშუალო გლეხებიც და ღარიბებიც. ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებელია.

რამდენიმე სიტყვა სარწყავი გადასახადის შესახებ. ეს საკითხი მეტად აქტუალურია ყველა მაზრისათვის. ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე მასზე. როგორც მოგეხსენებათ, გამოცემული იყო საკავშირო დეკრეტი, რომლის ძალითაც იმ არხებით სარგებლობისათვის, რომლებიც წყალთა მეურნეობების გამგებლობაში იმყოფებიან, შემოღებულ იქნა სარწყავი გადასახადი, რომლითაც იფარება წყლის ქსელის და წყალთა მეურნეობის ქვედა აპარატების შენახვის და საექსპლოატაციო ხარჯები. უბრალო ენით ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სარწყავი გადასახადი უნდა გაგვევრცელებინა იმ არხებზე, რომლებიც საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამგებლობაში იმყოფებიან, მაგრამ არც საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში, არც საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციაში არ იყო მოყვანილი იმ არხების სია, რომლებზედაც ვრცელდება სარწყავი გადასახადი. ამის გამო ახალციხის მაზრაში სარწყავი გადასახადი შეაწერეს ისეთ მეურნეობებს, რომლებიც სრულებით არ სარგებლობდენ არხით, მაგრამ შეაწერეს გადასახადი იმისათვის, რომ მათი მიწები ვითომ ირწყვებიან ნიადაგის ქვეიდან. გორის მაზრაში სარწყავი გადასახადი შეაწერეს ისეთი არხებით სარგებლობისათვისაც კი, რომლებიც გლეხობის მიერ იყო გაყვანილი. სრულიად ბუნებრივია, რომ საკავშირო კანონის (სავსებით სწორის და სამართლიანის) ასეთ შესრულებას შეეძლო გამოიწვიოს გლეხობასთან ურთიერთობის გამწვავება. საკავშირო კანონი სარწყავი გადასახადისაგან ანთავისუფლებს იმ გლეხებს, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან. ეს დირექტივა არ იქნა განმარტებული ადგილებზე და სარწყავი გადასახადი შეაწერა ყველა მეურნეობას, ისეთსაც, რომელიც განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან. ამას ადგილი ჰქონდა გორის და ახალციხის მაზრებში. ეს, რასაკვირველია, ყოვლად დაუშვებელი საქმეა (ადგილიდან: „ეს მარჯვენიე გადახრაა"). ეს მართლაც პრაქტიკული გადახრაა მარჯვნივ, როდესაც ერთნაირად ჰკრეჭენ ღარიბებსა და კულაკებს. ამასთან ერთად ძალიან სუსტად არის დაყენებული სარწყავი გადასახადით დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვა. გორის მაზრაში დაბეგრილია ისეთი მიწების დიდი რაოდენობა, რომლებიც სრულებით არ ირწყვებიან. ამიტომ ამ კანონის პრაქტიკულმა განხორციელებამ სრულიად სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

სოფლის მეურნეობის მაშინიზაცია

გადავდივარ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის საკითხზე. ამხანაგებო, საქართველოში გლეხური მეურნეობა ძალიან ცუდად არის უზრუნველყოფილი მუშა საქონლით დღემდე აღმოსავლეთ საქართველოში გვაქვს მეურნეობათა 37,3 პროცენტი, დასავლეთ საქართველოში—33,3 პროცენტი, ხოლო მთელს საქართველოში 34 პროცენტი, რომლებსაც არ ჰყავთ მუშა საქონელი, ამასთან 1926 წლიდან 1927 წლამდე უსაქონლო მეურნეობათა რიცხვმა იკლო 1,3 პროცენტით. რას გვეუბნება უსაქონლო მეურნეობათა ასეთი მრავალრიცხოვანების ფაქტი? ეს პირველყოვლისა იმას გვეუბნება, რომ ნიადაგის დამუშავება ვერ წავა იმ ტემპით, რომელიც აუცილებელია სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის. იბადება კითხვა,—რატომ მოხდა, რომ იმ დროს, როდესაც სახელმწიფო უდიდეს დახმარებას უწევს გლეხობას მუშა საქონლის შეძენის საქმეში, დღემდე უსაქონლო მეურნეობათა რიცხვმა იკლო მხოლოდ 1,3 პროცენტით? შეიძლება ეს გარემოება მარტო იმ ფაქტით აიხსნას, რომ გლეხობას არ ჰყოფნის ფული და არ შეუძლია მუშა საქონლის შეძენა? მე ვფიქრობ, ასეთი ახსნა საკმარისი და სწორი არ არის. მე მგონია, რომ ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, თუ რატომ რჩება აქამდე უსაქონლოდ გლეხური მეურნეობის ასეთი მნიშვნელოვანი რიცხვი, მარხია ჩვენი სოფლის მეურნეობის დაქსაქსულობაში. ჩვენი გლეხური მეურნეობები იმდენად პატარები არიან, რომ გლეხისთვის არ არის ხელსაყრელი, არ არის რენტაბელური მუშა საქონლის ყოლა. ღარიბს არ შეუძლია მუშა საქონლის გამოკვება, არ შეუძლია მისი შესაფერად გამოყენება.

აქედან გამომდინარეობს მთელი რიგი დასკვნები. თუ ჩვენ ვისახავთ პრობლემას მივაწოდოთ გლეხობას მუშა საქონელი, ხოლო ღარიბ გლეხობას არ სურს შეიძინოს მუშა საქონელი, არ შეუძლია მისი გამოკვება და შესაფერად მოხმარა, მაშინ ხომ არ არის საჭირო მოვახდინოთ ამ პრობლემის ერთნაირი გადაფასება?

ღრმადმხვნელი სახნისებით გლეხური მეურნეობა დაკმაყოფილებულია 25 პროცენტით, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს სახნისები უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოშია, არსებითად გამოვა 50 პროც. უზრუნველყოფა. არა ღრმადმხვნელი სახნისებით დაკმაყოფილებულია გლეხურ მეურნეობათა 2,5 პროცენტი, ფარცხით—1 პროცენტი. საწარმოო იარაღებით და მუშა საქონლით გლეხურ მეურნეობების ასეთი დაკმაყოფილების პირობებში, რა თქმა უნდა, ზედმეტია ლაპარაკი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანის დასმაზე. ჩვენ მთელი ჩვენი ძალღონე უნდა დავჭიმოთ, რომ ჩვენს გლეხობას მივაწოდოთ სათანადო სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

გადაჭრით ვებრძოლოთ ანდრონიკაშვილ-გედევანიშვილის „ფილოსოფიას"

და აი აქ, ამხანაგებო, მე წავაწყდი ორიგინალურ თვალსაზრისს. არის ერთი აგრონომი ანდრონიკაშვილი, რომელიც ამჟამად მუშაობს საბჭოთა მეურნეობის ტრესტში, ხოლო წინად მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში. ამ ანდრონიკაშვილმა ჩემი მოხსენების გამო სპეციალისტების თათბირზე გამოსთქვა ასეთი აზრი: „ერთმა აქ გამოსულმა ორატორთაგანმა სხვათაშორის სთქვა, რომ რაციონალური სოფლის მეურნეობა განიზომება მასში დაბანდებული კაპიტალის რაოდენობით. არ ვიცი, იქნებ თანამედროვე მეცნიერებამ ახალი გაგება დაამყარა, მაგრამ ნახევარი საუკუნის წინად, როდესაც მე აგრონომიის კურსს გავდიოდი, ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ რაციონალური სოფლის მეურნეობა ისეთი მეურნეობაა, რომელიც არსებულ ტეხნიკურ, კლიმატიურ, საყოფაცხოვრებო და სხვა პირობებში ყველაზე დიდ ეფექტს იძლევა, ე. ი. სოფლის მეურნეობის რაციონალობა აქ იზომება მისი რენტაბელობით და არა კაპიტალური დაბანდებით". (ანდრონიკაშვილის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა მიწა-ტყის კავშირის აგრო-სექციის თათბირზე).

მეორე სპეციალისტი—პროფესორი გედევანიშვილი ამბობს შემდეგს:

„დიახ, გარდა ამისა, გლეხის ფსიქოლოგია ისეთია, რომ მას სურს აწარმოვოს ის, რასაც თვითონ ხმარობს.

ცხოველებისა და მცენარეულობის ის ჯიშები, რომლების მოშენებაც ჩვენში ხდება შეგუებულნი არიან ადგილობრივ კლიმატიურ პირობებთან, მაგრამ რატომღაც ჩვენ სიახლემ ისე ძლიერ გაგვიტაცა, რომ ვცდილობთ ჯიშიანი თესლეული და საქონელი გარედან შემოვზიდოთ და შევუგუოთ უცხო პირობებს და სრულებით ყურადღებას არ ვაქცევთ ადგილობრივ ჯიშებს. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

მე ვფიქრობ, რომ მარტო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის აღება და ამრიგად მეურნეობის ინტენსივობის დახასიათება არ იქნებოდა სწორი... მე მგონია, მეურნეობის ინტენსივობის გამოანგარიშება უნდა მოხდეს წარმოებაში დაბანდებული კაპიტალის რაოდენობის მიხედვით... უნდა ვსთქვა, რომ აქ ვღებებ მრავალწლოვან კულტურებსაც და საბრუნავ საშუალებებსაც.

ამხანაგმა ლევანმა აქ ილაპარაკა მეურნეობის გაძღოლის აზიური წესის შესახებ. მე მინდა განვმარტო, თუ იაპონიის მეურნეობას აზიურს ვუწოდებთ, მეურნეობის გაძღოლის იაპონურ წესებში ბევრი რამ არის დადებითი. იაპონიის მეურნეობა იდეალურ მეურნეობად უნდა ჩაითვალოს (ხმა ადგილიდან: თქვენ აზიის დამცველად გამოდიხართ?). დიახ, აზიის დამცველად". (დ. გედევანიშვილის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა მიწა-ტყის კავშირის აგროსექციის თათბირზე).

ანდრონიკაშვილის და განსაკუთრებით კი გედევანიშვილის გამოსვლის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ არსებითად ანდრონიკაშვილიც და გედევანიშვილიც სოფლის მეურნეობის მექანიზაციის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ანდრონიკაშვილის ბრალდება ჩახვაძის მიმართ, რომ ვითომ ის გამოვიდა (აგროთათბირზე) სოფლის მექანიზაციის მომხრედ რადაც არ უნდა დაჯდეს და ყოველგვარ პირობებში, რომ ის გამოვიდა სოფლის მანქანებით მოფენის მომხრედ,—არასერიოზულია და მასთან კამათი აქ არ არის საჭირო. არც ერთ კომუნისტს ამის მსგავსი არაფერი უთქვამს და ეს პირდაპირ ძალად არის ჩვენზე მოკერებული. ჩვენ მხარს ვუჭერთ ისეთ მანქანიზაციას, რომელიც შეეფერება მოთხოვნილებასაც, შესაძლებლობასაც და კლიმატიურ პირობებსაც, რომლებიც ჩვენ ამჟამად გვაქვს. მაგრამ რას ნიშნავს გედევანიშვილის გამოსვლა, როდესაც ის ამბობს, რომ იაპონია იდეალს წარმოადგენს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის. იაპონიის სოფლის მეურნეობაში თითქმის მონური შრომა არსებობს, იაპონია უმიწობის გამო ყოველ უმნიშვნელო ნაჭერს მიწას თითქმის ცარიელი ხელით ამუშავებს. ვინც საბჭოთა ქვეყანას იაპონური მეურნეობის შემოღებას ურჩევს და ამტკიცებს, რომ იაპონიის მეურნეობა იდეალურია თავისი სტრუქტურით, ის ჩვენ არა მარტო კაპიტალიზმისაკენ გვეზიდება, არამედ გვეზიდება ფეოდალიზმის არქაული პერიოდისაკენ, მონური შრომისაკენ, ეს, არც მეტი არც ნაკლები ნიშნავს იმას, რომ გვეზიდებიან სოფლის მეურნეობის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ფეოდალური ფორმებისაკენ.

პროფესორი გედევანიშვილი ჩვენს ახალგაზრდობას ასწავლის აგრონომიულ ფაკულტეტზე და, თუ ჩვენს ახალგაზრდა აგრონომებს ის ასეთ აზრებს უნერგავს თავში, ზიანის გარდა არაფერს მოიტანს.

ორი წლის წინად ამაზე ლაპარაკობდა ამირეჯიბი, უფრო კულტურულ ფორმებში, მაგრამ, საბედნიეროდ, მან უარი სთქვა ასეთ თვალსაზრისზე და ამჟამად მანქანიზაციის გადამჭრელ მომხრედ გამოდის, რითაც ადასტურებს, რომ ის არ იყო მართალი. მაგრამ სამაგიეროდ ახლა გამოდიან პროფ. ჯანდიერი, ანდრონიკაშვილი და გედევანიშვილი; ასეთ გამოსვლებს გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ, და ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოვუღოთ ასეთ „ფილოსოფიას". ჩვენმა სპეციალისტებმა უნდა შეითვისონ პარტიის ძირითადი, გენერალური ხაზი რომელიც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენაა მიმართული. ჩვენ არ გვესაჭიროება გედევანიშვილისებური მსჯელობა, რომელიც მიწის დამუშავების იაპონურ წესებს გვთავაზობს, როგორც იდეალურს საბჭოთა ქვეყნისათვის.

მეორეს მხრით ჩვენ გვყავს პროფესორი ტიმოფეევი, რომელიც ნამდვილად საბჭოურად უდგება საკითხს და გვირჩევს მანქანიზაციის გაძლიერებას, რადგან ეს ძირითადი პირობაა სოფლის მეურნეობის რენტაბელურობისათვის, მისი ინტენსიფიკაციის, გამსხვილების და გაუმჯობესებისათვის. გარდა ამისა, პროფესორი ტიმოფეევი გადაჭრით გვირჩევს გადმოვიღოთ კაპიტალური ქვეყნებისაგან ყველაფერი კარგი ჩვენს პოლიტიკურ, ეკონომიურ, კლიმატიურ და ნიადაგის პირობებთან შეფარდებით. ამრიგად, თქვენ ხედავთ, რომ გედევანიშვილის და მიწის დამუშავების მისი იაპონური წესების საწინააღმდეგოდ ჩვენ გვყავან სხვა სპეციალისტები, უეჭველად საბჭოთა მომხრე ხალხი, რომელთაც არა შიშ ქვეშ, არამედ სინიდისის კარნახით სურთ იმუშაონ და მოუტანონ სარგებლობა სოციალისტურ მშენებლობას.

როგორიღაა ჩვენი ხაზი?

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის მუშაობის დროს პარტია გამოდის იქიდან, რომ პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში მრეწველობამ თავის განვითარების პროცესში უნდა შექმნას: „მატერიალური საფუძველი სამიწათმოქმედო და საერთოდ სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების უდიდესი ზრდისათვის და ამით წააქეზოს წვრილი მიწადმოქმედნი მაგალითის ჩვენებით და მათი საკუთარი სარგებლიანობის გამო იჩქარონ, რომ გადავიდნენ მსხვილ კოლექტიურ მანქანურ მიწადმოქმედებაზე" (ლენინი, კომინტერნის მე-II კონგრესის რეზოლიუცია აგრარულ საკითხზე, სტენ. ანგარიში გვ. 616).

ამხანაგებო, ჩემი მოხსენების პირველ ნაწილში მე უკვე ვილაპარაკე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაზე. ახლა ნებას მივცემ ჩემს თავს მოვიყვანო მხოლოდ ცნობები იმის შესახებ, თუ როგორია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სოციალური შემადგენლობა და კრედიტების განაწილება. ამ ცნობების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სოციალური შემადგენლობა შემდეგია: ნაკლებ შეძლების მქონე მეურნეობანი 27 წლის ოქტომბერში იყო 26,8 პროცენტი 1928 წ.—29,2 პროცენტი; საშუალო შეძლების—66,1 და 64,4 პროცენტი, შეძლებულები—7,1 და 6,4 პროცენტი. ამრიგად ჩვენ გვაქვს შეძლებულ მეურნეობათა პროცენტის უმნიშვნელო შემცირება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში. მაგრამ, ამხანაგებო, უნდა ვაღიაროთ, რომ ღარიბი გლეხობა კოოპერაციაში საკმაოდ არ არის ჩაბმული. ჩვენ ბევრად მეტი შესაძლებლობა გვაქვს, ჩვენ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ ღარიბ გლეხობის კოოპერატიული შეკავშირების და ამის შესაფერისად კრედიტების განაწილების საქმე.

ჩვენი მაზრების სამეურნეო სახე

ამხანაგებო, მთელს ჩემს მოხსენებაში და ხუთწლიან გეგმაში, რომელიც ყრილობას წარმოედგინა დასამტკიცებლად, დიდი ნაკლი ის არის, რომ ხუთწლიანი გეგმაც და ჩემი მოხსენებაც სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით არიან შედგენილი. უნდა ვსთქვა, ამხანაგებო, რომ, რასაკვირველია, სოფლის მეურნეობის დარგების ანალიზით ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ტეხნიკურად შეუმცდარი ცნობები, რომლებიც საჭიროა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გეგმისათვის. ჩვენ მოგვეპოვება სასოფლო-სამეურნეო გეგმა, რომელიც, მისი ყველა ნაკლის მიუხედავად, ჩვენი პარტიის უდიდეს მიღწევას წარმოადგენს, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვათ, რომ სოფლის მეურნეობის დარგში კიდევ თვალდახუჭული ვმუშაობთ, ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს იმის სწორი სურათი, თუ რა ხდება ჩვენს სოფელში და როგორ უნდა ვაშენოთ მომავალში ჩვენი სოფლის მეურნეობა.

რა შეუძლია, ამხანაგებო, მოგვცეს ზრდის ზოგადმა სურათმა? საყურადღებოა ვიცოდეთ, თუ რა გვარი ზრდა ხდება, რომელ დარგში და სხვ. ჩვენ ვლაპარაკობთ პროდუქტიული მესაქონლეობის უმნიშვნელო ზრდაზე და ესეც სრულებით არაფერს არ გვეუბნება, ვინაიდან არ ვიცით, რომელ რაიონში ხდება ეს ზრდა. თუ ზრდა ხდება მესაქონლეობის რაიონებში, მაშინ ჩვენ გვექნება პროდუქციის ზრდა, ხოლო თუ სხვა რაიონებში, მაშინ ამას ზრდაზე არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია.

ამიტომ, მომავალი მუშაობის დროს სახელმწიფო საგეგმო კომისიამაც, მიწადმოქმედების კომისარიატმაც, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამაც, და სხვა ორგანოებმაც, რომლებიც მიწადმოქმედების დარგში მუშაობენ, უნდა შესძლონ სასოფლო-სამეურნეო გეგმის დეტალიზაცია და სოფლის მეურნეობის დარაიონება.

ჩვენ ახლო მომავალში უნდა მივიღოთ იმის ნათელი სურათი, თუ საქართველოს რომელ რაიონში რა მოიპოვება და რას უნდა მივაქციოთ მომავალში მეტი ყურადღება ამა თუ იმ რაიონის განვითარების მიზნით. ჩვენ ჩამოვრჩით კავშირსაც, უკრაინასაც და მეზობელ რესპუბლიკებსაც, პირველ რიგში კი სომხეთს, რომლებმაც დიდი მუშაობა ჩაატარა ამ დარგში. სომხეთმა დახარჯა ათეული ათასები, მოიწვია სპეციალისტები პროფესორ ჩელინცევის მეთაურობით, რომელმაც დიდი მუშაობა ჩაატარა სომხეთის სოფლის მეურნეობის დარაიონების საქმეში და ახლო წლებში სომხეთს შეუძლია სთქვას, რომ ის ამიერ-კავკასიაში არის პირველი რესპუბლიკა, რომელმაც შესძლო თავისი სოფლის მეურნეობის დარაიონება. ჩვენ კი გადავსწყვიტეთ, რომ გვყავს ჩვენი საკუთარი სპეციალისტები და მარტო მათი შრომით უნდა ვისარგებლოთ. ჩვენი სპეცები კი, მაგალითად, პროფესორები—ჯანდიერი და ამირეჯიბი, რომლებიც მაღალკვალიფიკაციის ხალხია და რომლებსაც კავშირშიაც კი ანგარიშს უწევენ მუშაობენ მარტო ჩვენი პატარა მასშტაბით და დარაიონების გარეშე ვერაფერს ვერ აკეთებენ. ჩვენი ძირითადი უბედურება ისაა, რომ ჩვენ არ გვაქვს მუშაობის დიდი მასშტაბი და თვითეული სპეცი კმაყოფილდება საქართველოს ფარგლებით. ამავე დროს კი პატარა მუშაობისათვისაც დიდი მასშტაბია საჭირო, დიდი გაქანება, რადგან საქართველოს სოფლის მეურნეობის შენება კავშირის საერთო გეგმასთან დაუკავშირებლად შეუძლებელია. საქართველოს სპეციალისტები უნდა გაეცნონ მთელ იმ მუშაობას, რომელსაც საკავშირო მთავრობის ხუთწლიანი გეგმა ისახავს მიზნად. მხოლოდ მაშინ, ამ მსხვილ სამუშაოთა უდიდესი ტემპიდან გამოსვლით შესძლებენ ისინი სწორი ხაზის დასახვას და სწორი მუშაობის წარმოებას.

მუშაობის გაქანება დიდი უნდა იყოს კიდევ იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო ჩამორჩენილია, ვიდრე, მაგალითად, რუსეთი, იმიტომ, რომ საქართველო განვითარების ბევრად უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფება, ვიდრე რუსეთი და უკრაინა. რაღა მდგომარეობაა ჩვენში? მოხსენება ძირითადი საკითხის—სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ არ იძლევა სოფლის მეურნეობის მდგომარეობის სრულ სურათს, არ იძლევა ძირითად მასალებს და იმ მტკიცე ქარგას, რომელიც საჭიროა საკითხის გადასაწყვეტად: საით უნდა მივმართოთ ჩვენი ძალები, რომ აღვსწიოთ სოფლის მეურნეობა.

ამხანაგებო, ჩემი დავალებით, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი შეეცადა ექსპერტიზის წესით დაახლოვებით დაეხატა საქართველოს ცალკე რაიონების სურათი. საინტერესო სურათი გამოვიდა. მიუხედავად თავისი პატარა ტერიტორიისა, საქართველო, კლიმატიურ, ნიადაგის და ზედაპირის თავისებურებათა გამო, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დარგში უდიდეს მრავალფეროვანებას შეიცავს და მოწმე ვართ ისეთი სურათისაც კი, რომ ცალკე თემებში მოიპოვება საზაფხულო ალპიური საბალახოები სუბტროპიკული მცენარეების გვერდით. ამრიგად, ჩვენ გვაქვს უაღრესად მრავალფეროვანი და რთული აგრონომიული პირობები, რომლებიც კიდევ უფრო მეტ სიფრთხილეს გვიკარნახებენ ამ საკითხებისადმი მეცნიერული მიდგომის დროს, რომ არ მოგვივიდეს შეცდომები.

საქართველო თავისი გეოგრაფიული, კლიმატიური, ნიადაგის და ეკონომიური პირობების მიხედვით იყოფა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ. დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა სრულებით არ ჰგავს აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობას. კიდევ მეტი: აღმოსავლეთ საქართველოშიც და დასავლეთ საქართველოშიც ჩვენ მოგვეპოვება სრულიად თავისებური რაიონები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი შემდგომი პოლიტიკის და ჩვენი შემდგომი მუშაობის განსაზღვრისათვის სოფლის მეურნეობის დარგში.

აღმოსავლეთ საქართველოში არსებობს ეგრედ წოდებული თელავის რაიონი, რომელიც ახლა კახეთის მაზრაში შედის. თელავის რაიონში 1909—13 წელს 100 სულ მცხოვრებზე მოდიოდა 9,6 ჰექტარი ვენახი, 1917 წელს—6,6 ჰექტარი, ხოლო 1927 წელს—5,1 ჰექტარი. ვენახების დაღუპვის მიუხედავად თელავის რაიონში მათი მოედანი 100 სულ მცხოვრებზე ბევრად მეტია, ვიდრე საქართველოს ყველა დანარჩენ რაიონებში, გარდა შორაპნის მაზრის ზესტაფონის რაიონისა. თურმე ეს რაიონი უფრო მევენახეობის რაიონია, ვიდრე თელავის; აქ ჩვენ 1927 წელს 100 სულ მცხოვრებზე გვქონდა 6,2 ჰექტარი ვენახი.

მევენახეობის პროდუქციის ხვედრითი წონა თელავის რაიონში 1913 წელს უდრიდა 46 პროცენტს, პირობითი წმინდა შემოსავალი მთელ გლეხურ მეურნეობაში დღევანდელი დროისათვის შეადგენს 71 პროცენტს. ამხანაგებო, ეს იმას გვეუბნება, რომ თელავის რაიონში მეურნეობის ძირითადი დარგი არის და იქნება მევინეობა.

თელავის მაზრაში არის საზაფხულო საბალახოების ზონა, რომელიც განსაკუთრებულ მოვლა-გამოყენებას მოითხოვს. ეს საბალახოები შეიძლება გამოყენებული იქნან საზამთრო საბალახოებთან შენაცვლების პირობით.

მევინეობის ასეთი უდიდესი როლის მიუხედავათ ამ რაიონში არსებით როლს თამაშობს აგრეთვე მარცვლეულის მეურნეობა, რომელიც შეადგენს 24 პროცენტს და ამრიგად წარმოადგენს მევინეობის დამხმარე დარგს.

სიღნაღის მაზრა იძლევა მეტად საინტერესო სურათს, რომელიც ბევრი სიღნაღელისათვის მოულოდნელი იქნება. აქ პროდუქციის საერთო რაოდენობაში ვენახის პროდუქცია შეადგენს 19,6 პროცენტს, თამბაქოს—24 პროცენტს, ბამბის და ზეთეულის მცენარეების — 0,9 პროცენტს. სულ ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურებს სიღნაღის რაიონში უჭირავს 47 პროცენტი. ჩვენ შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ სიღნაღის რაიონი მარცვლეულის რაიონია, მაგრამ ნამდვილად ირკვევა, რომ ამ რაიონში ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურებს უჭირავთ 47 პროცენტი, ხოლო მარცვლეულს 28 პროცენტი.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების ხვედრითი წონა სწორზომიერია და, გარდა ამისა, მასში ხელმძღვანელი როლი ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურებს უჭირავს.

გორის მაზრაში მეხილეობას უჭირავს 37 პროცენტი, მებოსტნეობას—6,5 პროცენტი და თამბაქოს—4,5 პროც. სულ სპეციალურ კულტურებს უჭირავთ 48 პროცენტი, ხოლო მარცვლეულ მეურნეობას 31,5 პროცენტი, მესაქონლეობას 16,1 პროცენტი, ე. ი. ჩვენ გვაქვს ცალკე კულტურათა დაახლოვებით სწორზომიერი განაწილება, მაგრამ სპეციალური კულტურები მაინც ძირითად კულტურებს წარმოადგენენ.

ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გამოსარკვევად, თუ როგორ უნდა გაუძღვეთ მომავალში მეურნეობას ამა თუ იმ მაზრაში.

შორაპნის მაზრაში უპირატესობა აქვს მევენახეობას, რომლის პროდუქცია სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში შეადგენს 58 პროცენტს, ხოლო მარცვლეულის—25 პროცენტს.

ზუგდიდის მაზრაში მარცვლეულ მეურნეობას უჭირავს 37 პროცენტი, მესაქონლეობას—32 პროცენტი, მეფრინველეობას—11 პროცენტი, მეჯოგეობას—17 პროცენტი და სხვ.

ამრიგად ზუგდიდის მაზრა უმთავრესად წარმოადგენს მარცვლეულის და მესაქონლეობის მაზრას. როგორც პერსპექტივა, საჭიროა დაისვას საკითხი ზუგდიდის მაზრის მეურნეობის სრული რეკონსტრუქციის შესახებ უმთავრესად მესაქონლეობის ინტენსიფიკაციის და საკვები ბაზის, კერძოდ სიმინდის კულტურის, გაფართოვების ხარჯზე. გარდა ამისა, ზუგდიდის მაზრაში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის კულტურის განვითარებას.

სენაკის მაზრას ისეთივე მდგომარეობა უჭირავს, როგორც ზუგდიდის, ოღონდ აქ მეტად არის განვითარებული მარცვლეული კულტურა, რომელიც 47 პროცენტს შეადგენს. აქაც მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მესაქონლეობის და სუბტროპიკული მცენარეულობის განვითარებას.

ოზურგეთის მაზრა ბევრად წააგავს ზუგდიდისას.

მე დამავიწყდა მეთქვა, რომ ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში არსებობს ხელსაყრელი პირობები მაღალი ხარისხის თამბაქოს განვითარებისათვის.

აი როგორია სხვადასხვა კულტურათა განაწილება საქართველოს ზოგიერთ მაზრაში. რასაკვირველია, ეს მეტად დაახლოვებითი, სქემატიური ნუსხაა. მე საჭიროდ ჩავთვალე ეს გამეკეთებინა იმისთვის, რომ დამენახა, შეიძლება თუ არა თუნდაც დაახლოვებით წარმოვიდგინოთ იმის საორიენტაციო სურათი, თუ სად სჭარბობს ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის ესა თუ ის დარგი.

თუ ყურადღება მიაქციეთ, ჩემს მოხსენებაში არაფერია ნათქვამი ავტონომიურ რესპუბლიკათა სოფლის მეურნეობის შესახებ. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ძალიან მცირე ზოგადი ცნობების გარდა, რომლებიც მიწადმოქმედ. კომისარიატში მოიპოვება, ჩვენ არა გვაქვს პრაქტიკული წარმოდგენა აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის სოფლის მეურნეობის შესახებ. ეს ამტკიცებს შეუთანხმებლობას და სუსტ დახმარებას, რომელსაც ჩვენი ორგანოები უწევენ ავტონომიურ რესპუბლიკებს. განსაკუთრებით ეს სამხრეთ-ოსეთს შეეხება, რომლის სოფლის მეურნეობა ძლიერ ჩამორჩა. ამავე დროს კი პარტიის ლოზუნგი იმაში მდგომარეობს, რომ ჩამორჩენილ რაიონებს მიექცეს მეტი ყურადღება და რომ ჩამორჩენილ რაიონებში განვითარების ტემპი მეტი უნდა იყოს, ვიდრე იმ რაიონებში, სადაც კულტურა მაღლა სდგას. ამიტომ ცენტრალური კომიტეტის წინაშე უნდა დაისვას საკითხი, რათა მან გადასინჯოს ხუთწლიანი გეგმა და გამოჰყოს ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ეროვნულ უმცირესობათა რაიონებისათვის სპეციალური თავი, რაც ჩვენს ხუთწლიან გეგმაში არ არის. ჩვენმა ეროვნულმა პოლიტიკამ პრაქტიკული გამოხატულება უნდა პოვოს ხუთწლიან გეგმაში, ვინაიდან არსებითად ხუთწლიანი გეგმა, რომელიც სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დარგში ძირითად მიმართულებას იძლევა, პრაქტიკულად გადასწყვეტს ეროვნულ საკითხს ჩვენს ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში.

გლეხობის ფენებად დაყოფა

რომ ჩვენ სოფლად სწორი პოლიტიკის გატარება შევსძლოთ, საჭიროა ვიცოდეთ არა მარტო ის, თუ რა სამეურნეო ადგილი უჭირავს სოფელს, არამედ ისიც, თუ ვისთან გვაქვს ჩვენ სოფლად საქმე. როგორია სოფლის ფენებად დაყოფა, რას წარმოადგენს სოფელი ამ პერიოდისათვის, როგორია ურთიერთობა სოფლის შეძლებულ კლასებს შორის? მართალია თუ არა, რომ საშუალო შეძლების გლეხი მიწათმოქმედების ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს, თუ იქნებ, საქართველოსთვის ეს არ არის სწორი და ამიტომ ჩვენ მიერ დასახული ამოცანებიც არ იქნებიან სწორი? ამ მიზნით ჩვენ ჩავატარეთ მთელი რიგი მუშაობა, რომ გამოგვერკვია სოფლის ქონებრივი და კლასობრივი დაყოფა. ყრილობის დელეგატებს ვურჩევ წაიკითხონ ამხ. ჩახვაძის წიგნი ქართული სოფლის სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის შესახებ. იქ დაგროვილია საინტერესო მასალა, რომელიც ამხანაგებს მისცემს საფუძველს გადასინჯონ ბევრი რამ და კერძოდ გაერკვენ ბევრ მოვლენაში, რომლებიც სოფლად ხდება. სამწუხაროდ, ეს წიგნი ჯერჯერობით მხოლოდ რუსულ ენაზე გამოვიდა და ახლა ითარგმნება ქართულად. ეს საინტერესო და საჭირო ნამუშევარია. ჩვენი სოფლის კლასობრივი სტრუქტურის შესწავლის საკითხზე ჩვენ დიდი მასალა მოგვეპოვება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მასალა აქამდე არავის არ დაუმუშავებია. უაღრესად საინტერესო მასალა, რომელიც 2—3 წლის განმავლობაში გროვდებოდა, ჩაკეტილია საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განჯინებში და არავინ მას არ ამუშავებს იმ დროს როდესაც ამ მუშაობით მეტად დაინტერესებული არიან ყველა სადგილ-მამულო ორგანოები—მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატიც, „საქართველოს ჩაიც", მებამბეობის კომიტეტიც, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაც და თბილისის აღმასკომიც. ყველა ეს ორგანიზაცია დაინტერესებულია ამ მასალის დამუშავებით, რისთვისაც შედარებით ცოტა თანხაა საჭირო, 30—40 ათასი. ყველა ამ ორგანიზაციისათვის ეს პატარა თანხაა. მაგრამ საქმე იმშია, რომ არავინ იჩენს თაოსნობას ამ საკითხში და მასალა აწყვია, მით არავინ სარ-

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 161.

გებლობს მაშინ, როდესაც უეჭველი ეს ორგანიზაცია მრავალ ფულს ხარჯავს ანალოგიურ საქმეზე.

ამხანაგებო, გლეხობის ქონებრივ-კლასობრივი დაყოფის შესასწავლად ჩვენ ვისარგებლეთ ორი ხასიათის მასალით.

პირველი—ფინანსთა სახალხო კომისარიატის მასალები, რომლებიც ეხებიან მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვას. ამ მასალების გამოყენების შესაძლებლობა აღიარებულია როგორც ჩვენში, ისე კავშირში. მეორე—დინამიური ბუდობრივი აღწერის მასალები, გლეხობის ფენებად დაყოფის შესწავლა ამ მასალების საფუძველზე სავსებით დასაშვებად ითვლება.

ქონებრივი უზრუნველყოფის მხრით სოფლად ჩვენ გვყავს სამი ჯგუფი: მცირე შეძლების, საშუალო შეძლების და შეძლებული გლეხობა. უკანასკნელ ჯგუფში შედიან არა მარტო კულაკები, არამედ ზოგიერთი საშუალო გლეხებიც, რომლებიც თავიანთი ეკონომიური შეძლებით კულაკებსა და საშუალო გლეხებს შორის იმყოფებიან. ნაკლებ შეძლების მქონე მეურნეობად ითვლება ისეთი მეურნეობა, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოში აქვს პირობითი წმინდა შემოსავალი 100 მანეთი, დასავლეთ საქართველოში—75 მანეთი. საშუალო შეძლების მეურნეობად ითვლება ისეთი, რომელიც თვიურად იძლევა აღმოსავლეთ საქართველოში 100-დან 500 მანეთამდე, დასავლეთ საქართველოში 75-დან 350 მანეთამდე. შეძლებულთა ჯგუფს ეკუთვნიან ისეთი მეურნეობანი, რომლებთაც აღმოსავლეთ საქართველოში 500 მანეთზე მეტი შემოსავალი აქვთ, ხოლო დასავლეთ საქართველოში 350 მანეთზე მეტი.

არიან ამხანაგები, რომლებიც ილაშქრებენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ასეთი დაყოფის წინააღმდეგ და ფიქრობენ, რომ მთელი საქართველოსათვის ერთი და იგივე საზომი უნდა მივიღოთ. ეს თვალსაზრისი სრულიად უსაფუძვლოა, იმიტომ, რომ ქონებრივ დაჯგუფების განსაზღვრის დროს ჩვენ გამოვდივართ იმიდან, თუ როგორია აღებულ რაიონში მეურნეობის სტრუქტურა და შეძლებულება. დასავლეთ საქართველოში მეურნეობის სტრუქტურა სხვანაირია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ამის შესაფერად სხვანაირია შემოსავლიანობაც. თუ მეურნეობებს სიძლიერის მხრით შევადარებთ, დავინახავთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ერთ მეურნეობას აქვს პირობითი წმინდა შემოსავალი 196 მანეთი, ხოლო დასავლეთ საქართველოში—184 მანეთი. შემოსავლის საშუალო რაოდენობა მთელი საქართველოსათვის იქნება 172 მანეთი.

ამხანაგებო, დასავლეთ საქართველოში, როგორც ხედავთ, პირობითი წმინდა შემოსავლის ნორმა ყველა მეურნეობისათვის საშუალო-რესპუბლიკანურზე დაბალია. ეს ხაზები გასაგებია, იმიტომ, რომ დასავლეთი საქართველო საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოზე ღარიბია. ამიტომ, დაყოფის მეთოდი მეურნეობის სტრუქტურის მიხედვით სავსებით სამართლიანია და მხოლოდ ის არის მისაღები.

სოფლის მეურნეობის ცენტრალური ფიგურაა საშუალო გლეხი

ამ მეთოდის მოყენებით ჩვენ მივიღებთ კლასობრივ დანაწილების შემდეგს სურათს სოფლად: საქართველოში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს საშუალო გლეხი, აღმოსავლეთ საქართველოში საშუალო შეძლების მეურნეობა შეადგენს ყველა მეურნეობის 61,8 პროცენტს, დასავლეთ საქართველოში კი—64,2 პროცენტს. ეს ჯგუფი ცენტრალურია არა მარტო მეურნეობათა რაოდენობით, არამედ მოსახლეობის რაოდენობითაც და შემოსავლის კონცენტრაციის მიხედვითაც. ასე, აღმოსავლეთ საქართველოში საშუალო შეძლების მეურნეობანი მთელი გლეხურ მეურნეობათა საერთო მასაში შეადგენენ 61,8 პროცენტს, აერთიანებენ სოფლის მოსახლეობის 66,5 პროცენტს და პირობითი წმინდა შემოსავლის საერთო ჯამის 65,8 პროცენტს. დასავლეთ საქართველოს მიმართ მასალები გვიჩვენებენ, რომ საშუალო შეძლების მეურნეობანი შეადგენენ ყველა მეურნეობის 64,2 პრ., აერთიანებენ მთელი მოსახლეობის 68,8 პროცენტს და შემოსავლის საერთო მასის 71,8 პროცენტს.

ანალოგიურ სურათს ვხედავთ აფხაზეთში, აჭარისტანში და სამხრეთ-ოსეთში. მთელ საქართველოში საშუალო შეძლების მეურნეობანი შეადგენენ მეურნეობათა საერთო რიცხვის 62,9 პროცენტს, ისინი აერთიანებენ მოსახლეობის 67,5 პროცენტს და აქვთ პირობითი წმინდა შემოსავლის საერთო მასის 68,3 პროცენტი.

ზოგიერთი ამხანაგი წინააღმდეგი ფიქრისაა: საშუალო შეძლების მეურნეობაში—ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენი მეურნეობა იმდენად ღარიბია, რომ ხშირად არ იქნება მას საშუალო ვუწოდოთ. ეს ამხანაგები, გამოდიან იქიდან, რომ ჩვენი გლეხობის შემოსავალი, მიწის პრიმიტიული დამუშავების გამო, საერთოდ მეტად მცირეა.

ამის გამო მახსენდება ჩვენი პოლემიკა უკლონისტებთან თავად-აზნაურობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ქართული სოფლის პირობებში. უკლონისტები, ბუდუ მდივანი და კოტე ცინცაძე აცხადებდნენ, რომ არ შეიძლება თავად-აზნაურებისათვის მიწების ჩამორთმევა და მათი სოფლებიდან გაძევება, იმიტომ, რომ ისინი არსებითად ბევრ კულაკ გლეხზე უფრო ღარიბნი არიან. „ესენი რუსეთის თავად - აზნაურები არ არიან, რომლებსაც მიწა 50—60 ათასი დესეტინობით ჰქონდათო"—ამბობდნენ ისინი. ამიტომ ქართველ თავად-აზნაურებთან დამოკიდებულება სხვა უნდა იყოს, ვიდრე რუსეთის თავად-აზნაურებთან და სხვ.

ჩვენ ვუპასუხებდით, რომ არ უარვყოფთ ჩვენი თავად-აზნაურების სიღარიბეს რუსეთის თავად-აზნაურებთან შედარებით, რომ მათ ცოტა მიწა აქვთ, რადგან რაც კი შეიძლებოდა დუქნებში ქეიფზე დახარჯეს და ბანკებში დაგირავეს, ასე, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის მათ ცოტა რამდენიმე ჰქონდათ. მაგრამ ჩვენ ვამტკიცებდით, რომ თავად-აზნაურები მაინც თავად-აზნაურებად რჩებიან და მათ უნდა ჩამორთმეოდათ მიწები, ჯერ ერთი, მათი ქონებრივი მდგომარეობის გამო და მეორე—მთელი რიგი სხვა ფაქტორების გამო.

ამიტომ ის, ვინც ფიქრობს, რომ ქართულ სოფელში საშუალო გლეხი არ არის და რომ იგი ცენტრალურ ფიგურას არ წარმოადგენს, დიდ შეცდომას სჩადის. ჩვენს პირობებში, რომ საშუალო გლეხი ნამდვილად არ წარმოადგენს ცენტრალურ ფიგურას, მთელი მოხსენება—სოფლის მეურნეობის შესახებ უნდა უკუ გვეგდო, ხოლო ჩვენი მუშაობა სხვა გზით წარგვემართა

ხელმოკლე მეურნეობათა ჯგუფი აღმოსავლეთ საქართველოში შეადგენს 33,1 პროცენტს, დასავლეთ საქართველოში—31,8 პროცენტს, მთელ საქართველოში—32,1 პროცენტი.

როგორ მოხდა, რომ დასავლეთ საქართველოში უფრო ნაკლები ღარიბი გლეხია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში? ეს გასაგებია, ვინაიდან აღმოსავლეთი საქართველო უფრო მდიდარია და დიფერენციაცია აქ უფრო ძლიერია.

აღმოსავლეთ საქართველოში ღარიბ გლეხთა მეურნეობანი შეადგენენ 33 პროცენტს; ამ მეურნეობებში შედის მთელი მოსახლეობის 23 პროცენტი, ხოლო მათი შემოსავალი შეადგენს აღმოსავლეთ საქართველოს გლეხების მთელი შემოსავლის 9,7 პროცენტს.

დასავლეთ საქართველოში ხელმოკლე გლეხთა მეურნეობანი შეადგენენ 31,3 პროცენტს, ეს მეურნეობანი აერთიანებენ მოსახლეობის 24,8 პროცენტს და აქვთ შემოსავლის საერთო მასის 10,7 პროცენტი.

ხოლო მთელ საქართველოში ხელმოკლე მეურნეობათა ჯგუფი შეადგენს 32,1 პროცენტს, აერთიანებს მოსახლეობის 24,3 პროცენტს და აქვს პირობითი წმინდა შემოსავლის საერთო მასის 10,1 პროცენტი.

გლეხურ მეურნეობათა შეძლებულ ჯგუფებს უმნიშვნელო ადგილი უჭირავთ სოფლის მეურნეობაში, მაგრამ მათი შემოსავლიანობა ბევრად უფრო მაღალია მათ ხვედრითი წონაზე.

აღმოსავლეთ საქართველოში გლეხების მეურნეობათა საერთო მასაში შეძლებულთა მეურნეობანი შეადგენენ 5,6 პროცენტს. ისინი აერთიანებენ მოსახლეობის 9,8 პროცენტს და იღებენ გლეხობის მთელი შემოსავლის 25 პროცენტს.

დასავლეთ საქართველოში შეძლებულთა მეურნეობების ჯგუფი შეადგენს 4,5 პროცენტს, ამ ჯგუფში გაერთიანებულია მოსახლეობის 6,9 პროცენტი. ეს ჯგუფი იღებს მთელი შემოსავლის 17,5 პროცენტს.

შეძლებულთა ჯგუფები შედარებით უფრო ძლიერი არის წარმოდგენილი აფხაზეთსა და აჭარისტანში. აფხაზეთში გადამწყვეტ როლს თამაშობენ მეთამბაქოობის რაიონები, სადაც კულაკურ მეურნეობათა პროცენტი არაჩვეულებრივად მაღალია. საშუალოდ მთელ აფხაზეთში შეძლებულთა მეურნეობანი შეადგენენ 8,8 პროცენტს. თუ გამოვყოფთ მეთამბაქოობის რაიონებს და ავიღებთ აფხაზეთს მთლად, მეთამბაქოობის რაიონების ჩაუთვლელად, მაშინ შეძლებულ მეურნეობათა პროცენტი უფრო მცირე იქნება, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, ეს პროცენტი იქნება 4-დან 5-მდე.

აჭარისტანში შეძლებული მეურნეობანი შეადგენენ 7,8 პროცენტს. თითქოს შეუსაბამობა გამოდის—ღარიბ აჭარისტანში მეტი კულაკია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. ამხანაგებო, მე სპეციალურად არ შემისწავლია ეს საკითხი, არ შემიძლია გადაჭრილი პასუხი გავცე ამ კითხვაზე, მაგრამ მგონია, რომ ამ მდგომარეობის მიზეზი უმთავრესად მესაქონლეობაში იფარება. როგორც მოგეხსენებათ, ხულოს მაზრაში მესაქონლეობა უმთავრესად კულაკების ხელშია. გავლენას ახდენს სუბტროპიკული ძვირფასი კულტურაც, რომელიც დიდ შემოსავალს იძლევა.

ყველაზე ნაკლები შეძლებულთა სამხრეთ-ოსეთშია. აქ ისინი შეადგენენ 2 პროცენტს, მათში შედის მოსახლეობის 3,7 პროცენტი და მათი შემოსავლიანობა შეადგენს საერთო შემოსავლის 14,2 პროცენტს.

მთელ საქართველოში შეძლებული მეურნეობანი არ სჭარბობენ 5 პროცენტს; ისინი აერთიანებენ მოსახლეობის 8,2 პროცენტს და მათი შემოსავალი შეადგენს სოფლის მეურნეობის მთელი შემოსავლის 21,6 პროცენტს.

ამ შეძლებულ მეურნეობათა რიცხვში საშუალო გლეხთა მეურნეობების ნაწილიც შედის, დაახლოვებით, ერთ-ნახევარ პროცენტამდე, მაშასადამე, მთელ საქართველოში კულაკურ მეურნეობათა პროცენტი ქანაობს 4-დან 5-მდე.

დინამიური აღწერით მიღებული ცნობები გვაძლევენ სოფლის კლასობრივ ფენებად დანაწილების სურათს. გამოდის, რომ მთელ საქართველოში ხელმოკლე, ღარიბ გლეხთა მეურნეობანი შეადგენენ 30,6 პროცენტს, საშუალო გლეხთა მეურნეობანი—63—65 პროცენტს და კულაკები 4-დან 6-მდე პროცენტს.

მართალია ეს ციფრები აბსოლიუტური არ არის და აქ შესაძლებელია შეცდომები, მაგრამ თვალსაჩინო შეცდომები არ შეიძლება იყოს. ამ ციფრების მაქსიმალური გადახრა ამა თუ იმ მხრისაკენ შეიძლება იყოს ერთიდან ერთნახევარ პროცენტამდე. ამიტომ ეს ციფრები შეიძლება გამოყენებულ იქნან იმისათვის, რომ ჩვენი სოფლელი კომუნისტები გაერკვენ ჩვენი სოფლის კლასობრივ ფენებად დანაწილების საკითხებში.

ამხანაგებო, ძალიან საინტერესოა ცნობები მუშა-ხელის დაქირავება-გაქირავების შესახებ. გამორკვეულია, რომ ღარიბ მეურნეობათა ჯგუფი აქირავებს მუშა-ხელს, რაიონის და მიხედვით, 75-დან 200 დღემდე წელიწადში, ხოლო საშუალო მეურნეობა 80-დან 85 დღემდე წელიწადში. ამ უკანასკნელ მეურნეობებში ჩვენ ვამჩნევთ სარეწავი ტიპის პატარა მეურნეობათა (წისქვილები და სხვ.) მცირე პროცენტს და მუშა-ხელის გაქირავება უმთავრესად ამ ხაზით სწარმოებს.

კულაკები აძლიერებენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ

კულაკური ჯგუფიც აქირავებს მუშა-ხელს ღარიბ, საშუალო და კულაკურ მეურნეობებს. მაგრამ კულაკური მეურნეობების მიერ მუშა-ხელის გაქირავება 7—10 დღეს არ აღემატება წელიწადში; გარდა ამისა, ეს გაქირავება მიდის, უმთავრესად, სამრეწველო ტიპის მეურნეობათა ხაზით. ეს ერთი.

მეორეს მხრივ, კულაკი მხოლოდ მაშინ მუშაობს ღარიბ ან საშუალო გლეხთან, როდესაც აქირავებს წარმოების საშუალებებს, ურემს, გუთანს ან ხარებს.

თუ გამოიანგარიშებთ, ვინ რამდენ მუშა-ხელს აქირავებს, დაინახავთ, რომ საშუალო ჯგუფში მუშა-ხელის წმინდა დაქირავება (მუშა-ხელის დაქირავების გადაჭარბება გაქირავებაზე) ქანაობს 20-დან 25 დღემდე წელიწადში, რაიონის მიხედვით. ხოლო კულაკურ მეურნეობათა ჯგუფში მუშა-ხელის დაქირავება ქანაობს 22-დან 250 დღემდე წელიწადში, რაიონის მიხედვით. ეს მოწმობს კულაკურ მეურნეობათა ექსპლოატატორულ ხასიათს.

კულაკურ მეურნეობათა მეორე დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მიწის იჯარით აღება. ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში და ჩვენშიაც, მეფის რუსეთში, ისეთი მდგომარეობა იყო, რომ ღარიბი გლეხები იჯარით იღებდნენ მიწას კულაკებისა და მემამულეებისაგან. ამჟამად ჩვენი ეკონომიკის, ჩვენი ეკონომიური სტრუქტურის თავისებურება ის არის, რომ ღარიბი გლეხი იჯარით აძლევს მიწას კულაკს. გამოდის რაღაც შეუსაბამობა. რატომ აძლევს იჯარით ღარიბი გლეხი თავის მიწას? იმიტომ, რომ ჩვენმა გლეხობამ აგრარული რევოლიუციის შემდეგ მიიღო მემამულეთა, სახაზინო და სხვა მიწები. ღარიბი გლეხები უზრუნველყოფილნი არიან მიწით, მაგრამ სრულებით არ არიან უზრუნველყოფილნი საწარმოო საშუალებებით, რაც აიძულებს მათ იჯარით გასცენ მიწა.

კულაკურ მეურნეობათა მესამე დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს საწარმოო საშუალებათა იჯარით გაცემა. კულაკური მეურნეობების მიერ ღარიბ გლეხობის მეურნეობათა მძვინვარე ექსპლოატაცია სწარმოებს სწორედ საწარმოო-საშუალებათა გაქირავების ხაზით. ამაზე მე დიდხანს არ შევჩერდები, ვიტყვი მხოლოდ, რომ საწარმოო საშუალებათა გაქირავება კულაკურ მეურნეობებს აძლევს შემოსავალს 50-დან 200 მანეთამდე წლიურად, რაიონის მიხედვით.

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ კულაკს, თავის ხვედრით წონასთან შედარებით, დიდი შემოსავალი აქვს, რომ მას აქვს საწარმოო საშუალებანი, იჯარით იღებს მიწას, აქვს მთელი რიგი უპირატესობანი ეკონომიური ხასიათისა ღარიბ და საშუალო გლეხთან შედარებით,—ცენტრალურ ფიგურად სოფლად მაინც საშუალო გლეხი რჩება. ამ დებულებას ადასტურებენ სხვა მეტად ობიექტიური და უტყუარი ცნობებიც, სახელდობრ — ის ცნობები, თუ ვინ არის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძირითადი მასის ბაზრისათვის მიმწოდებელი. ასეთი კი საშუალო გლეხია.

ამ მდგომარეობას ადგილი აქვს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგებში.

კულაკი მარტო მეცხვარეობისა და მეთამბაქოობის დარგებში აწვდის ბაზარს სასაქონლო პროდუქციის 35-დან 45-მდე პროცენტს. ეს სავსებით გასაგებია იმიტომ, რომ ეს არის რთული შრომის ტევადი და დიდშემოსავლიანი კულტურა, რომელიც მეტ ხარჯებსაც მოითხოვს და მეტ სასაქონლო პროდუქციასაც აძლევს კულაკს.

ჩვენ მიერ განხილული ცნობებით, საქართველოს გლეხურ მეურნეობათა საერთო მასაში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს საშუალო გლეხი. ეს არის პირველი დასკვნა. ჩვენში ადგილი აქვს სოფლის კლასობრივ ქონებრივ ფენებად დანაწილებას — ეს არის მეორე დასკვნა. კულაკი მაინც საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ ყოველი ზომით წინააღმდეგობა გაუწიოს საბჭოთა ხელისუფლებას — ეს არის მესამე დასკვნა. და მართლაც, სოფლად წარმოებული ბრძოლის ყველა ფაქტი, ამ უკანასკნელ დროს სოფლად კლასობრივი ბრძოლის განვითარების ყველა ფაქტი, მოწმობს იმას, რომ კულაკები აძლიერებენ წინააღმდეგობას საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიებისადმი. კულაკები ებრძვიან კოლმეურნეობებს ყოველი ზომით, თვით კოლმეურნეობათა მუშაკების მკვლელობამდე; ისეთ პროვოკაციასაც კი მიმართავენ, რომ ქრთამავენ ზოგიერთ პირებს და თავიანთ მომხრეებს აყენებენ კოლმეურნეობათა სათავეში. ასე, მაგალითად, „ახალ შრომა"-ში მევენახეთა სათავეში აღმოჩნდა კულაკი, მან დეგრადაციისაკენ, დაცემისაკენ მიიყვანა კოლმეურნეობანი. ოზურგეთის მაზრაში კოლმეურნეობის სათავეში სდგას მღვდელი, ახალციხის მაზრაში სოფელ კონდურში — კოლმეურნეობის გამგეობა შეძლებულებისაგან შესდგება. ასეთი ფაქტების მოყვანა ბლომად შეიძლება. კულაკები იბრძვიან ყველა ზომითა და საშუალებით, ისინი გლეხობაში აგიტაციას ეწევიან საბჭოთა მეურნეობების გაყოფის სასარგებლოდ. ისინი ამბობენ — რაკი ხელისუფლება გლეხურია, რად უნდა სახელმწიფოს თავისი საბჭოთა მეურნეობები, გლეხებს დაურიგოსო. გლეხები ხშირად ეგებიან ამ ანკესზე. ასეთი ხმები თბილისშიაც კი გაისმის.

შემდეგ, კულაკი მოითხოვს ფარულ კრების ყრას და ხშირად პროვოკაციას აწყობს ჩვენ ღარიბ და საშუალო გლეხებს. თაოსნობას ამ საკითხში ხშირად კულაკების მიერ მოსყიდული საშუალო და ღარიბი გლეხები კისრულობენ. აჭარისტანში ადგილი ჰქონდა გამოსვლებს ლოზუნგით: „საბჭოები უკომუნისტებოდ". ასეთი ფაქტების მოყვანა ყოველი მაზრიდან შეიძლება.

კულაკები შლიან ღარიბ გლეხთა კრებებს, აშინებენ ღარიბ გლეხებს, რომ ისინი კრებებს არ დაესწრონ. კულაკები აწყობენ სპეციალურ არალეგალურ ჯგუფებს. ისინი აყენებენ ლოზუნგს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმების შესახებ, ეუბნებიან გლეხებს თუ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია გაუქმდა უფრო იაფად მიიღებთ მანუფაქტურასო. და სამწუხაროა, რომ ჩვენი სოფლელი კომუნისტები ზოგჯერ ვერ ახერხებენ დაუპირისპირონ კულაკებს ჩვენი ბოლშევიკური აგიტაცია და მოიზიდონ ღარიბ და საშუალო გლეხობის მასები. ამავე დროს კი კულაკების აგიტაციისათვის ჩვენი ლოზუნგების დაპირისპირება ადვილია, იმიტომ, რომ მონოპოლიის გაუქმებით ღარიბი გლეხი ვერაფერს ვერ მიიღებს, ისარგებლებს მხოლოდ ქალაქელი სპეკულიანტი და კულაკი. კულაკები ილაშქრებენ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წინააღმდეგ. პროვოკაციას ეწევიან ღარიბ და საშუალო გლეხებს შორის, ჩვენი სოფლელი კომუნისტები კი, არ ეწევიან კონტრ-აგიტაციას. ამას მოწმობს კლასობრივი პოლიტიკის დამახინჯების მრავალი ფაქტი სოფლად.

კულაკები იყენებენ ჩვენს დეფექტებს და შეცდომებს და ცდილობენ დარაზმონ მასები საბჭოთა ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. კულაკი აწარმოებს თავგამოდებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. ის ყოველი ზომით წინააღმდეგობას უწევს საშუალო გლეხის, ღარიბ გლეხთა მასებისა და საბჭოთა სახელმწიფოს დაკავშირებას. ჩვენი სოფლელი კომუნისტები კი ვერ ახერხებენ აუხსნან გლეხს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ქალაქელი მუშების დაკავშირება საშუალო გლეხთან უწინარეს ყოვლისა თითონ საშუალო გლეხის სასარგებლო საქმეა. კულაკები იყენებენ ქალებს ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დავინახეთ ეს აჭარისტანში, სადაც კულაკებმა მოაწყვეს ქალების დარაზმვა, ქალების, რომლებიც შეუდგნენ სკოლების დარბევას. კულაკებმა შესძლეს ის, რომ ქალები აჰყვნენ მათ აგიტაციას, ჩვენი სოფლელი კომუნისტები კი ძალიან მცირე ყურადღებას აქცევენ ყველა ამ საკითხებს.

ამიტომ მთავარ ამოცანას წარმოადგენს მუშაობის გაძლიერება გლეხ ქალთა შორის. ჩვენ უნდა მივაღწიოთ გარდატეხას ამ მუშაობაში, ჩვენს სასოფლო ორგანიზაციაში.

ამხანაგებო, კულაკს ზოგიერთ ჩვენზედ კარგათ ესმის, რომ ქალს შეუძლია უდიდესი როლი ითამაშოს. მას შეუძლია ისეთი ჯოჯოხეთი შექმნას სახლში, რომ ქმარი ყველაფერს გასწირავს, ოღონდ მშვიდობიან ცხოვრებას ეღირსოს.

გურიაში ადგილი ჰქონდა ისეთ ფაქტებს, როდესაც მენშევიკები ჩვენი კომუნისტი ქალების საშუალებით მოქმედებდნენ.

ამხანაგებო, კულაკი ძალიან მარჯვედ იყენებს რელიგიურ ფანატიზმსაც, რომელიც ჯერ კიდევ ძლიერია ჩვენს პირობებში. ბევრს ჰგონია, რომ წმინდა ქართულ სოფელში რელიგიური საკითხი აღარ სდგას, რომ რელიგიური საკითხი არსებობს აფხაზეთისათვის, აჭარისტანისათვის, ახალციხისათვის, ახალქალაქისათვის და არა ქუთაისისათვის, სენაკისათვის, ოზურგეთისათვის და სხვ. სხვათაშორის ეს შემცდარი აზრია. მე უნდა ვსთქვა, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენ შევამჩნიეთ სამღვდელოების აგიტაციის რამდენადმე გაძლიერება რელიგიის სასარგებლოდ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ხუცები და, საერთოდ, სამღვდელოება ჩვენი კლასობრივი მტერია. მაგრამ ეს იმიტომაც ხდება, რომ ჩვენი ბრძოლა ანტირელიგიურ ფრონტზე ზოგჯერ ღებულობს დაუშვებელ ფორმებს, რომლებიც მხოლოდ აძლევენ გლეხის რელიგიურ გრძნობას და ხელს უწყობენ მის მოქცევას ხუცების გავლენის ქვეშ.

ეს არ არის ჩვენი პოლიტიკა. ეს არ არის ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკა, ეს არის პოლიტიკა ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი სოფლელი კომუნისტებისაგან, უწინარეს ყოვლისა კი კომკავშირელებისაგან, რომლებმაც გადააჭარბეს ანტირელიგიურ მუშაობაში, გადაჭრით იბრუნონ პირი, გადაჭრით აღმოფხვრან ანტირელიგიურ ფრონტზე ბრძოლის ეს დაუშვებელი ფორმები. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენი ადგილობრივი მუშაკები აწარმოებდნენ ანტირელიგიურ აგიტაციას თავიანთი ყოველდღიური მუშაობის დროს, რომ ისინი აღრმავებდნენ ამ ბრძოლას, მაგრამ აწარმოებდნენ მას პარტიის მიერ ნაკარნახევ ფარგლებში და აბუჩად არ იგდებდნენ მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობას.

მე დაგისახელებთ ერთი თემის აღმასკომის თავმჯდომარის თვითნებობის კლასიკურ ნიმუშს, ამ თავმჯდომარემ თურმე ბრძანებით გააუქმა საეკლესიო დღესასწაულები. „შილდის თემში,—ვკითხულობთ ამ განცხადებაში,—გაუქმებულია ყველა ძველი დღესასწაული: „შიდმაისობა", „კოხიანობა", „ბარბარობა", „სამებაობა" და „კვირაცხოვლობა". ამ დღეებში დანიშნულია მუშაობა საგზაო შრომის ბეგარის შესასრულებლად. ამ სამუშაოზე გაწვეული იქნება ყველა, როგორც მასპინძლები, ისე სტუმრები. ვინც წესრიგს დაარღვევს, დაჯარიმებული იქნება 25 მანეთით". (სიცილი).

რა თქმა უნდა, პარტიის ყრილობაზე, ასეთი დოკუმენტის წაკითხვას შეუძლია სიცილი გამოიწვიოს, მაგრამ ასეთ რამეს, როდესაც ის სოფელში გამოიცემა, შეუძლია მთელი წლით გააფუჭოს საქმე. რა უნდა ვუყოთ ასეთ თვითნებებს, რომელსაც ელემენტარული რამეებიც კი არ ესმის, თუმცა ჩვენ სულ იმას გვიძახით, რომ ადმინისტრატიული ზომებითა და ბრძანებებით რელიგიური გრძნობის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება. თემაღმასკომის ამ თავმჯდომარეს არ ესმის ასეთი უბრალო რამე და აფუჭებს ჩვენს ურთიერთობას გლეხობასთან.

სოფლად მუშაობის შესახებ

გადავდივარ, ამხანაგებო, სოფლად მუშაობაზე.

ჩემი მოხსენების პირველ ნაწილში ვსთქვი, რომ ჩვენი სასოფლო ორგანიზაციების მუშაობის შეფასების დროს უნდა გამოვდიოდეთ იქიდან, თუ რამდენად იღებენ ისინი მონაწილეობას სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის დიდ საქმეში, იქიდან—რამდენად შეაგნებინეს ჩვენმა ქვედა ორგანიზაციებმა გლეხობას კოლექტიური მშენებლობის პრაქტიკული მნიშვნელობის დიდი ამოცანა, ერევიან თუ არა ისინი იმ უდიდეს სიძნელეებს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციასა და კოლექტივიზაციასთან. უნდა ითქვას, რომ ამ დარგში ჩვენ უეჭველი მიღწევები გვაქვს, გვაქვს ერთგვარი გარდატეხა, ამ მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესება ჩვენი სოფლელი კომუნისტების საერთო მასაში. მაგრამ გვაქვს მთელი რიგი უარყოფითი ფაქტებიც, რაც იმას გვეუბნება, რომ თუ დროზე სათანადო ზომებს არ მივმართეთ შეიძლება მეტად არასასურველი შედეგები მივიღოთ.

ჩვენში, მაგალითად, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ჩვენი კომუნისტები წინააღმდეგობას უწევენ კოლმეურნეობათა მოწყობას.

ამხანაგებო, მე მეკითხებიან, არის თუ არა საქართველოში მემარჯვენე გადახრა. რამდენიც გნებავთ. პრაქტიკულ მუშაობაში ჩვენ ვხვდებით მას ქალაქშიაც და სოფელშიაც. ყველაზე დიდი საფრთხე სწორედ ის არის, რომ ჩვენ არ გვყავნან მემარჯვენე გადახრის თეორეტიკოსები, ისინი, ალბად, არც იქნებიან, იმიტომ რომ ცოტა გამოჩნდება ისეთი სულელი, რომელმაც მოინდომოს, რომ იგი პარტიიდან გააძევონ, სამარცხვინო დაღი დაასვან და გააბიაბრუონ. მაგრამ მემარჯვენე გადახრის პრაქტიკოსი იმდენია, რამდენიც გნებავთ. მათ ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით.

მე არ ჩამოვთვლი იმ დეფექტებს კომუნისტების მუშაობაში სოფლად, რომლებიც მემარჯვენე გადახრის გამოხატულებას წარმოადგენენ. მართალი არ არის ის, ვინც ფიქრობს, რომ ნაციონალისტური გადახრა წარმოადგენს ყოველგვარი გადახრის კერძოდ მემარჯვენე გადახრის, გამოხატულების უნივერსალურ ფორმას. ეს მართალი არ არის. პრობლემის ასე დასმა ნიშნავს მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის მიფუჩეჩებას. იმიტომ, რომ თუ მემარჯვენე გადახრა თავს იჩენს ნაციონალისტური გადახრის ფორმით, ნაციონალიზმთან, უკლონიზმთან ბრძოლა ჩვენ უკვე დავამთავრეთ და, მაშასადამე, ბოლო მოვუღეთ ყოველგვარ გადახრას, სხვათაშორის მემარჯვენე გადახრასაც. საკითხის ასე დასმა არ შეიძლება. ეს ნიშნავს შემარიგებელ დამოკიდებულებას მემარჯვენე გადახრასთან, რადგან მემარჯვენე გადახრის სიმწვავის მიფუჩეჩება ჩვენში არის შემარიგებლობა მემარჯვენე გადახრასთან. ჩვენში ადგილი არა აქვს ნაციონალისტური გადახრის მწვავე გამოხატულებას, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენში რამდენიც გნებავთ, იმდენია, მემარჯვენე საქმეები სოფლადაც და ქალაქადაც. მე ერთხელ მომინდა ლაპარაკი ამ საკითხზე და მოვიყვანე მემარჯვენე გადახრის მრავალი მაგალითი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ხაზით, ღარიბი გლეხობის კოოპერატიული შეკავშირების ხაზით და სხვ.

მემარჯვენე გადახრის კონკრეტული მაგალითები

გარდა ამისა, მე ვთქვი, რომ ქვედა საფეხურის ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმაოდ არ იცნობენ მემარჯვენე გადახრის რაობას და ამაშია მთავარი საფრთხე, ეს არის ჩვენი მუშაობის ყველაზე სუსტი ადგილი. ჩვენ სოფელში გვყავნან თეორეტიულად არასაკმაოდ მომზადებული ამხანაგები. ისინი ვერ ახერხებენ მემარჯვენე გადახრის პრაქტიკული გამოხატულების გამოაშკარავებას. რას უწოდებთ თქვენ ისეთ ფაქტს, როცა კომუნისტი წინააღმდეგობას უწევს კოლმეურნეობის მოწყობას? იგი ნაციონალისტია? სრულიადაც არა. ყველა დანარჩენ საქმეში ის შეიძლება ძალიან კარგი კომუნისტიც იყოს, მაგრამ კოლმეურნეობის მოწყობა არ სურს. მაშ ვინ არის იგი? ნამდვილი მემარჯვენე უკლონისტი, რომელიც პარტიიდან უნდა გავაძევოთ. იმ კომუნისტს, რომელიც კოლმეურნეობათა მშენებლობის წინააღმდეგ ილაშქრებს, ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენს პარტიაში, ვინაიდან კოლმეურნეობათა მშენებლობა არის ის ბერკეტი, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია. ის კომუნისტი, რომელიც წინააღმდეგობას უწევს კოლმეურნეობათა მშენებლობას, არ არის კომუნისტი.

თუ კომუნისტი ამბობს, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობას ნიადაგი არა აქვს საქართველოში, ასეთი კომუნისტიც გაძევებულ უნდა იქნას პარტიიდან, სწორედ ისე, როგორც ის კომუნისტები, რომელნიც სტიქიურად ქმნიან კოლმეურნეობებს, როგორც, მაგალითად, ცაგარელი, რომელმაც მოაწყო ვლადიმერ ცაგარელის სახელობის კოლმეურნეობა, ამასთან, როგორც აღმოჩნდა, ცრუ კოლმეურნეობა.

ისეთი კომუნისტები, რომელნიც სტიქიურად ქმნიან კოლმეურნეობებს, რომელნიც ინსტრუქტორს ავალებენ: „დღეს შენ 4 კოლმეურნეობა უნდა მოაწყო, ხვალ 5, სულ კი თვეში 25", ასეთი კომუნისტები უნდა გავაძევოთ ჩვენი რიგებიდან (ხმები, „სწორია"), ვინაიდან ფაქტიურად ისინი ქმნიან არა ნამდვილ კოლმეურნეობებს, არამედ ცრუკოლმეურნეობებს, რომელნიც მთელი თავიანთი არსებით მიმართულნი არიან კოლექტივიზაციის იდეის წინააღმდეგ. თქვენ გგონიათ, ასეთი ფაქტი ცოტაა? მე შემიძლია მოვიყვანო იმის ფაქტი, რომ კულაკები გავლენას ახდენდნენ კომუნისტებზე.

გაგრის რაიონში პარტიისა და კომკავშირის უჯრედები უარჰყოფდნენ თავიანთ რაიონში კულაკების არსებობას. იგივე ჩაიდინა სამთავისის კომუნის უჯრედმა გორის მაზრაში. მე არ ვიცი, როგორ მოხდა ეს? ის ამხანაგები, რომლებმაც სამთავისის კომუნა მოაწყვეს, არიან ყველაზე ნაცადი და, მე ვიტყოდი, ყველა მემამულეებისადმი ზოოლოგიური სიძულვილით გამსჭვალულნი. რამდენად ცუდი უნდა იყოს ხელმძღვანელობა, თუ ამ კომუნის ხალხი ლაპარაკობს, რომ მათ რაიონში კულაკები არ არიან. სადღა უნდა იყვნენ კულაკები, თუ არა გორის და კახეთის მაზრებში? ამხანაგებო, არის ისეთი ფაქტები, როდესაც მთელი რიგი კომუნისტები გამოდიან კულაკების დასაცავად. აფხაზეთში სოფელ გულრიფშის უჯრედში, ზოგიერთი კომუნისტები გამოვიდნენ კულაკების დასაცავად.

რომ ამხანაგ ჩანჩას არ ვაწყენინო, სხვა მაგალითებსაც მოვიყვან. სოფელ უყარეულში ერთი შეძლებული არჩეულ იქნა საბჭოს კანდიდატად. ხოლო კანდიდატობიდან პირდაპირ პრეზიდიუმის წევრად. რა უნდა ვუწოდოთ ისეთ ფაქტებს, როდესაც შავსიელებს უკანონოდ უბრუნებენ უფლებებს? იმის გამო, რომ არ ესმით ჩვენი კლასობრივი პოლიტიკა სოფლად, ხმის უფლებას უბრუნებენ კულაკ-შავსიელს. მე ამას წინად მოვიყვანე მაგალითი ახალქალაქის მაზრიდან, როდესაც კულაკი, რომელიც ბაღის ნაკვეთს ან 300 მანეთს სწირავდა, საზოგადოებრივ-სასარგებლო ელემენტად ჩასთვალეს და მას ხმის უფლება აღუდგინეს. რა არის ეს, თუ არა ნამდვილი მემარჯვენე გადახრა პრაქტიკულ მუშაობაში? ან მაგალითად, კულაკურ მეურნეობათა არასაკმაო აღრიცხვა და სუსტი ინდივიდუალური დაბეგვრა. ასეთი ფაქტები არის. კახეთში ინდივიდუალურად დაბეგრეს 24 კომლი, ხოლო როდესაც მათ წინადადება მისცეს—დაემუშავებიათ ეს საკითხი, კიდევ აღმოჩნდა 38 ინდივიდუალურად დასაბეგრი კომლი. მე უსაბუთოდ როდი ვლაპარაკობ, ჩამოწერილი მაქვს გვარები, სახელები, ვის რამდენი საქონელი ჰყავს, ვის რა ქონება აქვს, რამდენი დესეტინა ვენახი აქვს, და სხვა. დაბეგრეს ისინი, შემდეგ კი შავ სიებში არ შეიტანეს, იმიტომ, რომ მათ ან რაიმე შესწირეს, ან რომელიმე ჩინოვნიკი მოისყიდეს. აი ნამდვილი მემარჯვენე გადახრა საქმით. კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. კულაკები ამ შემთხვევაში მოქმედებენ ძალიან მოხერხებულად, მოფიქრებულად. საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად მათ აქვთ მეთოდების მთელი კომპლექსი. ისინი მიმართავენ მკვლელობასაც, პროვოკაციასაც და შეწირვასაც, ერთი სიტყვით, არავითარ საშუალებას არ ერიდებიან იმისათვის, რომ როგორმე ხელი შეუშალონ კოლმეურნეობათა მოწყობას, როგორმე ზიანი მიაყენონ კოლმეურნეობებს, თავიანთ ხელში ჩაიგდონ მანქანები და სხვა. რას ვხედავთ სამანქანო ამხანაგობებში, რომელთა უდიდესი უმრავლესობა, განსაკუთრებით კახეთში, ცრუ ამხანაგობებს წარმოადგენს? არსებითად ამ კულაკურ მეურნეობებს სახელმწიფო აძლევს კრედიტს და საწარმოო საშუალებებს, ხოლო ისინი უფრო მეტად იმონებენ ღარიბ გლეხს. უნდა განვლოს წლებმა, რომ ჩავიდეს ც. კ.-ის ინსტრუქტორი და შეაგნებინოს მათ, რომ ეს არსებითად არის ღარიბ გლეხთა მეურნეობების დამონება. მხოლოდ მაშინ ხედებიან ჩვენი ამხანაგები, რომ ეს კარგი არ არის. აი მემარჯვენე გადახრის ფაქტები, რომლებსაც გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ, გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ, ისინი, წინააღმდეგ შემთხვევაში შორს ვერ წავალთ.

რა არის ეს, თუ არა მემარჯვენე გადახრის გამოხატულება, როდესაც კოლექტიურ მეურნეობებში კომუნისტები შეადგენენ სულ 7,5 პროცენტს, ანუ გლეხ კომუნისტების საერთო რიცხვის 2,8 პროცენტს? რა არის ეს? ჩვენ გამოვდივართ და გვეძახით, რომ მიწათსარგებლობის საუკეთესო ფორმა არის კოლექტიური მეურნეობა, რომ ის ხელსაყრელია გლეხობისათვის, გლეხები კი გვიპასუხებენ: თუ ხელსაყრელია, შედი, მაგალითი გვიჩვენეო. ხოლო ზოგიერთი სოფლელი კომუნისტი კოლმეურნეობების წინააღმდეგ გამოდის და არ შედის კოლმეურნეობაში.

ეს დაუშვებელია. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი სოფლელი კომუნისტები მაგალითის მაჩვენებელი იყვნენ. სოფლის ის აქტივი, რომელიც ჩვენ გვყავს, არის საფუძველი, რომელსაც ჩვენ უნდა დავეყრდნოთ, რათა განვახორციელოთ უდიდესი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობაში. ხოლო თუ ჩვენ გვყავან ისეთი კომუნისტები, რომელთაც აგიტაციის გაწევაც კი არ შეუძლიათ ან აგიტაციას ეწევიან უპარტიოთა შორის, თითონ კი კოლმეურნეობებში არ შედიან, ასეთი კომუნისტებით ჩვენ კოლექტიურ მეურნეობას ვერ მოვაწყობთ (ხმები: „რა არის ამისათვის საჭირო?—„პარტიიდან უნდა გავაძევოთ").

გაძევება კი შეიძლება, როდესაც არ სურთ კოლმეურნეობაში შესვლა, მაგრამ ბრალი სამაზრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებსაც ედებათ. მე ვამტკიცებ, რომ იდეოლოგიურ მუშაობას სოფლელ კომუნისტების აღსაზრდელად მეტად სუსტად ვაწარმოებთ.

ვინ არის სოფლელი კომუნისტი? კულტურულ-პოლიტიკურად მას ბევრით არ გაუსწრია საშუალო უპარტიო გლეხისათვის. იგი როგორღაც ალღოთი მიხვდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მისთვის იბრძვის, მაგრამ კულტურულ-პოლიტიკურად იგი ჩამორჩენილია, იგი უწინარეს ყოვლისა ინდივიდუალისტი გლეხია. ამიტომ საჭიროა უდიდესი მუშაობა იმისათვის, რომ ამ კომუნისტების შეგნებაში შთაინერგოს კოლმეურნეობათა მშენებლობის აუცილებლობა.

აქ თვალსაჩინო ბრალი მიუძღვის ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც დღემდე არ გამოუცია არც ერთი პოპულიარული წიგნი ამ საკითხებზე. (ხმები ადგილებიდან: „მართალია").

დიახ, ამხანაგებო, ჩვენ ბრალი მიგვიძღვის იმაში, რომ ჩვენს სოფელს დღემდე არ მიუღია პოპულიარული ლიტერატურა. ბუნებრივია, ამხანაგებო, რომ კომუნისტი, რომელიც ასეთ ბროშურებს არ კითხულობს, არ კითხულობს გაზეთს, ის არ არის კომუნისტი. საერთოდ, უცოდინარი კაცი ცუდი თანამშრომელია ყოველგვარ საქმეში.

ვიმეორებ, საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებები ცენტრალურ და სამაზრო კომიტეტების მხრივ იმისათვის, რომ სოფლელი კომუნისტები სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ, რათა ისინი გადაიქცნენ ხელმძღვანელ ძალად სოფლის გარდასაქმნელად, რათა შეეძლოთ მათ აღაფრთოვანონ გლეხობა. უამისოდ ჩვენ ვერავითარ რეკონსტრუქციასა და ინტენსიფიკაციას ვერ განვახორციელებთ.

გავაუმჯობესოთ სოფლის უჯრედების ხელმძღვანელობა

ამხანაგებო, სოფლის უჯრედების ხელმძღვანელობას მრავალი ნაკლი აქვს. უჯრედები არ მისდევენ კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხების შესწავლას. ჩვენ, ამხანაგებო, ამ ცოტა ხნის წინად ჩავატარეთ სოფლის უჯრედების შესწავლა და იმ დასკვნამდე მივედით, რომ თითქმის არც ერთი უჯრედი არ აწარმოებს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მისი კოლექტივიზაციის საკითხების შესწავლას. ხოლო თუ სვამენ ამ საკითხს, შემდეგნაირად ეხმაურებიან: ლიხაურის რაიონში, სადაც 18 ჩაის კოლმეურნეობაა, უჯრედს ერთხელაც კი არ დაუსვამს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხი, სხვას კი, რასაც გნებავთ, იმას ეხება.

სოფელ გულრიფშში არის კოლექტივი. უჯრედმა მოისმინა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოხსენება და დაადგინა: „კოლმეურნეობის მუშაობა ჩაითვალოს ნაყოფიერად და ვუსურვოთ მას შემდგომი წარმატება".

ან კიდევ: ერთ უჯრედში—„მოისმინეს მოხსენება ჩაის პლანტაციის დახვნის შესახებ, დაადგინეს დახვნა მოხდეს ხუთშაბათს".

საქმე დრო კი არ არის, არამედ ის, თუ რა დახმარება გაუწიონ გლეხს ამ საქმეში.

ან კიდევ: უჯრედმა გაარჩია ბამბუკის დარგვის საკითხი. დაადგინა—„დარგვა მოხდეს ორშაბათს".

ერთი სიტყვით, უჯრედები თითქმის სრულებით არ აწარმოებდნენ სოფლის მეურნეობისა და მისი კოლექტივიზაციის საკითხების შესწავლას. თუ მოხსენებას მოისმენენ, მხოლოდ იმისათვის, რომ შემდგომი წარმატება უსურვონ. უჯრედების ასეთი მუშაობა არაფრად არ ვარგა. ჩვენ აუცილებლად გარდატეხას უნდა მივაღწიოთ და აი აქ უნდა დაგვეხმარონ პარტიის სამაზრო ორგანიზაციები. ისინი უნდა დაეხმარონ უჯრედს—ისე შეადგინოს მუშაობის გეგმა, რომ უჯრედი სისტემატიურად ხელმძღვანელობდეს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის წარმოებულ მუშაობას.

მემარჯვენე გადახრის არსებობის კიდევ ერთი ფაქტი არის უყურადღებო დამოკიდებულება ღარიბი გლეხობის კოოპერატიულ შეკავშირებასთან. მე მოგახსენეთ მოსახლეობის, კერძოდ ღარიბ გლეხობის კოოპერატიული შეკავშირების შესახებ. მაგრამ საინტერესოა, რომ ჩვენში არსებობენ მთელი რიგი კოოპერატივები, რომლებშიაც ღარიბი გლეხობის ფონდი დღემდე გამოუყენებელია. არც გამგეობამ, არც თემკომმა, არც თემაღმასკომმა არაფერი იციან ამ ფონდების შესახებ, ფული კი უქმად ძევს.

რით აიხსნება ეს? მხოლოდ უყურადღებო დამოკიდებულებით ღარიბი გლეხობის ინტერესებისადმი. ამ შემთხვევაში ჩვენს კომუნისტებს შორის თავს იჩენს ის თვალსაზრისი ღარიბ გლეხზე, რომელსაც ადგილი აქვს სოფლად. საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ საშუალო გლეხი—მეურნე ღარიბ გლეხს ზარმაცად სთვლის. ღარიბი გლეხი, მოჯამაგირე, რომელსაც მიწა არა აქვს, ზიზღს იწვევს მასში. ასეთი განწყობილება ჩვენს სოფლელ კომუნისტებსაც ედებათ. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ღარიბ გლეხობის ფონდებს რამდენიმე ათი ათას მანეთს ჩვენში თავის დროზე არ იყენებენ და ეს ფული თვეობით უქმად ძევს.

საბჭოების მუშაობა. სასოფლო-სამეურნეო სექციები სათემო საბჭოებთან თითქმის აბსოლიუტურად არსად არ მუშაობენ, მაშინ, როდესაც ამ სექციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენს პირობებში. ავიღოთ, მაგალითად, კარდანახი. სასოფლო-სამეურნეო სექციას ამ ორი წლის განმავლობაში ჰქონდა 10 სხდომა და არც ერთხელ არ გაურჩევია თუნდაც ერთი ისეთი საკითხი, რომელიც სოფლის მეურნეობას ეხებოდეს; არჩევდა მხოლოდ განცხადებებს, ვინ ვის შეედავა, წაეჩხუბა და სხვ. ლიხაურში სასოფლო-სამეურნეო სექციას არა აქვს გაზაფხულის თესვის არავითარი გეგმა, არც გაუგონია რამე ამაზე. ამავე დროს კი პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ასეთი საკითხების დამუშავებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ ვიცით, რომ საწარმოო სასოფლო-სამეურნეო თათბირებმა უდიდესი შედეგები უნდა მოგვიტანონ. მართალია, ამ დარგში კიდევ მცირე გამოცდილება გვაქვს, ამაზე უფრო დაწვრილებით ამხ. სიხარულიძე ილაპარაკებს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების ეს მცირე გამოცდილებაც მოწმობს მათ უდიდეს მნიშვნელობას სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის.

შემდეგში სასოფლო - სამეურნეო საწარმოო თათბირების მუშაობა ისე უნდა მოეწყოს, რომ ამ თათბირებს მიეცეს სისტემატიური, გეგმიანი ხასიათი და საერთოდ აგებულ იქნან ქალაქის საწარმოო თათბირების ტიპის მიხედვით; მხოლოდ მაშინ მიაღწევენ ისინი სერიოზულ წარმატებას.

მუშაობა უღარიბეს გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის

მუშაობა ღარიბ გლეხთა შორის. ჩვენ უკვე მთელი წელიწადია გვიძახით, რომ მუშაობა ღარიბ გლეხთა შორის მეტად ცუდად არის დაყენებული. ყველა მაზრელი ამხანაგი გვეთანხმება ამაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქმეს წინსვლა არ ეტყობა. დღემდე ვერ ვხედავთ გარდატეხას ჩვენი სამაზრო ორგანიზაციების განწყობილებასა და პრაქტიკაში. ეს მუშაობა მეტად ცუდად არის დაყენებული. საქართველოში ჩვენ არა გვაქვს ღარიბ გლეხთა არავითარი ჯგუფები. სენაკის სამაზრო კომიტეტი პატიოსნად მოიქცა, როდესაც პრეზიდიუმში აღიარა, რომ მას არა ჰყავს ღარიბ გლეხთა ჯგუფები და რომ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს. ჩვენ ვიცით, რომ ღარიბ გლეხთა ჯგუფებსა და კრებებს და ღარიბ გლეხთა თათბირებს აქვთ უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო პოლიტიკური, არამედ სამეურნეოც. ბევრი ამხანაგი ფიქრობს, რომ ღარიბ გლეხთა ჯგუფები მხოლოდ პოლიტიკური მიზნით ეწყობიან. რა თქმა უნდა, პოლიტიკა აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს, მაგრამ ისინი ეკონომიური მიზნითაც ეწყობიან, რათა ორგანიზაციულად შეუწყონ ხელი ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის განვითარებას.

საერთოდ ღარიბ გლეხთა ჯგუფების და ღარიბ გლეხთა თათბირების მუშაობა ჩვენში იცვლება გლეხთა ყრილობებით და თათბირებით.

პარტიის დირექტივები იმის შესახებ, რომ გამოიყოს ღარიბ გლეხთა ჯგუფები და ისეთი მდგომარეობა შეიქმნას, რომ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების რთულ ღონისძიებათა გატარების დროს სოფლად დავეყრდნოთ ღარიბ გლეხთა ორგანიზაციულად დარაზმულ ჯგუფებს — ეს დირექტივები შესრულებული არ არის.

რამდენადმე უკეთესი მდგომარეობაა მოჯამაგირეთა შორის მუშაობაში, იმ მხრივ, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ზოგიერთ წარმატებას მივაღწიეთ მოჯამაგირეების კავშირებში ჩაბმის საქმეში, თუმცა დღემდე კიდევ ვერ მივაღწიეთ ნორმალურ მდგომარეობას.

ასე მაგალითად, საქართველოში ითვლება 40.000 მოჯამაგირე. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ეს ციფრი მეტად დაახლოვებითია, არავის არ აღურიცხავს ისინი, ვინაიდან ჩვენმა პროფორგანოებმა ვერ შესძლეს ეშოვათ 2.000 მანეთი და ეს ფული მიეცათ კავშირისათვის მოჯამაგირეთა სრული აღრიცხვის ჩასატარებლად.

ამხანაგებო, მე დიდხანს არ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას ამ საკითხზე, თუმცა არის მრავალი საინტერესო მაგალითი, რომ ჩვენი სამოსამართლო ორგანოები წლობით აჭიანურებენ მოჯამაგირეების მიერ კულაკების წინააღმდეგ შრომის საკითხების ირგვლივ აღძრულ საჩივრებს. არც იმაზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, რომ კულაკურ მეურნეობებში მომუშავე მოჯამაგირეებს დღემდე კიდევ ყველას არა აქვს დადებული შრომითი ხელშეკრულებები. უმეტეს ნაწილად მოჯამაგირეები უხელშეკრულებოდ მუშაობენ და ძლიერ ექსპლოატაციას განიცდიან. კახეთის მაზრაში იყო ისეთი მაგალითი, როცა კულაკმა მოჯამაგირეს აუკრძალა თამბაქოს წევა და იგი თავის ნამდვილ მონად გადააქცია.

შეიძლება ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა, მაგრამ ვფიქრობ უკეთესი იქნება, თუ ყოველსავე ამაზე ამხ. სიხარულიძე ილაპარაკებს.

რამდენადმე გაუმჯობესებულია პარტიასა და კომკავშირში მოჯამაგირეების ჩაბმის საქმე. მაგალითად, 1929 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე პარტიაში მიღებულ იქნა 217 მოჯამაგირე, ხოლო კომკავშირში — 544. რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ერთგვარი წინსვლა ამ დარგში უკვე არის.

პარტიის მთლიანობა ძირითადი პირობაა ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანების გადასაწყვეტად

აი, ამხანაგებო, საერთოდ ყოველივე ის, რაც მე მინდოდა მეცნობებია ყრილობისათვის ჩემს მოხსენებაში სოფლის მეურნეობის განვითარების გზებისა და რეკონსტრუქციის საკითხის შესახებ. ამ სფეროში ჩვენი ამოცანები იმდენად გრანდიოზულია, რომ მოითხოვენ არა მარტო პარტიის, არამედ მთელი უპარტიო საზოგადოებრიობის, საბჭოთა აქტივის ძალთა მაქსიმალურ დაძაბვას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ამხანაგებო, ჩვენი მუშაობის ყველაზე ძნელი დარგი უთუოდ არის სოფლის მეურნეობა, იმიტომ რომ ეს არის ყველაზე ნაკლებ შესწავლილი დარგი. ჩვენ ხშირად ალალბედზე მივდივართ და ვტყუვდებით. სწორედ ამიტომ საჭიროა მთელი ძალღონის მაქსიმალურად დაძაბვა, რათა შევძლოთ დიდი ამოცანის შესრულება.

მაგრამ ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ შევძლებთ შევინარჩუნოთ ჩვენი კომუნისტური რიგების სიმტკიცე და მთლიანობა, თუ შევძლებთ ლიკვიდაცია ვუყოთ ყოველგვარ მერყეობას ჩვენს რიგებში. ამ მიზნისათვის საჭიროა, რომ მთავარი ყურადღება მივაქციოთ ბრძოლას პირველ რიგში მემარჯვენე გადახრასთან, რომელიც ჩვენს წვრილბურჟუაზიულ პირობებში წარმოადგენს ყველაზე დიდ საფრთხეს, განსაკუთრებით სოფლად. წვრილბურჟუაზიული სტიქია აწვება ჩვენს პარტიას და ცალკე კომუნისტებს.

ამხანაგებო, მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლას განსაკუთრებული აზრი ეძლევა სწორედ იმიტომ, რომ ეს საფრთხე თავს იჩენს ყოველ დღე, ყოველ საათს, პრაქტიკულ მუშაობაში ქალაქად და სოფლად. უნდა მივეჩვიოთ მემარჯვენე გადახრის გამოცნობას, მის სწრაფად განკურნებას და აღმოფხვრას—ეს არის ძირითადი მოთხოვნა, რომელიც ჩვენს თავს უნდა დავუსახოთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვეძლება ვსთქვათ, რომ ბრძოლას მემარჯვენე საფრთხესთან ვაწარმოებთ არა მარტო რეზოლიუციებით, არამედ პრაქტიკულადაც, მუშაობის დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა ფუჭი ლაყბობა. როდესაც, მაგალითად, იმავე კარდანახის რაიონში ეხებიან ბუხარინს და სთვლიან მას არქიმემარჯვენედ, თითონ კი ხმის უფლებას უბრუნებენ შავსიელებს—ეს არის ლაყბობის ყველაზე მახინჯი ფორმა, ეს არის ყველაზე ნამდვილი მემარჯვენე პოლიტიკა საქმით.

ჩვენი პარტიის მთლიანობა, რკინისებური დისციპლინის შენარჩუნება ჩვენს რიგებში და მონოლიტობა წარმოადგენენ აუცილებელ პირობებს სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ჩვენი უდიდესი გეგმის შესრულებისათვის. (ტაში).

სასუქის გამოყენება

ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ჩვენში საგაზაფხულო თესვა. ყველა რაიონებში მუშაობა სწარმოებს დიდის ენერგიით. მიწები იმდენი ითესება, რამდენიც არასოდეს დათესილა, თესლეულის გაწმენდას და წამლობას აგრონომებმა მასიური ხასიათი მისცეს.

მაგრამ არის ერთი მეტის-მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გადაწყვეტაშიც აგრონომები უძლურნი არიან: ესაა მიწის განოყიერების საქმე. მიწის თავის დროზე მოხვნას და დამუშავებას, თესლის გაწმენდას და მანქანა-იარაღების მოხმარებას აგრონომები სოფლად გლეხობას ადვილად აჩვევენ, მაგრამ როცა ისინი გლეხობას ურჩევენ მიწის განოყიერებას, აქ მასალის დიდი ნაკლებობაა და პროპაგანდა-აგიტაცია მნიშვნელობას კარგავს. უამისოთ კი რაც უნდა ვიმეცადინოთ, მოსავლიანობის აწევა გაგვიჭირდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნურ და მინერალურ სასუქს. მაგრამ ისე დაჩქარებით ვერ მოვახერხებთ აღნიშნულ სასუქის საკმაო რაოდენობით დამზადებას. ამიტომ ჯერ-ჯერობით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ძვირფას მასალას, რომელსაც საქონლის ნეხვი ეწოდება.

დასავლეთ საქართველოში გლეხობა უფრო გულმოდგინეთ ინახავს საქონლის ნეხვს და არ კარგავს მას უსარგებლოთ. სულ სხვა მოვლენას აქვს ადგილი აღმოსავლეთ საქართველოში. აქ შედარებით საქონელიც მეტია, ნეხვი კი ბევრ შემთხვევაში უსარგებლოთ იკარგება. მაგალითად, სამხრეთ კახეთში აუარებელი ნეხვი ილპება. გლეხობას არა აქვს ჩვეულება და არც სურს შეჩვიოს ნეხვით გაპატივოს ნიადაგი. ამას ხელს უწყობს ნიადაგის დიდი სინოყიერე. აღმოსავლეთ საქართველოში ხევები, ცხვრისა და სხვა საქონლის ბინები ავსებულია საქონლის ნეხვით.

ჩვენის აზრით, შეიძლებოდა ისეთ ადგილებში საქონლის ნეხვის დამზადებას ორგანიზაციული ხასიათი მისცემოდა.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ყურძნის ჭაჭა არაყათ გამოხდის შემდეგ ხშირად უსარგებლოთ იკარგება. არც ერთ მხარეში არა აქვს ვისმეს ჩვეულება არაყათ გამოხდის შემდეგ ჭაჭა დაამუშაოს ისე, რომ ნიადაგის სასუქათ გამოდგეს. არც ისე ამზადებენ, რომ მით საქონლის გამოკვება შეიძლებოდეს. კახეთის ხევები სავსეა ჭაჭით, ის მიაქვს ნიაღვარს. ჩვენში 7 მილ.-მდის ფუთი ყურძენი მოდის და არაყათ გამოხდის შემდეგ, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ (ფუთიდან 10 გირვანქა) მილიონ-ნახევარი ფუთი ჭაჭა მაინც დარჩება. სასუქათ რომ გამოდგეს ჭაჭის დამუშავება ძლიერ ადვილია და არავითარ ხარჯს არ მოითხოვს, ფიზიკური შრომის გარდა. აქაც საჭიროა შემოვიღოთ ჩვეულება ჭაჭით სარგებლობისა. ეს მით უფრო ადვილი იქნება, რომ ახლა კოოპერატივები და საბჭოთა მამულები დიდის რაოდენობით უყრიან თავს ჭაჭას ადგილობრივ. დაუშვებელია ამოდენა სიმდიდრე რომ სასარგებლოდ არ გამოვიყენოთ.

კოტე ზერიქაშვილი.

საერთაშორისო „წითელი დღის" ჩატარების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის კომიტეტს, საოლქო კომიტეტებს, სამაზრო კომიტეტებს და საქართველოს კომპარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს, პროფკავშირთა საბჭოს ფრაქციას, რემედასის ცენტრალურ კომიტეტს. საქართველოს ფიზკულტურის საბჭოს, ლენინური ახალგაზრდობის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს თავდაცვა - ავიაქიმს.

მზადება და ჩატარება ომის საწინააღმდეგო საერთაშორისო „წითელი დღისა", რომელიც კომინტერნის მე-6 კონგრესის მიერ 1 აგვისტოსათვის არის დანიშნული, უნდა მოხდეს მშრომელთა ფართო მასების აქტივობის მობილიზაციის ნიშნის ქვეშ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა ლოზუნგების ირგვლივ.

ამიერ-კავკასიის პირობებში ამ დღეს უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა იმის გამო, რომ ამიერ-კავკასია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ისეთ კუთხეს წარმოადგენს, რომელსაც ყველაზე მეტი საფრთხე მოელის იმპერიალიზმის მხრით და რომელიც სოციალიზმს აშენებს დაბეჩავებული ნახევრად კოლონიალური აღმოსავლეთის საზღვარზე.

„წითელი დღის" მოსამზადებელი კამპანიის ჩატარების დროს იხელმძღვანელეთ შემდეგი დირექტივებით:

საერთაშორისო სფეროში—ფართო მასების ყურადღება უმთავრესად მიექცეს მუშათა საერთაშორისო მოძრაობის, ომის საფრთხის და იმპერიალიზმთან ბრძოლის საკითხებს, აგრეთვე მასების ინტერნაციონალურ აღზრდას და მობილიზაციას საბჭოთა კავშირის, როგორც ყველა ქვეყნის მშრომელთა პირველ სოციალისტურ სამშობლოს, დაცვის ლოზუნგის ირგვლივ. ამავე დროს ფართოდ გაშუქდეს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის, კერძოდ და განსაკუთრებით კი მისი „მემარცხენე" ფრთის, როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტურის, კონტრ-რევოლიუციონური ბუნება.

საშინაო სფეროში—კამპანია უნდა იყოს დაკავშირებული სოციალისტური მშენებლობის ისეთ ბრძოლითი ამოცანებთან, როგორიც არის: სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის რეალიზაცია, სოციალისტური შეჯიბრება, შრომის ნაყოფიერების აწევა, მოსავლიანობის გადიდება, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობის განმტკიცება და ახალი კოლექტიური მეურნეობების მშენებლობა, ბრძოლა სახელმწიფო სესხის ობლიგაციების შენარჩუნებისათვის და მომავალი ინდუსტრიალიზაციის დღის ამოცანათა განმარტება, კულტურული რევოლიუციის საკითხები, ამიერ-კავკასიის ფედერაციის საფუძვლთა განმტკიცება, გაძლიერება მშრომელთა კავშირისა წითელ არმიასთან და გაძლიერება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობისა (მოსახლეობის გასამხედროება და სხვა).

ფართოდ გამომჟღავნდნენ ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონური პარტიები (მენშევიკები, დაშნაკელები და მუსავატელები), როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმის დამქაშები მათი ინტერვენციონისტური განზრახვებით; გამომჟღავნდეს აგრეთვე აშკარა კონტრ-რევოლიუციაში გადასული ტროცკიზმი.

საჭიროა მთელ კამპანიაში უზრუნველყოფილ იქნეს ფართო მონაწილეობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა, განსაკუთრებით—პროფკავშირების, თავდაცვა-ავიაქიმის, ფიზკულტურის ორგანიზაციების, რემედასის და სხვათა.

კამპანიის ჩასატარებლად ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული მასიური მუშაობის ყველა ფორმა. და მეთოდი—კლუბი, კინო, რადიო, სამკითხველო და სხვ., მოეწყოს მოხსენებები, იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის მონაწილეთა მოგონებები, მხატვრული დადგმები, საღამოები და სხვა. მოეწყოს დელეგაციების გაგზავნა საშეფო სამხედრო ნაწილებში, დელეგაციების გაცვლა-გამოცვლა ბანაკად მყოფ სამხედრო ნაწილებს შორის.

მშრომელთა ინტერნაციონალური დაკავშირების სადემონსტრაციოდ მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს მუშებისა და გლეხების სპეციალური დელეგაციების გაგზავნა მეზობელ რესპუბლიკებში (აზერბეიჯანში, სომხეთი) იქაურ დემონსტრაციებში მონაწილეობის მისაღებათ.

ფართოდ გაშუქდეს გაზეთებში „წითელი დღის" მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ამავე დღეს შეეფარდოს კედლის გაზეთების მორიგი ნომრების გამოშვება.

1 აგვისტოს დღეს ყველგან გაიმართოს მშრომელთა მასიური დემონსტრაციები წითელი არმიის ნაწილებთან ერთად.

ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ლ. ღოღობერიძე.

ც. კ. საორგ.-საინფ. განყ. გამგე
შოშიკაშვილი.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ყრილობა

ყრილობის გახსნა

შაბათს, 16 ივლისს, საღამოს პროფსაბჭოს ახალ დარბაზში გაიხსნა საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მე-6 ყრილობა. ყრილობა გახსნა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. აკ. ქუთიამ, რომელმაც შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ ყრილობას მუშაობა უხდება მეტად სერიოზულ პირობებში, როდესაც ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის წინაშე სდგას თავისი მუშაობის საფუძვლიანი რეორგანიზაციის საკითხი. ორნახევარი წლის წინად სექცია გამოეყო განათლების მუშაკთა კავშირს და შევიდა პოლიგრაფიული წარმოების მუშაკთა კავშირში. ამ ხნის განმავლობაში სექციის წევრთა ნაწილი (ტეხნიკური მუშაკები) თანდათანობით და ბუნებრივად ჩამოშორდა სექციას და უშუალოდ მოექცა კავშირში, რის გამოც სექციის შემადგენლობა აღარ შეეფერებოდა მის ფორმალურ სახეს. სექციაში დარჩნენ უმთავრესად ლიტერატურული მუშაკები. ამ გარდამავალ მდგომარეობამ სათანადო გავლენა იქონია სექციის მუშაობაზე და მოადუნა იგი. ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში წამოიჭრა სექციის რეორგანიზაციის საკითხი. ყრილობას მოუხდება უკვე მომხდარი ფაქტის დადასტურება. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექცია უნდა დარჩეს როგორც მხოლოდ ლიტერატურულ მუშაკთა გაერთიანება, ეჭვს გარეშეა, რომ ამით საძირკველი ჩაეყრება უფრო ცხოველ და ნაყოფიერ მუშაობას.

ამხ. აკ. ქუთიას სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა პრეზიდიუმი.

საპატიო პრეზიდიუმი

საპატიო პრეზიდიუმში არჩეული იქნენ: ამხ. სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, რიკოვი, ვოროშილოვი, რუძუტაკი, კუიბიშევი ორჯონიკიძე, მიქოიანი, ტელმანი, მამია ორახელაშვილი რუბენი, მიხა ცხაკაია, მახარაძე, კახიანი, მაჩაიძე.

საქმიანი პრეზიდიუმი

საქმიან პრეზიდიუმში—9 კაცი: ამხ. ლაზარი, ნ. კიკნაძე, ა. ყოყიაშვილი, აკ. ფანცულაია, აკ. ქუთია, გიულდუმიანი, ლევიკინი, ბაქრაძე და რიკოვი.

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ ყრილობამ მუკდენის ხელისუფლების აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე პროვოკაციული თავდასხმის გამო ერთხმად მიიღო დადგენილება საპროტესტო რეზოლიუციის გამოტანის შესახებ. რეზოლიუციის ტექსტის შედგენა დაევალა პრეზიდიუმს.

ჩვენი პრესის ნაკლი და მიღწევები

ამხ. ლაზარის მოხსენება

სრულიად საკავშირო ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ცენტრალურ ბიუროს სახელით მოხსენებას აკეთებს ამავე ბიუროს თავმჯდომარე ამხ. ლაზარი, რომელიც აცხადებს, რომ იგი არ შეუდგება ბიუროს წარსული მუშაობის მშრალ ანგარიშს, არამედ ილაპარაკებს იმაზე, თუ რამდენად დამუშავა და მოამზადა საბჭოთა კავშირის პრესამ ის რთული ამოცანები, რომლებიც ამჟამად დგანან კლასის და ბეჭდვითი საქმის მუშაკთა წინაშე.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ 7—8 წლის განმავლობაში, ამბობს ამხ. ლაზარი, საბჭოთა კავშირის ბეჭდვითი სიტყვა იმყოფებოდა კრიტიკულ მატერიალურ და სამეურნეო პირობებში, რაც საგრძნობლად აფერხებდა ბეჭდვითი სიტყვის გაშლა-გაძლიერებას და ნაყოფიერ მუშაობას. ამ ხნის განმავლობაში ბეჭდვითი სიტყვის მუშაკების ყურადღება აქეთ იყო მიმართული. უკანასკნელი ორი სამი წლის განმავლობაში ჩვენი სამეურნეო მდგომარეობა საგრძნობლად უმჯობესდება. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ შევძელით არა მარტო ჩვენი პროდუქციის გაუმჯობესება და გაიაფება, არამედ გავაჯანსაღეთ ჩვენი ბალანსი და საძირკველი ჩავუყარეთ ბეჭდვითი სიტყვის გეგმიან ზრდას და გაძლიერებას. ეხლა ჩვენ უკვე არ გვაკმაყოფილებს წარსული სტიქიური ზრდა და ვიწყებთ გადასვლას გეგმიან მუშაობაზე. შემუშავებული გვაქვს ბეჭდვითი სიტყვის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომლის უკანასკნელი ვარიანტის მიხედვით ჩვენი პროდუქცია უნდა გაიზარდოს 200 პროცენტით და თვითღირებულება შემცირდეს 22 პროც.-ით, ეს გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნაციონალურ რესპუბლიკების ბეჭდვითი საქმის გაძლიერებას. ჩვენმა პრესამ არამც თუ უნდა დააკმაყოფილოს არსებული მოთხოვნილება, არამედ უნდა გამოიწვიოს ამ მოთხოვნილების ზრდა და ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი სინამდვილიდან ალკოჰოლის, რელიგიის და სხვა მავნე ზნე-ჩვეულებების აღმოფხვრას. პრესის უახლოეს მიზანს შეადგენს ჩვენი სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის ფართო მასაში გატანა და პოპულარიზაცია.

მართალია ბოლშევიკური პრესა ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა, მაგრამ ამჟამად მის წინაშე სდგანან განსაკუთრებით დიდი და რთული ამოცანები, რომელთა გადაჭრაც დიდ ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად ჩვენგან მოითხოვენ დიდ ენერგიას. ჩვენს პრესას აუცილებლად აქვს მიღწევები, მაგრამ გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ ამ რთულ ამოცანებისათვის იგი სათანადოთ ვერ არის მომზადებული.

საგრძნობლად მოისუსტა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა შორის გამბედაობა და ინიციატივა, რაც აუცილებელია ჩვენს პირობებში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება და მუშათა კლასი გაშლილი ფრონტით აწარმოებს სოციალისტურ მშენებლობას. ზოგიერთი ჩვენი გაზეთი ჯერ კიდევ განაგრძობს დრომოჭმულ და იაფფასიან ფრაზეოლოგიით წერას. შესუსტდა მუშ-გლეხკორების მუშაობა. იმ დროს, როდესაც ფართოდ არის გაშლილი თვითკრიტიკა, თვითონ ბეჭდვითი სიტყვაში ამ თვითკრიტიკამ ვერ ჰპოვა განხორციელება. ჩვენი გაზეთები განზრახ გაურბიან ერთი მეორის საღ კრიტიკას. ბევრი ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთაგანი თანახმაა უხმოდ ჩაყლაპოს თავისი შეხედულება ამა თუ იმ პრაქტიკულ საკითხზე, ვინაიდან ფიქრობს, რომ თუ იგი მწვავედ დააყენებს ამ საკითხს, შეიძლება მას მოუხდეს რედაქციიდან წასვლა. ამას კი იგი გაჩუმებას ამჯობინებს.

საბჭოთა კავშირის პრესის მუშაკთა შორის მრავლად მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ მკითხველს და ძალიან ხშირად აწვდიან მათ გაუგებარ ფორმებსა და ფრაზებში ჩამოსხმულ მასალას. გახშირდა პლაგიაციის შემთხვევებიც, რაც აუცილებლად მავნებელია, ვინაიდან თუ ახალგაზრდა მუშაკი მიმართავს ამ ხერხს—იგი ვერას დროს ვერ შეიქმნება დიდი ჟურნალისტი, ხოლო თუ დიდი ჟურნალისტი პარავს მასალას ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ ნიჭიერ მუშაკს—ამით იგი ჩრდილავს მას და აგვიანებს მის დაწინაურებას. აღსანიშნავია აგრეთვე ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის მუშაკების საგრძნობი ნაწილის ჩამორჩენილობა განვითარების მხრით. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკები არ ფიქრობენ, რომ დღევანდელი პირობები მათგან უფრო დიდ ცოდნას მოითხოვს და ზომებს არ ღებულობენ თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს მუშაკების როგორც საწარმოო და პროფესიონალურ, აგრეთვე პოლიტიკური კვალიფიკაციის ამაღლებას, თორემ ახლო მომავალში ჩვენი მუშაკების კვალიფიკაცია ველარ დააკმაყოფილებს პრესისათვის წარდგენილ მოთხოვნილებებს და პრესა იძულებული შეიქნება თავიდან მოიშოროს ასეთი უვიცი მუშაკები. თვით რედაქციები ვალდებული არიან პრაქტიკულ მუშაობის დროს აღზარდონ მუშაკთა კადრები. პრესის მუშაკები ჩაბმული უნდა იქნან საწარმოო თათბირებში.

ჩვენ არ ვიცით წესიერი მუშაობა და უთავბოლოდ ვხარჯავთ დროს (ძალიან ხშირად უსაქმოდ ვრჩებით რამოდენიმე საათობით რედაქციაში და სხ.) საჭიროა პრესის მუშაკების შრომის ორგანიზაცია, რომ თვითგანვითარებას დაეთმოს საჭირო დრო. სხვებს ვაკრიტიკებთ და ვასწავლით, თვითონ კი არ ვსწავლობთ და მონაწილეობას არ ვღებულობთ საწარმოო საქმიანობაში.

რაც შეეხება ბეჭდვითი სიტყვის მუშაკების მატერიალურ მდგომარეობას, უნდა ითქვას, რომ ჩვენ ხელფასი მაინც და მაინც ცოტა არ გვეძლევა, მაგრამ სრულიად არ ვარგა ჩვენი ხელფასის განსაზღვრის სისტემა. არ გვაქვს მტკიცე ნორმები, რაც ყოვლად მიუღებლად უნდა ჩაითვალოს.

ცენტრალურ ბიუროს განზრახული აქვს სავსებით განდევნოს რედაქციიდან ჰონორარის სისტემა და ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგმული იქნება რეპორტაჟის საკითხში, რეპორტიორებისთვის ხელფასის გაცემის წესის შეცვლასთან ერთად უნდა შეიცვალოს მათი მუშაობის ხასიათიც. მშრალ, კაზიონურ ინფორმაციას ადგილი არ უნდა ექნეს გაზეთში. რეპორტიორებმა უნდა ზედმიწევნით შეისწავლონ ის დარგი, რომელსაც ემსახურებიან და ყოველი მათი წერილი-ინფორმაცია უნდა იქნეს მოვლენის არა მარტო ფოტოგრაფიული ასახვა, არამედ ცოცხალი და საქმიანი შეფასებაც. საჭიროა რეპორტიორების სპეციალიზაცია და კვალიფიკაციის ამაღლება, რომ ისინი შეიქნენ ნამდვილი საბჭოთა მუშაკები და ნამდვილი საბჭოთა ჟურნალისტები.

განზრახულია აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის რეორგანიზაცია. ტეხნიკური მუშაკები, რომლებიც აქამდე შემოდიოდნენ სექციაში, ორგანიულად უნდა შეუერთდნენ კავშირს, ხოლო სექცია გააერთიანებს ბეჭდვითი სიტყვის ლიტერატურულ მუშაკებს.

კამათი

ამხ. ლაზარის მოხსენების გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ოცამდე კაცმა.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ახალგაზრდა მუშაკების მომზადებას პრესის ძველი მუშაკები არ აქცევენ ყურადღებას: ერიდებიან ახალგაზრდა მუშაკების გაზეთში სამუშაოდ დაშვებას, საჭიროების დროს ძველ მუშაკებს ტვირთავენ ერთი-ორად ოღონდ კი არ მიიღონ ახალგაზრდები. სახელმწიფო ჟურნალისტიკის ინსტიტუტში მიღების პირობები მეტად მძიმეა. კვალიფიკაციის ამაღლებას საჭიროებენ არა მარტო ახალგაზრდა არამედ ძველი მუშაკებიც, რედაქციების ძირითადი მუშაკები მთელ თავის დროს ანდომებენ სარედაქციო მუშაობას და მათ საკმაო დრო არ რჩებათ ფიზიკურად დასასვენებლად. ამ პირობებში ძნელია კვალიფიკაციის ამაღლებაზე ფიქრი. მუშაობის ასეთი არანორმალური პირობები შექმნილია გაზეთების ხარჯთაღრიცხვის დაუსრულებელი შეკვეცით, რის გამოც გაზეთის მუშაკები იძულებული ხდებიან ზედმეტი პირადი შრომით შეავსონ შეკვეცილი ხარჯთაღრიცხვა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა სათანადო შტატების შედგენა და რედაქციის მუშაკებისათვის მტკიცე ხელფასის დაწესება. ორატორები სავსებით იწონებენ ბიუროს მიერ ამ მიმართულებით მიღებულ გადაწყვეტილებას.

ორატორებს საჭიროდ მიაჩნიათ ამიერ-კავკასიაში შეიქმნეს ჟურნალისტების მოსამზადებელი კურსები.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მუშ-კორთა შორის მუშაობას და გაძლიერებულ იქნას მათ აღზრდაზე მზრუნველობა.

ორატორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ რეპორტიორების უუფლებო მდგომარეობას და აღნიშნავენ, რომ რეპორტიორებს, როგორც ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი რედაქციის გარეთ, ისე თვით რედაქციები შეუფერებლად ექცევიან.

ქრონიკა

სახელმწიფო სესხების შენარჩუნებისათვის ხელისშემწყობი სარესპუბლიკო კომისია

საქართველოს ცაკის დადგენილებით დაარსებულია სახელმწიფო სესხების შენარჩუნებისათვის ხელისშემწყობი სარესპუბლიკო კომისია შემდეგი შემადგენლობით: **ამხ. ფილ. მახარაძე** (თავმჯდომარე), **გალ. ვაშაძე** (თავმჯდომარის მოადგილე), **ხ. თოდრია, ვ. სტურუა, ვალ. ვაშაკიძე, გ. მგალობლიშვილი,** ივანოვ-კავკასიელი, ჟოჟიკაშვილი, ყურულიშვილი, მჭარეულიშვილი, ბეს. გოგია, ბუაჩიძე, კალატოზოვი, ყამარაული, კვირიკაძე და ქოიავა.

იტალიელი კომერსანტის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა იტალიის კომერციული ბანკის წარმომადგენელი **ბ. ტულიო ვერლატო,** რომელსაც დავალებული აქვს იტალია-საბჭოთა კავშირს შორის სხვადასხვა კომერციულ საკითხებზე გამართოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან.

დღეს ბ. ვერლატო გაემგზავრება მოსკოვში.

სტუდენტთა ექსკურსია

სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეც. ტექნ. საზოგადოება აწყობს სტუდენტთა აკადემიურ ექსკურსიას შემდეგი მარშრუტით: თბილისი-რიონჰესი, აბჰესი-ფოთი-ბათომი და აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგური. გზა უფასოა. ექსკურსიაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა ჩაწერა სწარმოებს სტუდ. სამეც. ტექნ. საზოგადოების ტექნიკურ სექციაში (თავისუფლების მოედანზე, ქარვასლაში).

კონკურსი საუკეთესო მომუშავე საკრ. ამხ-გაზე

ამიერ - კავკასიის სასოფლო - სამეურნეო ბანკის ცნობით, ახლო ხანში მთელ საბჭოთა კავშირში ჩატარდება კონკურსი საუკეთესო მომუშავე სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხ-გაზე.

საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატთან დაარსებულია ცენტრალური საკონკურსო კომისია.

საუკეთესო მომუშავე საკრედიტო ამხანაგობების დასაჯილდოებლად სულ დაწესებულია 31 ჯილდო. აქედან სამი ჯილდო არის თითო 2.000 მანეთიანი, 8 ჯილდო თითო ათას მანეთიანი და 20 ჯილდო თითო 500 მანეთიანი. სულ გაცემული იქნება ჯილდოს სახით 24.000 მ. კონკურსის ჩასატარებლად ამიერ - კავკასიაში უკვე დაწყებულია წინასწარი სამზადისი მუშაობა.

ქალაქში ხეების მოჭრის აკრძალვა

ვინაიდან სახლის კერძო მეპატრონეები და გამგეები ხშირად მიზანშეუწონლად სჭრიან ეზოებში ხეებს, თბილისის აღმასკომმა დაადგინა სასტიკად აიკრძალოს ხეების მოჭრა მთელ ქალაქში. აუცილებელ შემთხვევაში საჭიროა ნებართვა.

თბილისის აღმასკომში

◆ **ელბაქიძის აღმართის** გასაფართოებლად თბ. აღმასკომმა გადასდო 20 ათასი მანეთი.

◆ **ვაკეში ქუჩების შესაკეთებლად** თბ. აღმასკომა გადასდო 5.000 მანეთი.

◆ **ბაზრების შეერთება.** აღმასკომმა გადასწყვიტა გააერთიანოს მუხრანის და ცენტრალური ბაზრები.

◆ **ამერიკული ბაზარი** ახლო ხანში გადატანილი იქნება ხითაროვისეულ ქარვასლაში.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **საბავშვო ბაგების** ხელმძღვანელთა მოსამზადებელი კურსები დაამთავრა 14 გლეხქალმა, რომლებიც დაიგზავნებიან მაზრებში.

◆ **კოლმეურნეობებთან** ზემო-ქედაში და ლამის ყანაში (გორ. მაზ.) ჯანსახკომმა გახსნა ბაგები.

სხვადასხვა

◆ **ახალი ექიმები.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტი წელს დაასრულეს და ექიმის წოდება მიიღეს—ელენე ანანიაშვილმა, ელენე წულუკიძე-ჩიქოვანისამ, ტერეზა სახოკიამ და ნიკოლოზ ზაუტაშვილმა.

◆ **თათბირი რადიო-გადაცემათა შესახებ.** დღეს, თბილისის რადიო-გადაცემათა ცენტრის ბინაზე (სოლოლაკის ქ., 8) შესდგება თათბირი ა.-კ. ერთა ნაციონალური კულტურების რადიო-გადაცემათა პროგრამის შესახებ. თათბირი გაიხსნება დღის 12 საათზე.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **მიხ. კავსაძის გუნდის მოგზაურობა.** ამ დღეებში მიხეილ კავსაძის სახალხო მომღერალთა გუნდი მიემგზავრება პროვინციაში სახალხო კონცერტების მოსაწყობათ. გუნდი ჩამოივლის —კახეთს, ქართლს, დასავლეთ საქართველოს და ყველა დიდ ქალაქებსა და დაბებს.

გუნდის პროგრამაში შედის, როგორც თანამედროვე, ისე ძველი ქართული სახალხო სიმღერები.

დაუდევრობის სამწუხარო შედეგები

ექსკურსანტების დაღუპვა

14 და 15 ივლისს პროფკავშირებმა მოაწყვეს ექსკურსია ბათომში. ექსკურსანტებში სჭარბობდნენ საბჭ. სავაჭრო მუშაკების და მელითონეთა კავშირების წევრები. ექსკურსიის მომწყობთა დაუდევრობას უნდა მიეწეროს ის, რომ ექსკურსანტთა რიცხვი ძალზე სჭარბობდა მატარებელში არსებულ ადგილებს, რის გამო „ექსკურსიაში" მონაწილეთა ნაწილი იძულებული შეიქნა მოთავსებულიყო ვაგონების სახურავებზე, კიბეებზე და ბუფერებზე.

ასეთი გაჭირვებით, როგორც იქნა ჩავიდნენ ბათომში, მაგრამ აქ მათ არ დახვდათ ღამის გასათევი ბინა, რაც უნდა მიეწეროს იმას, რომ ამ საკითხზე ალბათ წინასწარ თავი არავინ შეიწუხა. ზოგი ზღვის პირას „დაბინავდა", ზოგი ქუჩაში.

დილით ექსკურსანტთა ჯგუფი წავიდა ზღვაზე საბანაოდ. ბანაობის დროს წყალში დაიხრჩო საბჭ. სავაჭრო მუშაკთა კავშირის წევრი, მუშკოოპის თანამშრომელი (ექსკურსიის მონაწილე)—**ხანოვიჩი.** (ამავე 14 და 15 ივლისის განმავლობაში ზღვამ იმსხვერპლა რუსეთიდან ჩამოსული 6 ექსკურსანტი).

მაგრამ უბედურება ამით არ დამთავრდა. ბათომიდან დაბრუნების დროს, გზაში, სადგ. სვირთან ექსკურსანტ **ამბარდანაშვილს** მოჰპარეს ტანთსაცმელი. ვიღაცამ უთხრა მას, რომ ქურდი ვაგონის სახურავზეაო. ამბარდანაშვილმა დააპირა სახურავზე ასვლა, მაგრამ მოსხლტა და მოჰყვა მატარებლის ქვეშ. ამის შესახებ ექსკურსიის „მეთაურებმა" და მონაწილეებმა გაიგეს მხოლოდ... თბილისში ჩამოსვლისას.

შევინახოთ ობლიგაციები კოლექტიურად

თათბირი საქ. პროფსაბჭოში

16 ივლისს საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა წარმომადგენლების თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა სახელმწიფო სესხების ობლიგაციების შენარჩუნების კამპანიასთან დაკავშირებული საკითხები.

თათბირზე გამოირკვა, რომ ზოგიერთი კავშირები გულგრილად ეკიდებიან აღნიშნულ კამპანიას, ზოგან ასეთი კამპანია სულ არ ჩატარებულა. თათბირმა წინადადება მისცა კავშირებს, რომ იმ წარმოება-დაწესებულებებში, სადაც ჯერ არ ჩატარებულა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების შენარჩუნების კამპანია, ასეთი ჩაატარონ უახლოესი ორი-სამი დღის განმავლობაში.

მოწვეული უნდა იქნეს ფაბქარხადგილკომების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც მათ უნდა მიეცეს საჭირო ახსნა-განმარტებანი. კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს შეჯიბრების და გამოწვევის მეთოდი.

ვინაიდან ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებებში გახშირდა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების გაყიდვა, თათბირმა წინადადება მისცა კავშირებს შეადგინონ თავიანთ წარმოება-დაწესებულებებში ცხრილი იმისა, თუ რამდენ ობლიგაციაზე იყო ხელი მოწერილი და რამდენია გაყიდული.

დასასრულ, თათბირმა საჭიროდ სცნო დაარსებული იქნეს სახელმწიფო კრედიტის ხელისშემწყობი კომისიები ყველა იმ წარმოება-დაწესებულებებში, სადაც ასეთები არ არსებობს.

—:—

უწევთ რა ანგარიშს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიის გამაგრების და განმტკიცების საქმეს, ჩვენ, სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის ქარხკომის მთელ შემადგენლობას შეგვაქვს კოლექტიურად სახელმწიფო ბანკის სალაროში ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები და ვიწვევთ ამავე ქარხნის ძველ, იატაკ ქვეშ და მათი თანამგრძნობ მუშებს, რათა მათაც შეიტანონ კოლექტიურად თავიანთი სესხის ობლიგაციები სახელმწიფო შემნახველ სალაროში.

ქარხკომი.

სამზადისი შემოდგომის თესვისათვის

თბილისის მაზრაში

თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებამ უკვე შეუდგა წინასწარი ღონისძიებების ჩატარებას თბილისის მაზრაში შემოდგომის თესვისათვის.

მიღებულია ზომები, რათა შემოდგომაზე ნათესების სივრცე გადიდებული იქნას 10 პროცენტით. თუ აგრეთვე მხედველობაში მივიღებთ ნათესების ბუნებრივ ზრდას—1,5 პროცენტს, მაშინ თბილისის მაზრაში შემოდგომაზე სულ დაითესება 58.294 ჰექტარი. ჩვეულებრივად კი ითესება 52.212 ჰექტარი. (გასული წლის შემოდგომაზე დაითესა 49.078 ჰექტ.).

ნათესების სივრცე უმთავრესად გადიდებული იქნება ღარიბეს გლეხებისა და კოლექტიურ მეურნეობათა მეშვეობით.

შემოდგომის თესვისათვის ღარიბეს გლეხებს და კოლექტიურ მეურნეობებს სათესლე მასალით დახმარება დასჭირდებათ 72.864 ფუთის რაოდენობით. ეს თესლი მოუნდება მარტო გადიდებულ სივრცის თესვას, დანარჩენი ფართობი დაითესება თვით გლეხთა საშუალებებიდან.

შემოდგომისათვის მაზრაში შეტანილი იქნება 30 ტრიერი, 60 ფარცხი, 25 სათესი და გუთნები მოთხოვნილების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მაზრაში გლეხების 40 პროცენტს არ ყავს მუშა-საქონელი, რაც ყოველთვის აბრკოლებს თესვას.

წელს განზრახულია მუშა-საქონლით გლეხობა დაკმაყოფილებული იქნას ნაწილობრივ. ამ მიზნით გლეხობას გაუნაწილდება 210.000 მანეთი 700 უღელი ხარის შესაძენად.

შემოდგომის თესვისათვის გარკვეული იქნება 154.000 ფ. ხორბალი, ამდენივე მოიწამლება. ასე, რომ ამ გზით შესაძლებელი გახდება მოსავლის გადიდება მთელ ფართობზე გადატანით—2 ნახ. პროცენტით. მიწის განოყიერებით და მავნებლებთან ბრძოლის ჩატარებით მოსავლის სიუხვეს შეიძლება აწეული იქნას 1 ნახ. პროცენტით. ამრიგად შემოდგომის ნათესების მოსავალი გაიზრდება 4 პროცენტით.

სათესლე მასალის მოსაწამლად შეძენილი იქნება 1 ნახ. ტონა ფორმალინი და მინდვრის თაგვებთან საბრძოლველად—ერთიმესამედი ტონა დარიშხანი.

თბილისის მაზრაში სულ არჩეული იქნება 500 აგრო-რწმუნებული. მათ გადასამზადებლად საჭიროა 6.000 მანეთი. ამ თანხიდან თბ. აღმასკომის სადგილ-მამულო განყოფილებას მიწადმოქ. სახ. კომისარიატმა უკვე გადასცა 4.000 მანეთი.

კონტრაქტაციის ქვეშ შემოდგომაზე დაითესება 2500 ჰექტარი, მწკრივად—1.000 ჰექტარი. მიღებულია ზომები სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შემკეთებელ სახელოსნოების ქსელის გასაფართოებლად.

უკვე დაწყებულია მაზრაში მარტივ აგროკულტურულ ღონისძიებების ჩატარების კამპანია.

რა ხდება ადგილებზე

650 მოზარდი სკოლის გარედ

ოზურგეთი, 16 ივლისი. მიმდინარე წელს ოზურგეთის მაზრაში შვიდწლედი დაამთავრა 600 მოწაფემ. ცხრაწლედში შეიძლება მხოლოდ 120 მოწაფის მიღება და სპეცტექნიკუმებში—80-ის. იმათ გარდა, ვინც წელს დაამთავრა შვიდწლედი, დარჩენილია კიდევ 250 მოწაფე, რომლებიც შარშან ვერ მოხვდნენ ცხრაწლედებში. ამრიგად, სკოლის გარედ დარჩა 650 მოზარდი. რათა უზრუნველყოფილ იქნას სკოლებში მოჯამაგირეთა, ღარიბი და საშუალო გლეხთა შვილების მიღება, სახალხო განათლების განყოფილებამ ყოველ შვიდწლედს მისცა ადგილების განსაზღვრული რაოდენობა მოსწავლეთა ცხრაწლედებში გადასაყვანად. (ადს).

პარკის მოსავალი

ოზურგეთი, 16 ივლისი. წელს მოსალოდნელია პარკის კარგი მოსავალი. დღემდე მიმღებმა პუნქტებმა მიიღეს 340.000 კილოგრამი პარკი. ინკუბაციამ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. ზოგიერთ ადგილებში ინკუბაცია თითო კოლოფზე იძლევა 64 კილოგრამს, ნავარაუდევი 44 კილოგრამის ნაცვლად (ადს).

ნათესის სივრცის გაფართოვება 6 პროცენტით

ოზურგეთი, 16 ივლისი. აგრონომების თათბირმა მოიწონა შემოდგომის თესვის კამპანიის პროექტი. გეგმით ნავარაუდევია დაითესოს 1.413 ჰექტარი ქვავი, 277 ჰექტარი ქერი და 537 ჰექტარი სხვა პურეული. საერთოდ ნათესი სივრცე შემოდგომის თესვის კამპანიის დროს გაფართოვდება 6 პროცენტით.

დაწინაურებული მუშების თათბირი

16 ივლისს პროფსაბჭოში შესდგა დაწინაურებულ მუშათა თათბირი. თათბირს დაესწრენ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში დაწინაურებული მუშები, რიცხვით 30 კაცი. თათბირის მოწვევის მიზანი იყო დაწინაურებულთა მუშაობის პირობების გამორკვევა და მათი გამოცდილების გაზიარება ერთმანეთისათვის.

თათბირზე უპირველეს ყოვლისა გამოირკვა, რომ მუშების დაწინაურებამ სავსებით გაამართლა თავისი თავი. დაწინაურებულებმა სავსებით დასძლიეს მათზე დაკისრებული მუშაობა და ამჟამად ისინი ღირსეულად უძღვებიან იმ საპასუხისმგებლო თანამდებობებს, რომლებზედაც წამოაყენა მუშათა კლასმა.

დაწინაურებულთა მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ზოგან დღემდე არ არის შექმნილი ნორმალური, საღი პირობები დაწინაურებულ მუშებისათვის, მიუხედავათ იმისა, რომ ამ საკითხზე არსებობს მრავალი კატეგორიული დირექტივა. დაწინაურებულს ჯერ კიდევ ყველგან არ უყურებენ მეგობრული თვალით. სამწუხაროთ, ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ისეთი პირობები, რომ დაწინაურებულ მუშას შეეძლოს ყოველ დღე, ყოველ წუთში მივიდეს უჯრედის მდივანთან, ადგილკომის თავმჯდომარესთან ან სამეურნეო ორგანოს ხელმძღვანელთან და გაუზიაროს მას თავისი იჭვები და რჩევა თხოვოს.

დამოკიდებულება სპეცების მხრიდან თუმცა უმჯობესდება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ნორმალური. ზოგან სპეცები ხელს უშლიან დაწინაურებულთა მუშაობას, მაგრამ საკავშირო ორგანოები იღებენ ზომებს ამ დაბრკოლების გადასალახავად.

დაწინაურებული მუშები თუმცა პრაქტიკულად გაიწაფენ, მაგრამ გრძნობენ, რომ თეორეტიულად არ ყოფნით მომზადება. განსაკუთრებით უნდა ითქვას, ეს იმ დაწინაურებულ მუშებზე, რომლებსაც საქმე აქვთ ბუხჰალტერიასთან. მათ არ აქვთ პოპულიარული ლიტერატურა ამ დარგში, რომ შეეძლოთ თვითგანვითარებას მოჰკიდონ ხელი.

საჭიროთ იქნა ცნობილი, რომ ადგილკომების საშუალებით სამეურნეო ორგანოების წინაშე დასმული იქნეს საკითხი სპეციალური საბუხჰალტერო კურსების მოწყობის შესახებ დაწინაურებულთათვის.

აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ პროფკავშირების ხელმძღვანელი ორგანოები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ დაწინაურებულ მუშებს. ეს ითქმის პროფსაბჭოზეც, რომელიც მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაუახლოვდა მჭიდროთ ამ საკითხს. აუცილებელია კავშირებმა გეგმიანი მუშაობა აწარმოონ დაწინაურებულთა შორის. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა ეხლა, როდესაც ახლო ხანში უნდა დაიწყოს საბჭოთა აპარატის წმენდა.

დასასრულ, გამოთქმული იქნა სურვილი, რომ ასეთი თათბირები აზრთა და გამოცდილების გაცვლა-გამოცვლის მიზნით მოწვეული იქნეს 3—6 თვეში ერთხელ.

თბილისის საშეფო საზოგადოების მესამე კონფერენცია

16 ივლისს, საღამოს, მელითონეთა კლუბის საზაფხულო დარბაზში გაიხსნა თბილისის საშეფო საზოგადოების მე-3 საქალაქო კონფერენცია. კონფერენცია გახსნა საშეფო საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. ასრიბეკოვმა.

— ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით,— განაცხადა ამხ. ასრიბეკოვმა, — საბჭოთა ხელისუფლების წინაშე წამოჭრილია მეტად დიდი ამოცანა სოფლად სოციალისტური მშენებლობის გაფართოებისა და ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის შესახებ. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის უახლოესმა თანაშემწემ — თბილისის საშეფო საზოგადოებამ თავისი მომავალი საქმიანობა უნდა წარმართოს სულ ახალი გზით და მიზნად დაისახოს სოფლად საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის დავალებების განხორციელება.

ამხ. ასრიბეკოვის წინადადებით კონფერენცია ირჩევს საქმიან პრეზიდიუმს 29 კაცის შემადგენლობით. კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად იქნენ არჩეულნი — **ამხ. სტალინი, მოლოტოვი, სერგო ორჯონიკიძე, რიკოვი, კალინინი, ტელმანი, ვოროშილოვი, ლარსის, მამია ორახელაშვილი, მიხა ცხაკაია, ფ. მახარაძე, შ. ელიავა და მ. კახიანი.**

დღის წესრიგისა და რეგლამენტის მიღების შემდეგ კონფერენცია ისმენს მისალმებებს.

პირველი მისასალმებელი სიტყვით გამოდის ბაქოს საშეფო ორგანიზაციის მიერ გამოგზავნილი დელეგაციის წევრი მუშა ამხ. **ნეპრიახინი.**

ბაქოს ქალაქის რაიონის მუშების სახელით კონფერენციას ესალმება ამხ. **სპირინი,** რომელიც აუწყებს კონფერენციას, რომ ბაქოს ქალაქის რაიონის მუშებმა მას გამოატანეს თბილისის ლენრაიონის მუშებისათვის გადასაცემათ სიმინდის სათესი მანქანა, რომელიც გაგზავნილ უნდა იქნეს საქართველოს ერთ-ერთ სოფელში ღარიბი გლეხობის კოლმეურნეობისათვის. შემდეგ, აზერბეიჯანის შეფობის დარგში მომუშავეთა სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. **ანდრეევი.**

მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან აგრეთვე სოფ. იგოეთის (გორ. მაზრა) გლეხობის წარმომადგენელი ამხ. **ხარიშვილი,** სოფ. ღვლევის (გორ. მ.) გლეხობისაგან გამოგზავნილი დელეგატი გლეხი **მარგიშვილი** და სოფ. მუხროვანის გლეხების წარმომადგენელი გლეხი **სუჩკოვი.** მოსმენილ იქნა აგრეთვე ამხ. **ქურჩიშვილის** მისასალმებელი სიტყვა თავდაცვა - ავიაქიმის თბილისის საბჭოს სახელით და ამხ. **ძნელაძის** — ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის მუშების სახელით. კონფერენციაზე გამოქვეყნებულ იქნა აგრეთვე გომის თემის (გორ. მ.) გლეხობის კოლექტიური მისასალმებელი წერილი.

კონფერენციამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშებით მიმართოს საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასთან არსებულ საშეფო კომისიას და ლენინგრადის, მოსკოვის, ბაქოს და ერევნის საშეფო ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებს.

ამით დამთავრდა კონფერენციის პირველი სხდომა.

ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება

17 ივლისს, საღამოს შესდგა კონფერენციის მეორე სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. ე. ასრიბეკოვის მოხსენება სასოფლო მეურნეობის განვითარების გზებისა და საშეფო საზოგადოების ამოცანების შესახებ.

მევენახეობა-მეღვინეობის გამოკვლევა

მევენახეობა-მეღვინეობის მდგომარეობის შესახებ მიწათმოქმედ. სახ. კომისარიატის მევენახეობა-მეღვინეობის ინსპექტორმა ამხ. **დ. ბიბილაშვილმა** ჩვენი გაზეთის თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

იმის გამოსარკვევათ, თუ უკანასკნელ ხანებში რა მდგომარეობაშია საბჭოთა მამულების ვენახები, ან საბჭოთა მამულები უწევენ თუ არა ახლო-მახლო მოსახლე გლეხობას მევენახეობის საქმეში დახმარებას, მიწათმოქმედების კომისარიატი შეუდგა როგორც საბჭოთა მამულების, ისე გლეხურ ინდივიდუალურ მეურნეობაში ვენახების მდგომარეობის გამოკვლევას.

გამოკვლევის ჩასატარებლად გამოყოფილია სპეციალისტთა კომისია, რომელმაც გამოკვლევა უკვე მოახდინა წინანდალის და მუკუზანის საბჭოთა მამულებში და ამ მამულების ახლო მდებარე გლეხთა მეურნეობებში.

გამოირკვა, რომ გლეხურ მეურნეობებში ყურძნის მოსავალს 10—15 პროცენტით უფრო ნაკლები პირი უჩანს, ვიდრე საბჭოთა მამულებში.

ვენახები ვერ არის სათანადოთ მოვლილი. არც საბჭოთა მამულების ვენახებია დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. გარდა ამისა საბჭოთა მამულები გლეხებს მევენახეობის გასაუმჯობესებლად ვერ უწევენ შესაფერ დახმარებას.

კომისია გამოკვლევას ჩაატარებს აგრეთვე კახეთის დანარჩენ მევენახეობის რაიონებშიაც. შემდეგ გამოკვლეული იქნება თბილისის მაზრა, შორაპნის და ქუთაისის მაზრები.

გამოკვლევის მოხდენის შემდეგ უმთავრესად მიღებული იქნება შემდეგი ღონისძიებები: საბჭოთა მამულებზე მიმაგრებულნი იქნებიან მევენახე აგრონომები, რომლებიც სპეციალურ მეთვალყურეობას გაუწევენ მევენახე გლეხების მუშაობას და შესაფერ დახმარებას აღმოუჩენენ მათ. ჩატარებული იქნება კამპანია მევენახე გლეხებს შორის ძველი ვენახის ამერიკული ნამყენით შეცვლის მიზნით.

როგორც საბჭოთა მამულები, ისე გლეხები უზრუნველყოფილნი იქნებიან გაუმჯობესებულ ტეხნიკურ საშუალებებით მევენახეობის გასაძლიერებლად. ამავე მიზნით მევენახეობის რაიონებში მომავალ წლიდან შეტანილი იქნება საკმაო რაოდენობით მინერალური სასუქები და თავის დროზე იწარმოებს მავნებლებთან ბრძოლა.

სასამართლო

ათ-ათი წელი „გასტროლიორებს"

ჩვენ უკვე ვსწერდით ქურდ-რეციდივისტებზე სერგო სალავიოვზე და ვასილ ბაიკოვზე, რომლებიც გასული წლის დეკემბერში ეწვიენ თბილისს გაუმჯობესებული „საწარმოო" იარაღებით. ისინი მთელი ერთი წლის განმავლობაში სძარცვავდნენ თბილისში ბინებს, შეიძინეს დიდძალი ქონება. უკანასკნელად 1929 წლის 15 თებერვალს მათ გაძარცვეს თბილისის მუშკოოპის პასაჟი რუსთაველის პროსპექტზე. ვაიტაცეს 6.000 მანეთის საქონელი, გაიქცენ ტუაპსეში და იქ შეუდგნენ ნაქურდალი საქონლის გასაღებას, რაშიაც მათ აქტიურ დახმარებას უწევდა სალავიოვის მეუღლე **ევგენია მიხეილის ასული.**

ტუაპსეში ისინი შეპყრობილ იქნენ სისხლის სამართლის მილიციის მიერ.

რეციდივისტები გუშინ გაასამართლა თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ ამხ. **ა. თენეიშვილის** თავმჯდომარეობით.

სერგო სალავიოვს და ვასილ ბაიკოვს მიესაჯა ათ-ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

ევგენია მიხეილის ასულ სალავიოვას, როგორც ქურდების შემნახველს და ნაქურდალის გამსაღებელს, მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობით სამი წლის ვადით.

—:—

გამფლანგველს ხელი არ ახლეს

ლაპარაკია თბილისის აღმასკომის სამაზრო ტეხნიკური სექციის გამგე **ალექსანდრე დავითის ძე გონგაძეზე.**

„ნეტარხსენებული" მენშევიკების დროსაც ალექსანდრე გონგაძეს ეს თანამდებობა ეჭირა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანაც არ მოშორებია ამ თბილ ადგილს გონგაძე. ან და რად უნდა მოშორებოდა! ამაზე უფრო თბილად სად მოეწყობოდა. ჯამაგირი მეტად დიდი... ეხლა აიღეთ მისი ფუნქციები: გზების, წყალსადენების გაყვანა სოფლებში, სკოლების შენობების აგება, საავადმყოფოების და საგარაკო შენობების აგება და შეკეთება თბილისის მაზრის ფარგლებში—ყველაფერი ეს გონგაძის ხელმძღვანელობით ტარდებოდა. რასაკვირველია, ასეთ უფლებამოსილ პირის ხელში ასი-ათასობით ტრიალებდა ფული.

გონგაძე გაურბოდა ყოველგვარ გეგმიანობას მუშაობაში. ანგარიშწარმოება—ეს მისთვის ზედმეტი რამ იყო. ასეთ ვეებერთელა დაწესებულებას გონგაძე ისე განაგებდა, რომ არავითარი ბუხჰალტერია არ სწამდა უბრალო მოანგარიშე. რო არის,—ისიც კი არ ჰყოლია. იოლად უძღვებოდა საქმეს. მართალია, ქაოსი იყო მთელი სექციის საქმიანობაში, მაგრამ ეს მის კარიერას ოდნავადაც ზიანს არ აყენებდა, რადგან „ნათლი მამები" ბუზებივით ეხვიენ გარს და ყოველ განსაცდელის დროს ეშველებოდნენ.

ეს რომ ასეა, რომ გონგაძეს ეხლაც ჰყავს „ნათლიმამები" აღმასკომში, დავინახავთ იმ ფაქტიდან, რომელსაც ქვემოდ მოვიყვანთ.

1927 წ. დეკემბერში აღმასკომის საკონტროლო განყოფილების კონტროლიორი რევიზიას (!) უკეთებს ალექსანდრე გონგაძეს. კონტროლიორი ბუშკინი ხედავს ქაოტიურ მდგომარეობას—ანგარიშწარმოებაში, ხედავს, რომ არაფერი თავის ადგილას არ არის, მაგრამ იმის მაგიერ, რომ ამის შესახებ აახმაუროს სათანადო ორგანოები, ვონგაძეს ეუბნება: „როცა მოაწესრიგებთ ანგარიშებს, შემდეგ შემოვივლი და შემდეგ მოვახდენ რევიზიასო".

სამი თვის შემდეგ შეიარა გულშემატკივარმა კონტროლიორმა და ნახა, რომ გონგაძეს აკლია ოთხი ათას მანეთამდე.

—- სად არის ეს თანხა? — ეკითხება კონტროლიორი.

— 4.000 მანეთი კომუნალურ ბანკში დავტოვე შემდეგ დამავიწყდა წამოღება (!) იქ შეიძლება დაიკარგა, ან მიითვისა ვინმემ,— ასეთი იყო გონგაძის პასუხი.

არსად არავითარი საბუთი არ აღმოაჩნდა ამ ოთხი ათასი მანეთის შესახებ. მეორე რევიზია მოხდა 1928 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში. რევიზიამაც და საგამომძიებლო ორგანოებმაც სცნეს, რომ ეს თანხა მითვისებული აქვს გონგაძეს. მერე რა გამოვიდა აქედან? არაფერი.

გონგაძისათვის ხელიც არავის უხლია. ის ისევ ტეხნიკურ სექციას განაგებს და მას ათეულ ათას მანეთს ენდობიან აღმასკომში, როგორც საქვეანგარიშო პირს. „ნათლიმამები" კალთას აფარებენ გონგაძეს. უკანასკნელი განაგრძობდა ძველებურად.

საქმემ გუშინ მიაღწია თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომდე. თავმჯდომარემ ამხ. **რ. კალანდაძემ,** რომელიც გაეცნო მთელს საქმეს, განკარგულება გასცა გონგაძის დაუყოვნებლივ დაპატიმრების შესახებ.

საკვირველია, რომ კაცს, რომელმაც 1927 წ. 4.000 მანეთი სახაზინო ფული გაფლანგა, 1929 წლამდე არავინ ხელი არ ახლო!

ახლო მომავალში გონგაძეს ვიხილავთ საბრალმდებლო სკამზე.

ბერ.

„ერთი ღამე ტყვეობაში"

დოსტაქარმა **მარკევიჩმა** ამ რამოდენიმე ხნის წინად მოქ. აკოფოვს გაუკეთა ბრმა ნაწლავის ოპერაცია, შახპარონიანის კერძო საავადმყოფოში. ოპერაცია ჩინებულად დასრულდა და ავადმყოფი ერთი კვირის შემდეგ სახლში წავიდა. ავადმყოფის საავადმყოფოდან გამოწერის ორი - სამი დღის შემდეგ, 16 ივლისს, საღამოს მარკევიჩთან მივიდა აკოფოვის მამა და სთხოვა მას შინ წაყოლა შვილის ცუდად გახდომის გამო.

მარკევიჩმა დაწვრილებით გამოკითხა შვილის მდგომარეობა და როცა დარწმუნდა, რომ საშიში არაფერი იყო, იმავე საღამოს წასვლაზე უარი უთხრა მოხუცებულობისა და სისუსტის გამო და შეპირდა დილას მისვლა. თან დაარიგა თუ როგორ უნდა მოევლო ავადმყოფისათვის.

იმავე დღეს ღამის 12 საათზე მარკევიჩთან მოვიდა ავადმყოფის მამა, მილიციონერი და ვიღაცა უცნობი პირი. ამ უკანასკნელის კატეგორიული მოთხოვნით ოჯახის წევრებმა ექიმი გააღვიძეს.

კაბინეტში გამოსვლისთანავე უცნობმა პირმა ექიმს მიმართა ბრძანების კილოთი, რომ დაუყონებლივ წაყოლოდა მათ ავადმყოფის სანახავად, თან დაპატიმრებით დაემუქრა.

ექიმი იძულებული გახდა გაყოლოდა მოსულებს და მათთან ერთად გაეშურა ავადმყოფის ბინაზე (მტკვრის სანაპირო ქუჩაზე — რაკეტნი ქუჩა № 20). გამოირკვა, რომ ავადმყოფს ქონდა მსუბუქი ტკივილები, ოპერაცია გაკეთებულ ალაგას. ტემპერატურა ნორმალური.

ავადმყოფის გაშინჯვის შემდეგ უცნობმა პირმა ექიმს წინადადება მისცა წაყოლოდა კომისარიატში და ვერის ხიდთან ძალით ჩამოიყვანა ტრამვაიდან.

საგუშაგოზე მდგომ მილიციელის დახმარებით მარკევიჩი მიიყვანეს 1-ლ სამილიციო კომისარიატში, სადაც ის „მოვალეობის არ შესრულებისათვის" მორიგემაც დატუქსა და დააპატიმრეს. მარკევიჩი გაანთავისუფლეს მხოლოდ მეორე დღეს დილით.

ჯანმრთელობის კომისარიატმა შესაფერი შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის წინაშე, საქმის გამორკვევისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

შინაგან საქმეთა კომისარიატმა თავის მხრივ საქმე გადასცა პროკურატურას.

შემთხვევები

ავტომობილის კატასტროფა

გუშინ, დღისით, კახეთის მოედანზე კერძო ავტომობილი (№ 166) დაეჯახა ჰაეროდრომის ავტო - მანქანას (№ 147). დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ორივე ავტო - მანქანა სერიოზულად დაზიანდა.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდენ თბილისის სისხლის სამართლის მილიციის და პროკურატურის წარმომადგენლები. როგორც ირკვევა, დაჯახებაში ბრალი მიუძღვით ორთავე შოფერს. გამომძიებლის განკარგულებით, შოფერები: პავლე ბეშკინოვი, სერგო გიორგის ძე ამილოვი და შოფერის თანაშემწე — მიხეილ ალექსის ძე ბაგიროვი დააპატიმრეს შემთხვევის ადგილზე.

კატასტროფის დროს დაშავდნენ: წითელარმიელი გალნინი, შემელინოვი და ცისკარიანი. უკანასკნელი უგრძნობელ მდგომარეობაში გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

მეორე კატასტროფა

საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოში მიღებული ცნობით, გუშინწინ კავკავიდან მომავალ კერძო სამგზავრო ავტომობილს, თბილისიდან 5 კილომეტრის მანძილზე, შეემთხვა მარცხი. ავტომობილი დაეჯახა ურემს; ინერციით განაგრძო გზა, განზე გადაწვა და გადაბრუნდა. კატასტროფის დროს მსუბუქად დაშავდა ოთხი მგზავრი. კატასტროფის დაწვრილებითი მიზეზების გამოსაკვლევად გუშინ კავკავში გაემგზავრა სპეციალისტთა კომისია.

შეპყრობა

დაპატიმრებულია კარაპეტ ავაქის ძე ავაქოვი, რომელსაც ბრალდება ქურდობა.

ქურდი ცოლი

მელქო მარკოზაშვილს (ლოტკინის ქ. № 5) მისმა მეუღლემ ქეთევან აღდგომელაშვილმა მოპარა 42 მანეთი და მიიმალა.

ფიზკულტურა და სპორტი

ოდესელ ფეხბურთელების მეორე დამარცხება

16 ივლისს დინამოს სტადიონზე გაიმართა მატჩი — რევანში ოდესელ „დინამო"-სა და თბილისის „დინამო"-ს შორის.

შეჯიბრება დამთავრდა ოდესელების მეორე დამარცხებით 1:4.

ქუთაისი —თბილისი

15 ივლისს დინამოს სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეჯიბრება ქუთაისის რკინისგზელთა გუნდსა და „დინამო"-ს მეორე გუნდს შორის.

მატჩი დამთავრდა ქუთაისელების დამარცხებით 1:5.

ფიზკულტურის ინსტრუქტორების გამოშვება

13 ივლისს ტრამვაელთა კლუბში მოხდა ფიზკულტურის ინსტრუქტორთა საზეიმო გამოშვება. გამოშვებას დაესწრენ დიდძალი ფიზკულტუროსნები და მუშები.

საზეიმო სხდომა დაიწყო კურსების გამგის მოკლე სიტყვით, რის შემდეგაც კურსანტებს მიესალმენ საქ. პროფკავშირების, ფიზკულტურის უმაღლეს და თბილისის საბჭოების, ა-კ. ფიზკულტურის საბჭოს და კომკავშირის ლენ - რაიკომის წარმომადგენლები.

შემდეგ გამოცხადებულ იქნა გამოსაშვებ კურსანტების სია. გამოშვებული იქნა მხოლოდ პროვინციის ფიზკულტურის ინსტრუქტორები, რიცხვით 43 კაცი; მათ შორის 17 კომკავშირელი და პარტიულია (72 პროც.) და 14 მუშა და გლეხი (60 პრ.). გამოშვებულთა შორის 5 წითელარმიელია, რომლებიც გადაეცა ქართულ დივიზიებს.

კურსები დაასრულეს შემდეგმა პირებმა: ფაჩულია (სამტრედია), ბოსტაშვილი (გურჯაანი), ქოიავა (სენაკი), ჯაიანი (ფოთი), დათიაშვილი და ხუციშვილი (რაჭა-ლეჩხუმი), ოქრუაშვილი, მესროფოვი და ნაცვალაძე (გორის მაზრა), მითაიშვილი (წითელი არმია), ადამია (ზუგდიდი), კაიშაური (დუშეთი), სვანიძე (ჭიათურა), ხევსურიანი (მარელისის ქარხანა), იგითხანოვი (ახალციხე), შალამბერიძე (ქუთაისი - რიონჰესი), ერისთავი (მეორე ქართული დივიზია) და გეწაძე (ზესტაფონი).

ამას გარდა კურსი მოისმინეს და სათანადო მოწმობა მიიღეს მგელაძემ, გაბედავამ, ჩაჩიბაიამ, აფხაზავამ, ფალავანდიშვილმა და დარბინიანმა.

გამოშვების შემდეგ კურსანტებმა გამართეს ვარჯიშობა.

კურსანტები უკვე გაემგზავრენ ადგილებზე, სადაც ისინი უხელმძღვანელებენ ფიზკულტურის წრეების მუშაობას პროფკავშირებში.

სხვათა შორის ასეთი კურსების მოწყობა პირველი შემთხვევაა საქართველოში. კურსები მოწყობილი იყო საქ. პროფსაბჭოს მიერ.

რკინის გზებზე

აიცდინეს მატარებლების დაჯახება

17 ივლისს მატარებელი № 3017 სადგურ ნავაგაში შესვლის დროს შეცდომით მიიღეს დაკავებულ ხაზზე. დროზე მიღებული ზომებით მატარებლების დაჯახება არ მომხდარა.

მატარებლის გადავარდნა ლიანდაგიდან

სადგურ ბგარაზე მატარებელი № 3009 უნდა გეტარებიათ ჩვეულებრივ. მთავარი ხაზის ნაცვლად ეს მატარებელი შეცდომით გაშვებული იქნა ჩიხში. მატარებლის ორთქლმავალმა გაიარა ჩიხი, დაეჯახა მისაყრდენს, გადასტეხა იგი, ასცდა ლიანდაგს და ნახევარ მეტრის სიღრმეზე ჩაეფლო მიწაში. გზა დაზიანებულია 50 მეტრის მანძილზე. სწარმოებს გამოძიება.

საბინაო მშენებლობა

საბინაო მშენებლობის მიზნებისათვის გზათა სახალხო კომისარიატმა ა-კ. რკინის გზას დამატებით გადასცა 100.000 მანეთი.

[illegible] დაჯახება

სადგურ წიფაში მატარებლები № [illegible] და 3014 [illegible] ერთმანეთს. [illegible] დროს დაზიანდა ორივე მატარებლის ორთქლმავლები, რომლებიც შესაკეთებლად გადაიგზავნენ ხაშურის დეპოში.

გამოკვლევა

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ა-კ. რკინის გზებმა ვერ შეასრულეს გზათა სახალხო კომისარიატის მიერ მოცემული მატარებლების და ორთქლმავალთა ბრიგადების გარბენის ნორმები. გზათა სახალხო კომისარიატმა ა-კ. რკინის გზათა სამმართველოს წინადადება მისცა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ბიუროს საშუალებით გამოიკვლიოს მატარებლების და ორთქლმავლების მუშაობა და გამოარკვიოს მიმდინარე წლის პირველ ნახევრის თვის ნავარაუდევი გარბენის გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული თათბირი სათეატრო საკითხებზე

29 ივლისს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებასთან შესდგება ამიერ-კავკასიის პარტიული თათბირი თეატრზე. თათბირის დღის წესრიგში დასმულია: 1. პარტიის თეატრალური პოლიტიკის პრინციპები; 2. თეატრალური მუშაობის მდგომარეობა ამიერკავკასიაში; 3. მუშათა თვითმოქმედების თეატრი; 4. ახალგაზრდა მუშა-მაყურებელთა და მოზარდ-მაყურებელთა თეატრები; 5. თეატრალური კრიტიკა ამიერ-კავკასიაში.

—:—

ხუთშაბათს, 18 ივლისს, საღამოს 5 საათზე საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას საორგანიზაციო განყოფილებაში დანიშნულია საორგანიზაციო თათბირი. თათბირის დღის წესრიგში დასმულია ცეკას ინსტრუქტორის ამხ. კორსაველის მოხსენება კახეთის მაზრაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგების შესახებ.

—:—

18 ივლისს პარტიის რიგების წმენდა ჩატარებული იქნება შემდეგ უჯრედებში:

1. მე-2 სტამბაში—ლენინის ქ. (ყოფ. ოლღას) № 3; შემმოწმებელ კომისიაში შედიან —ამხ. მელიტონ ფილია, ი. რცხილაძე და ანტ. სამოილოვი.
2. სახმედვაჭრობაში—სახმედვაჭრობის შენობაში, კამოს ქუჩაზე; შემმოწმებელ კომისიაში შედიან ამხ. ივ. პევცოვი, დ. მესხი და არტ. ზურაბოვი.
3. „მკერავი" № 1—მელიქოვის ქ., № 5; შემმოწმებელი კომისია—ამხ. სტ. ზაკომოლდინის, კირ. სულავას და გიორგი შახსუვაროვის შემადგენლობით.
4. მუშკოოპი—მუშკოოპის შენობაში, ჟორესის ქუჩაზე; შემმოწმებელი კომისია იმუშავებს—ამხ. მ. მაშკევიჩის, ტარ. ლავრენტიევის, ფრანგულიანის და ხორსელის შემადგენლობით.

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილება, დღეს, საღამოს 6 საათისათვის იწვევს თათბირს სახელმწიფო დაზღვევის საქმის მდგომარეობის შესახებ საქართველოში.

თათბირზე სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: გოლდბაუმი (საქ. მუშ. და გლ. ინსპექცია), ლომთათიძე (საქ. ფინსახკომი) და დ. ქუჩულორია (საქ. ცაკი).

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 18 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათისათვის მუშათა ახალ კლუბის შენობაში (კომინტერნის ქ., № 5), მოწვეულია ქალაქის რაიკომის პლენუმი.

რაიკომის ყველა წევრთა, კანდიდატთა და რაიკომის სარევიზიო კომისიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას საკონფლიქტო კომისია იუწყება, რომ დღეს, 18 ივლისს, ცეკას შენობაში (რუსთაველის პრ. 20), შესდგება ცეკას საკონფლიქტო კომისიის სხდომა, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ საკონფლიქტო კომისიის ყველა წევრები და წარმოებებში ჩაბმული ამხანაგები. სხდომას უნდა დაესწრონ აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი ამხანაგები, რომელთა საქმეებიც განხილული იქნება:

ალექსანდრე სამხარაძე, გიორგი გოგილაშვილი, შალვა ჩიხხია, აგასი კაირამოვი, შალვა გვენცაძე, ვიქტორ გრიგოლია, ნიკოლოზ ჯიშკარიანი, სერგო დოლიძე, ვლადიმერ ხარებავა, არტემ გასიევი, გიორგი კაკიაშვილი, გიორგი სეხნიაშვილი, გრიგოლ ფრუიძე, თამარა თუქვაძე, ალექსანდრე კვანტალიანი, გიორგი ქუშიტაშვილი, ნადეჟდა ფანცულაია, სარქის ბაღდასარიანი, სურენ მინასიანი, ლევან არუთინოვი, ირაკლი წერეთელი, სიმონ კუზნეცოვი და გიორგი კალანტარაშვილი.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. გაერთიანებულ კომუჯრედთა კრება შესდგება დღეს, საღამოს 5 საათზე, წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

—:—

დღეს, საღამოს 4 საათზე შესდგება თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიუროს სხდომა. ბიუროს წევრებისა და კანდიდატებისათვის დასწრება სავალდებულოა დაუყოვნებლივ.

—:—

დღეს, 18 ივლისს, დილის 10 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება სხდომა, რომელზედაც დასმული იქნება საკითხი საქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ შეფობაში მიმავალთა მოსამზადებელ მუშაობაში. სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ბუაჩიძე (თავდაცვა-ავიაქ.), არუთინოვი (სოფ. მუშ. განყ.), ბედია (თბ. კ.), ხოფერია (მიწსახკომი), ცაგარელი (კოლმ. ცენ.), დოლიძე (იუსტ. კომ.), ერთი წარმომადგენელი შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატიდან, ჩხარტიშვილი (პოლიტგან.), გოგებაშვილი (ცეკავშირი), დუგლაძე (სოფ. კავ.), ფანცულაია (პროფსაბჭო), ბიბინეიშვილი (სახელგამი), პატარაია (ქართ. დივ.), სნეგირევი (წ. დროშ. არმია), იცკოვიჩი, სერგეევი (ბრიგ. პოლგან.), მალჩაკოვი, გუჯაიშვილი (ა. ლ. კ. კ. ც. კ.), კერვალიძე (თბ. კ.), გეგეშიძე (ქალ. განყ.), სოსოიანი (ბ. პოლიტგ.).

ქმარი სიმონ პავლეს ძე შენგელია, შვილებით ზუხიკო და გივით, აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქ. პანაშვიდი მათთვის ძვირფას
მაშიკო ცაგარეიშვილი-შენგელიას
ხსოვნის აღსანიშნავად.

თავზარდაცემულნი მშობლები ილია და ნიფადორე შვილებით, რძლებით და შვილიშვილებით იუწყებიან, რომ 21 ივლისს, 1 საათზე, სამტრედიის ძველ სასაფლაოზე ტრაღიკულად დაღუპულ უსაყვარლესი შვილის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ
შიო (შოთიკო) ილიას-ძე ნიკურაძის
ხსოვნის აღსანიშნავ და გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2567 2—2

ძმები გიოტინგენის უნივერსიტეტის დოცენტი ივანე და მიუნხენის უნივერსიტეტის პრივატ დოცენტი ალექსანდრე მწუხარებით იუწყებიან, რომ კვირას, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ ძმის
შიო (შოთიკო) ნიკურაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 2567

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი ძმა ექიმი სილოვანი, რძალი ბაბუცა და შვილი თამრიკო ნიკურაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ კვირას, 21 ივლისს, დღის 1 საათზე ქალ. სამტრედიაში, სამტრედიის ძველ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაღიკულად დაღუპულ საყვარელ ძმის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ
შიო (შოთიკო ილიას-ძე ნიკურაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 2567

დედა ელისაბედ ქაიხოსროს ასული მიქელაძისა და ძმა ზაალ პლატონის-ძე მიქელაძე მეუღლით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 10 ივლისს, პარიზში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი
მართა პლატონის ასული კვიტაშვილისა
25 2

თამარ ხარაბაძე და ვახტანგ ჯორჯაძე პატარა ბიჭიკოთი უდიდესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას მათთვის დაუვიწყარი შვილის
მარინე ჯორჯაძესი
გამოსვენება ყოფ. არამიანცის საავად. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 19 ივლისს, 4 საათზე ნ. 298

საზაფხულო ბაღი (ყოფ. „არტო")
ხუთშაბათს, 18 და ყოველდღე
მოსკოვის დრამატიული ბალეტი
30 GIRLS
ცეკვა 30 girls: კლასიკური, სპორტული აკრობატიული, ექსცენტრიული
ცეკვა 30 girls: „ისპანიური", „ზველი", სპორტი", „მეზღვაურები", „რუსის დედაკაცები"
საგანგებო ტანსაცმელები მოსკოვის საუკ. მხატვრების. დადგმები: კასიან გოლეიზოვსკის, ასაფ მესერერის
კონფერანსიე: კ. კარეევი. დასაწყისი 9 საათზე.
კინო-თეატრში: „ნამდვილი ჯენტლმენი" სეზონ-ს შეუდარებელი ფილმი. დასაწყისი 8 ნახ. ს. 2983

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ შაბათს 20 და კვირას, 21 ივლისს, კომინტერნის ქ. № 3 დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ფინ აჭკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ. გაიყიდება შიფონერკები, კომოდები, გარდერობები, ბუფეტები, ხალიჩები, სარკეები, პიანინოები, ბეკერის როიალი და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 2982

კინო მინიონი
დღეიდან, 18 ივლისიდან
მხატვრული ყოფა-ცხოვრებითი ფილმი
ბედნიერი ბეჭდებ!
რეჟისორები: გოლუბი და სადკოვიჩი 2985

სახკინმრეწვის კინოები

საზაფხულო აპოლო	მსოფლიო არტისტი ბერნარდ გეტცკე სურათში დამნაშავეა
საზაფხულო ბალახი	უცხოეთის მხატვრული ფილმი მთის ბალადა
საზაფხულო ეთერი	სეზონის ახალი სურათი სემირამიდას მარგალიტი
მინიონი	ყოფა-ცხოვრების მხატვრული სურათი ბედნიერი ბეჭდები

მალე—მთიელის შვილი, ჯალმა.

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 21 ივლისს, დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 2981

პ. ს. ფონ-ირეტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—10

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

პროფესორი
გ. მ. მუხაძე
წასულია კისლოვოდსკში და დაბრუნდება ენკენისთვეში.
2579 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

თმის მკურნალობა
= და =
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. გ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26-01.
2468 13—1

ქუთაისში
ექიმი ვ. დ. კუჭაიძე
ლენინგრადის სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის შ. გ. ასისტენტი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით საღ. 5—7 ს.
იღებს სპეციალურათ მეანობაში, ქალთა სნეულებათა ავადმყოფთ და ქალთა უროლოგიაში (შარდის ბუშტის, მილის და თირკმელების დაავადებანი). პუშკინის ქ. № 7
2463 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი („914" შეშხაპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და კანის სნეულება.
მიღება: დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 8—9 საათ.
მისამართი კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა), ქალ. მეორე საავადმყოფოს პირდაპირ.
2578 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
წასულია. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.
2533 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 25—1

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევს 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასეის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები სახის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.
25—1 2561

დაკარგვა: პურის წიგნაკი თამარა მაისურაძის სახელზე, ჩ. გ. 2581

დაკარგვა: „ზაკტპოს" საწევრო წიგნაკები პოლის პოლისოვის სახელზე, ჩ. გ. 2582

დაკარგვა პრა-კერვის სასწავლებლის დამთავრების ატესტატი მარიამ ჯაფარიძის სახელზე. ჩ. გ. 2583

დაკარგვა პური წიგნაკი ბ. 4 სულისა № 95 სოლომონ ანდრონიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2586

დაკარგვა სანგარიშო წიგნაკი № 351 ისაკი დავითის-ძე გურგენიძეს სახელზე, ჩ. გ. 2585

დაკარგვა განქორწინების ქაღალდი ჩიტუნა ხუხუნაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2584

დაკარგვა: პურის წიგნაკი № 2 კოტე ერასტის-ძე კახეთელიძის სახელზე, ჩ. გ. 2582

დაკარგვა სამსახურის წიგნაკი № 532 გაცემული ამაშუკეთის რაი-სამხედრო მაგიდის მიერ და პირადობის მოწმობა გაცემული პ. მ. რ. [illegible] ანგარანიდან № 48 პარმენ გიორგის-ძე ქამკვეტაძის სახელზე, ჩ. გ. 2587

დაკარგვა პირადობის მოწმობა № 318, დამზღვევი სალაროს წიგნაკი და საბჭ. და სავაჭ. მუშაკთა კავშირის წიგნაკი მევლუდ მეხმედის-ძე ხიმშიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2588

დაკარგვა პურის წიგნაკები №№ 8475 და 8319 შალვა და მარგარიტა ბარბაქაძეების სახელზე, ჩ. გ. 2593

დაკარგვა: კავშირის წიგნაკი № 11,676, დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 3894, კოოპერატივის საწევრო წიგნაკები № 22430, სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი, ტრაქტორების მოწმობა № 9, კლუბის საწევრო წიგნაკი და უვადო პირადობის მოწმობა ლავრენტი ქვათაძის სახელზე, ჩ. გ. 2589

დაკარგვა: ობლიგაციის კუპონ. ბ. ალექსანდრა ელიოზიშვილის სახელზე № 19 სერია 051706, 051707, 05170 051709, 051710 № 16 სერია 27774, 27775, 27776, 27777, 27778, № 1 05 055065. 259

ტირაჟი—40.607
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.